ჯაბა სამუშია

ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი

(XI-XII სს.)

გენეალოგიური ნარკვევი

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2003

წიგნში მოთხრობილია XI-XII სს. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შესახებ. მასში საუბარია როგორც ამ პერიოდის ქართველ მონარქებზე, ასევე იმ პიროვნებებზე, რომლებიც მათ უახლოეს წრეს შეადგენდა და არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **მიხეილ ბახტაძე**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **გუგა კუდავა**

ISBN 99940-11-78-2

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2003.

წინასიტყვაობა

ბაგრატიონთა სამეფო სახლის ისტორია საუკუნეების სილრმეში იკარგება და სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ქართველი ხალხის წარსულთან.

დღეისათვის სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს ამ საგვარეულოს წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთნი ბაგრატიონებს – ქართველებად, მეორენი – სომხებად, მესამენი კი ებრაელებად მიიჩნევენ. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ძირითადად გაბატონებულია მათი ქართული პროვინციიდან – სპერიდან წარმომავლობის მოსაზრება.

თავად ქართველი ბაგრატიონები თავის თავს ბიბლიური იესე – დავით-სოლომონის ჩამომავლებად თვლიდნენ. გადმოცემა ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის შესახებ დაცული იყო სომხურ საისტორიო მწერლობაშიც.

ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის ლეგენდა VII-IX საუკუნეების მიჯნაზე უნდა შექმნილიყო, როდესაც ამ საგვარეულოს წარმომადგენლებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ პოლიტიკურ ერთეულს ტაოკლარჯეთის სამთავროს ანუ „ქართველთა სამეფოს".

შუა საუკუნეების საქართველოში ჩამოყალიბდა არა მხოლოდ ბაგრატიონთა ბიბლიური წარმოშობის ლეგენდა, არამედ მძლავრ თეოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით შეიქმნა, ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის თეორია. ამ კონცეფციის პირველ ოფიციალურ დაფიქსირებას ვხვდებით გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". გრიგოლი აშოტ კურაპალატს მიმართავს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა„ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან". ამ თეორიის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი მოიპოვება ქართულ იკონოგრაფიაში.

IX საუკუნის შუა ხანებიდან ქართველ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ორ მთავარ შტოდ – ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად დაიყო. პირველობა ტაოს ბაგრატიონებს ერგოთ. სწორედ ამ შტომ მიიღო IX საუკუნის ბოლოს „ქართველთა მეფობა", ხოლო X საუკუნის მიწურულს

– ერთიანი საქართველოს მეფობა. ბაგრატიონთა კლარჯეთის შტო XI საუკუნის დასაწყისში ამონყდა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართლში, კახეთსა და იმერეთში პირველობა კვლავ ბაგრატიონთა საგვარეულოს ჰქონდა. ამიერიდან, ისტორიულ ასპარეზზე ჩნდება ბაგრატიონთა სახლის სამი მთავარი შტო: კახეთის, ქართლისა და იმერეთის. XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგომ ბაგრატიონებს ქართლ-კახეთსა და იმერეთში მეფობა ჩამოართვეს. მათი დიდი ნაწილი იმპერატორის ბრძანებით პეტერბურგსა და მოსკოვში გადაასახლეს. დღეს ბაგრატიონები ცხოვრობენ საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში.

* * *

ნარკვევი „ბაგრატიონთა სამეფო სახლი" რამდენიმე ნაწილადაა ჩაფიქრებული. წინამდებარე წიგნი XI-XII საუკუნეების ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს ეძღვნება. ეს არის ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და აყვავების პერიოდი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად სამართლიანად „ოქროს ხანადაა" წოდებული. ჩვენ შევეცადეთ მეტ-ნაკლები სისრულით მოგვეთხრო ამ პერიოდის ქართველ მეფეთა ოჯახის წევრთა შესახებ, იმ პიროვნებებზე, რომლებიც გარს ეხვევნენ ქართველ მონარქებს და რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ᲒᲐᲒᲠᲐᲢ III

ბედიის ღვთისმშობლის ტაძრის ფრესკა

ბაგრატ III-ის ოჯახი

X-XI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მიმდინარე პროცესმა საუკუნეების მანძილზე განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მომავალი. სწორედ ამ დროს ჩაეყარა ბალავარი სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ საქართველოს ერთიანობას. ეს გაერთიანება მეყსეულად არ მომხდარა და მას მრავალი წინაპირობა ჰქონდა. მაგრამ ამ ერთიანობის საფუძველთა საფუძველი მაინც დინასტიური კავშირები იქცა, რომელიც ამიერ ტაოს სამეფო ოჯახს გააჩნდა თავის მონათესავე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან თუ აფხაზთა სამეფოს მმართველ საგვარეულოსთან. X საუკუნის 70-იან წლებში, ერთდროულად რამდენიმე ქართული სამეფოს ერთადერთ მემკვიდრედ ბაგრატ უფლისწული აღმოჩნდა. ქართული მიწა-წყლის გამთლიანების პროცესი მომავალში მაინც განხორციელდებოდა, ვინაიდან მოვლენების განვითარება ამის წინაპირობას იძლეოდა, მაგრამ, ბაგრატ III-ის ფაქტორმა უბრალოდ დააჩქარა და შედარებით უმტკივნეულო გახადა საქართველოს გაერთიანება.

ბაგრატ III იყო ამიერტაოს მეფის გურგენ ბაგრატის ძის ვაჟი. დედა გურანდუხტ დედოფალი აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული გახლდათ.

ბაგრატის მეუღლის მხოლოდ სახელია ცნობილი, მას მართა რქმევია. ბაგრატ III-სა და მართას ერთი ვაჟი ჰყავდათ, შემდგომში საქართველოს მეფე გიორგი I.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ასევე მოსაზრება, რომ ბაგრატ III-ს მეორე ვაჟიც ჰყავდა, რომელიც მონასტერში წავიდა და

შემდგომში ცნობილი საეკლესიო მოღვაწე შეიქმნა. მისი ბერობის სახელი იყო ბასილი. მას იხსენიებს გიორგი მცირე თავის თხზულებაში „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება". ლირს მამას, ბასილს, ბაგრატ III-ის ძედ მიიჩნევს ასევე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კალენდარიც. მაგრამ მრავალი ფაქტის შეპირისპირების შედეგად დგინდება, რომ მამა ბასილი არ იყო ბაგრატ III-ის ძე (მით უმეტეს გიორგი I-ის შვილი, როგორადაც გამოცხადებულია ბასილი ზოგიერთ გამოცემაში) და რომ, საქართველოს მეფეს ჰყავდა მხოლოდ ერთი, მხოლოდშობილი ვაჟი გიორგი.

გურგენ მეფეთ მეფე ∞ **გურანდუხტ დედოფალი**

|

ბაგრატ III ∞ **მართა დედოფალი**
978 -1014

|

გიორგი I
1014-1027

ბაგრატ III, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. 978 წლიდან აფხაზთა სამეფოს განაგებს. 1008 წლიდან – „აფხაზთა და ქართველთა" მეფე.

ადამიანთა შორის, ღვთის ნებით, ზოგჯერ გამოჩნდება ისეთი პიროვნება, რომელიც უდიდეს მისიას იკისრებს თანამედროვეთა წინაშე. ისტორიაში ქვაკუთხედის როლს შეასრულებს და ქვეყნის განვითარებას სრულიად სხვა მიმართულებით წარმართავს. როგორც წესი, ასეთ ადამიანებს, ისტორიკოსები განსაკუთრებული ეპითეტებით იხსენიებენ ხოლმე. შთამომავლობა საგანგებოდ უკვდავყოფს მის სახელს, ეკლესია წმინდანად შერაცხავს.

ასეთ ადამიანთა დასს ეკუთვნის გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III. მას წილად ხვდა სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველოს გამთლიანება, ქვეყნის გავლენის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განვრცობა. მაგრამ, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, მას შთამომავლობამ არავითარი ზედწოდება არ შეარქვა.

რატომ? არავინ უნყის ასეთი უმადურობისა თუ უყურადღებობის მიზეზი. ბაგრატ III-მ დიდი წვლილი შეიტანა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განვითარებაშიც, თუნდაც ბედიის, ნიკორწმინდას, ბაგრატის ტაძრების აშენება კმარა ამის საილუსტრაციოდ. მის დროს უნდა დაწყებულიყო სვეტიცხოვლის მშენებლობაც. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს: „ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთათჳს". მაგრამ, როგორც ჩანს, ეკლესიამ მას არ აპატია კლარჯი ხელმწიფეების ამოწყვეტა და იგი წმინდანად არ შერაცხა. ნაწილობრივ ქართული ისტორიოგრაფიაც ვალში იყო მის წინაშე (მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოვიდა ბაგრატ III-სადმი მიძღვნილი მ. ლორთქიფანიძის, გ. მჭედლიძისა და გ. გაბუნიას მონოგრაფიები).

ბაგრატ III სრულიად სამართლიანად იმსახურებს ზედწოდებას „გამაერთიანებელი". ეს არის მთელი მისი მოღვაწეობის ყველაზე დიდი შედეგის ერთი სიტყვით გადმოცემა, ამიტომაც, გადაჭარბებული არ იქნება, თუ მას „გამაერთიანებლის" სახელით მოვიხსენიებთ (ამ ზედწოდებითაა ბაგრატ III მოხსენიებული გ. მჭედლიძის მონოგრაფიაში).

ბაგრატ III-ის დაბადების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ 975 წლისათვის ის ჯერ კიდევ მცირეწლოვნად ითვლებოდა, ხოლო 978-980 წლებში უკვე დამოუკიდებლად შეეძლო თავისი პოლიტიკის წარმართვა, მაშინ სავარაუდოდ, იგი X საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე შეიძლება დაბადებულიყო. უკვე პატარაობის ასაკში ბაგრატ III იმიერ ტაოს მეფემ დავით კურაპალატმა იშვილა. ამით ორად გაყოფილი ტაოს სამეფოს კვლავ გამთლიანების პერსპექტივა შეიქმნა. 975 წელს ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის ინიციატივით ბაგრატ III ქართლში ჩამოიყვანეს და ქართლის ერისთავად დასვეს. უფლისციხეში ბაგრატის გამთავრებას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ამით ხაზი გაესვა აფხაზთა მეფეთა ტახტზე მის მემკვიდრეობას. დასავლეთ საქართველოში თეოდოსის მეფობისას მეტად მძიმე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ამას დაემატა უსინათლო თეოდოსის უშვილობა. ფაქტობრივად აფხაზ მეფეთა საგვარეულოში ერთადერთი ვაჟი მემკვიდრე დარჩენილი იყო თეოდოსის დისშვილი ბაგრატ უფლისწული. აფხაზთა სამეფოში

მილებული იყო, რომ ტახტის მემკვიდრეს გამეფებამდე ქართლის ერისთავის სახელო დაეკავებინა. დემეტრესა და თეოდოსის დროს ეს წესი ვერ შესრულდა მეფეთა უშვილობის გამო, და ამიტომაც ქართლის ერისთავად იოანე მარუშისძე დაინიშნა. მაგრამ მას შემდეგ რაც გადაწყდა ბაგრატ III-ის აფხაზეთში გამეფება, იგი პირველად სწორედ იმ ძველი ტრადიციისამებრ, ჯერ ქართლში გააერისთავეს და ამით საფუძველი მოუმზადეს ქუთაისში მის გამეფებას, ხოლო სამი წლის შემდეგ, ისევ და ისევ, იოანე მარუშისძის მცდელობით და დავით კურაპალატის დასტურით, ბაგრატ III ქუთაისში გადაიყვანეს და თეოდოსის თანამოსაყდრედ აკურთხეს.

მცირე ხნის შემდეგ, უსინათლო თეოდოსმა თავისი ნებით თუ იძულებით აფხაზთა სამეფო მიატოვა და დავით კურაპალატთან ნავიდა. ამიერიდან ბაგრატ III აფხაზთა სამეფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა. მართალია, თეოდოსი ხელს არ უშლიდა ახალგაზრდა მეფეს ქვეყნის გაძლოლაში, მაგრამ მისი ქუთაისში ყოფნა, ბაგრატის მოწინააღმდეგე ფეოდალებს შეიძლება ცუდად გამოეყენებინათ. თეოდოსი ვინმესთვის პოლიტიკურ იარაღად რომ არ ქცეულიყო, იგი აფხაზთა სამეფოს გაარიდეს და ტაოში გაისტუმრეს.

აფხაზეთის სამეფოში ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ბაგრატ III-მ შიდა ქართლისთვისაც მოიცალა. მით უმეტეს, რომ მეფე კარგად უწყოდა, რომ აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში მოქცეულ შიდა ქართლში მის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა იყო დანყებული. დაგვიანების შემთხვევაში საქმე შეიძლება უფრო გართულებულიყო.

ბაგრატ III დიდი ლაშქრით შიდა ქართლში გადავიდა. მან თიღვას დაიბანაკა. სწორედ აქ მოელოდა იგი განდგომილი ქართლის აზნაურების ჯარს, რომელსაც ქვთარ ტბელი სარდლობდა. გადამწყვეტ ბრძოლაში ბაგრატ III-მ გაიმარჯვა და უფლისციხესაც დაეპატრონა

აფხაზთა სამეფოს ერთიანობის აღდგენის შემდეგ, ბაგრატ III-მ ურჩი ყრმებისთვის მოიცალა. 988 წლის ახლო ხანებში მან იერიში მიიტანა რატი ბალვაშზე. ამ უკანასკნელმა მოახერხა ეს კონფლიქტი დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის დაპირისპირებაში გადაეზარდა. რატიმ დავითი დაარწმუნა, რომ ბაგრატი „არა სადა

წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა". კლდეკარის ერისთავმა და მისმა მომხრეებმა იმდენი შეძლეს, რომ დავითი შვილობილის ღალატში დააჯერეს და მის წინააღმდეგ აამხედრეს. იმერ ტაოს მეფემ ჯარი შეჰყარა და თრიალეთისკენ დაიძრა. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის საპირისპიროდ დაბანაკდნენ. გადამწყვეტ მომენტში ბაგრატ III მცირე ამალის თანხლებით ეახლა დავით კურაპალატს და ვითარების განმუხტვას შეეცადა. „მატიანე ქართლისასა" თქმით, ბაგრატ III-მ თავის მამობილს მიმართა: „სხჳსა არა რომლისთჳს მოვედ, გარნა არა მორჩილებისათჳს რატისა". ბოლოს და ბოლოს, ეს კონფლიქტი უსისხლოდ მოგვარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაგრატ III-მ კიდევ ერთხელ ილაშქრა რატი ერისთავის წინააღმდეგ და თრიალეთში ბალვაშთა თითქმის დამოუკიდებელ მმართველობას ბოლო მოუღო. ამავე პერიოდში მოხდა კიდევ ერთი ფაქტი, რომელმაც თითქმის საუკუნის მანძილზე განსაზღვრა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა. 987-989 წწ. ბიზანტიაში იფეთქა ბარდა ფოკას აჯანყებამ. დავით III კურაპალატი მეამბოხეთა მხარეზე დადგა. ფოკას გამოსვლის დამარცხების შემდეგ, კეისარი აჯანყების მონაწილეებისა და მათ მომხრეთა დასჯას შეუდგა. ქართველმა კურაპალატმა იმპერატორის რისხვის თავიდან ასაცილებლად დანაშაულის პატიება ითხოვა. ბასილი II-მ მხოლოდ ერთი პირობით უარი თქვა დავით კურაპალატის დასჯაზე: თუ ეს უკანასკნელი ფიცს დადებდა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სამეფო მემკვიდრეობით ბიზანტიას გადაეცემოდა. ასეთ ექსტრემალურ პირობებში დავით კურაპალატი იძულებული გახდა მიეღო ეს წინადადება. ამდენად, 989 წლის შეთანხმებით იმიერ ტაოს სამეფო მეფის გარდაცვალების შემდეგ იმპერიის მფლობელობაში გადადიოდა. დაპყრობის ამგვარ ფორმას საკმაოდ მოხერხებულად იყენებდა ბიზანტიის იმპერია. ამ მოვლენას ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ – ეტაპობრივი ინკორპორაციის პროცესი. პირველ ეტაპზე მზადდებოდა ერთგვარი იურიდიული საფუძველი ამა თუ იმ სამეფოს ბიზანტიასთან შეერთებისა, ხოლო შემდეგ „კანონიერების" დაცვით ხდებოდა ამ ტერიტორიის დაპყრობა. X-XI საუკუნეებში მარტო აღმოსავლეთში ამ გეგმით ბიზანტიელებმა მოახერხეს ტარონის, იმიერ ტაოს, ვასპურაკანისა და ანისის სამეფოების

დაპყრობა. უნდა ვაღიაროთ, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იყო მართლაც გენიალურად მოფიქრებული გეგმა.

1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძისამებრ, იმიერ ტაოს ბიზანტიელი იმპერატორი ბასილი II დაეპატრონა (ამ ფაქტის შესახებ ვრცლად ვისაუბრებთ სპეციალურ ნაწილში, რომელიც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს მიეძღვნება – ჯ. ს.). ბასიანში ჩამოსულ ბასილს ეახლნენ ბაგრატ III და გურგენ მეფეთ მეფე. ქართული წყაროების ცნობით, იმპერატორს მამა-შვილი საგანგებოდ დაუსაჩუქრებია და თან ბიზანტიური ტიტულები უბოძებია – ბაგრატ III-სათვის კურაპალატობა, ხოლო გურგენ მეფეთ მეფისათვის, შედარებით დაბალი ხარისხი – მაგისტროსობა. სხვათა შორის იმდროინდელი ქართული საზოგადოება ადვილად ჩასწვდა ბასილ II-ის ვერაგულ ჩანაფიქრს. მას, ამით მამა-შვილის გადაკიდება სურდა და მათ შორის, შურის ნიადაგზე, შუღლის ჩაგდება უნდოდა. სუმბატ დავითის ძის მითითებით: „და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი – გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკჯთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა". ამასთანავე, ბასილი II მოერიდა დავით კურაპალატის მამულების სრულ დაპყრობას და ამიტომ, იმიერ ტაოს სამეფოს ნაწილი სიცოცხლის ბოლომდე ფლობის უფლებით ბაგრატ III-ს დაუტოვა.

ბაგრატ III-ის ხელისუფლება განსაკუთრებით გაიზარდა XI საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც აფხაზთა სამეფო იწყებს თავის გარშემო საქართველოს გაერთიანებას. 1008 წელს გარდაიცვალა გურგენ მეფეთ მეფე და ბაგრატ III, როგორც მემკვიდრე, ამიერ ტაოს სამეფოს ეუფლება. 1008-1010 წწ. ბაგრატი კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის იბრძვის. მან კვირიკე კახთა მეფე ბოჭორმის ციხეში შეამწყვდია. მცირე ხნის შემდეგ ციხეც აიღო, კვირიკე თავისთან წამოუყვანია და „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი".

დაახლოებით 1011-1012 წწ. ბაგრატ III განძის ამირა ფადლონზე ლაშქრობს. ამ საშხედრო კამპანიაში მონაწილეობდა გაგიკ სომეხთა მეფეც, რომელსაც ასევე აწუხებდა განძის საამიროს გაძლიერება.

მოკავშირეებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ფადლონმა საგანგებო ხელშეკრულებით გააფორმა თავისი ვალდებულება ბაგრატ III-ს წინაშე.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ბაგრატ III უკომპრომისო იყო. მან საკუთარი ნათესავები – კლარჯეთის ერისთავებიც არ დაინდო. ქართულ წყაროებში ისინი „კლარჯ ხელმწიფეებად" არიან მოხსენიებულნი. მემატიანე აღნიშნავს, რომ სუმბატ არტანუჯელი და მისი ძმა გურგენი, ბაგრატის მამიდაშვილები ყოფილან. 1011 წლის ახლო ხანებში მეფემ ისინი სტუმრად ფანასკერტის ციხეში მიიწვია და შეიპყრო, მათი ოჯახი კი ამოწყვიტა. მხოლოდ ბაგრატ სუმბატის ძე და დემეტრე გურგენის ძე გადაურჩნენ მახვილს და თავი ბიზანტიას შეაფარეს.

ბაგრატ III-ის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ წყაროებში არაფერია აღნიშნული. მემატიანე მხოლოდ მიუთითებს: „ამისსა შემდგომად ბაგრატ მეფემან მოვლო ყოველი სამეფო თ-ესი, აფხაზეთი, ჰერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა კ-ევთა ტაოსათა. და მო-რა-ინია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა". სწორედ აქ, ფანასკერტის ციხეში 1014 წლის 7 მაისს, პარასკევ დღეს გარდაიცვალა ბაგრატ III. ანდერძისამებრ ზვიად მარუშიანმა მეფე აფხაზეთში წაასვენა და ბედიაში დაკრძალა.

საოცრად კონტრასტულია ბაგრატ III-ის პიროვნება. თავისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდებოდა ომსა და სისხლისღვრას, ნათესავების ამოწყვეტასაც კი. მეფე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველო ამიერკავკასიის ხალხებისათვის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად ქცეულიყო. თვით მშენებლობაშიც კი მომავალი ძლიერი საქართველოს იდეა იყო ჩადებული. მნახველი უნდა განეცვიფრებინა ამ შესანიშნავ ტაძრებს, ისინი „აფხაზთა სამეფოს" ძლევამოსილებაში დაერწმუნებინა. ბაგრატ III საკმაოდ მოხერხებულად უთავსებდა ერთმანეთს დიპლომატიასა და სამხედრო ძალის გამოყენებას. მან იცოდა რომელი ხერხი ვის წინააღმდეგ მიემართა. ბიზანტიასთან თუ ბაგრატ III მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას ატარებდა და არ ამწვავებდა ურთიერთობას, ამიერკავკასიის წვრილ-წვრილი სამეფო-სამთავროების მიმართ იგი აქტიურ სამხედრო ექსპანსიას ეწეოდა.

ამ დროისათვის ქართული პოლიტიკა ძირითადად ამიერკავკასიაში ჰეგემონიისაკენ იყო მიმართული. ქართველი მემატიანეს განცხადებით: „ბაგრატ მეფემან კურაპალატმან დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე, და ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო სომხითისა კელმწიფებითა. მეფე სპარსთა მეგობარ და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა, უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე".

გურგენ მეფეთ მეფე – ბაგრატ III-ის მამა. ამიერ ტაოს მეფე. ვრცლად მის შესახებ ჩვენ ვისაუბრებთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე საუბრისას.

გურანდუხტ დედოფალი – ბაგრატ III-ის დედა. აფხაზთა მეფის გიორგი II-ის ასული. მის შესახებ საგანგებოდ ვისაუბრებთ გურგენ მეფეთ მეფის ოჯახზე საუბრისას.

მართა დედოფალი – ბაგრატ III-ის მეუღლე. დედა გიორგი I-სა. ქართულ წყაროებში იგი არ იხსენიება. მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. მას მხოლოდ ორიოდ წარწერაში ვხვდებით. თუმცალა აღსანიშნავია, რომ ამ წარწერების წყალობით დედოფლის მხოლოდ სახელის დადგენაა შესაძლებელი. ბრეთის ვერცხლის ჯვრის წარწერაში ვკითხულობთ: „ქ. დაამყარე და ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე ძე მეფეთა მეფისა გურგენისი. ქრისტე შეიწყალე მართა დედოფალი". თ. ჟორდანიამ აქ მოხსენიებული მართა დედოფალი ბაგრატ III-ის მეუღლედ მიიჩნია. მანვე მოიხმო მ. ბროსეს წაკითხული გელათის ჯვრის წარწერაც, რომელიც ერთგვარად ამაგრებდა ამ მოსაზრებას. წარწერაში ნათქვამია: „ქ-ე შ-ე სული მეფისა პანკრატისა და დედოფლისა მართასი და ძე მათი მეფეთა მეფე გიორგი". ვფიქრობთ, არც ის ფაქტი უნდა იყოს შემთხვევითი, რომ გიორგი I-მა თავის ერთ-ერთ ასულს მართა შეარქვა, იქნებ სწორედ დედის საპატივცემულოდ. ბაგრატ III-ის მეუღლე, ოღონდ სახელის გარეშე, მოხსენიებულია ბაგრატის ტაძრის წარწერაში: „მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევა-

თაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით, ამენ".

გიორგი – ბაგრატ III-ის ვაჟი, საქართველოს მეფე 1014-1027 წლებში, იხ. *გიორგი I.*

ლიტერატურა

1. ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988.
2. გ. გაბუნია, საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედში და XI საუკუნის დასაწყისში, ქუთაისი, 1997.
3. რ. გოგოლაური, ბაგრატ კურაპალატის სამართლის ავტორის ვინაობისათვის, კრ.: მესხეთი, ტ. III, თბილისი-ახალციხე, 1999.
4. ვ. გუწუა, ბაგრატ III, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977.
5. ა. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975.
6. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969.
7. მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწ., თბ., 1998.
8. მ. ლორთქიფანიძე, მეფე ბაგრატ მესამე, ქუთაისი, 2002.
9. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
10. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
11. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980.
12. გ. მჭედლიძე, ბაგრატ III-ის საქართველო, ქუთაისი, 1996.
13. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
14. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.
15. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, ტფ., 1892.
16. ჯ. სამუშია, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გენეალოგიიდან, წიგნ.: ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნ.: I, თბ., 1999.

17. ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VI, თბ., 1985.
18. ვ. სილოგავა, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ქრონოლოგიიდან (კახეთის შემოერთება 1003 წ.), კრ.: მრავალთავი, XIX, 2001.
19. ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან, კრ.: ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, № 4, 1995.
20. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 1990.
21. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ტ. II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ.: I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980.
22. ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, კრ.: მრავალთავი, ტ. II, თბ., 1973.
23. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, ივ. ჯავახიშვილი, ოხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. 1983.
24. **З. В. Анчабадзе**, Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959.
25. **М. Лорткипанидзе**, Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв., კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1972.
26. **М. Д. Лордкипанидзе**, История Грузии XI – начало XIII века, Тб., 1974.
27. **Г. Н. Чубинашвили**, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.

გიორგი I

გიორგი I. ბიზანტიური მინიატიურა.

გიორგი I-ის ოჯახი

საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (1014-1027) საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა. მართალია, გიორგი I სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ იგი ამ დროს უკვე ხუთი შვილის მამა იყო. „მატიანე ქართლისას“ ავტორი საგანგებოდ დასძენს: „ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტ და კატა; მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებულ იყო“.

გიორგი I-ის მეულლე მარიამ დედოფალი ვასპურაკანის სომხური სამეფოს მეფის სენექერიმ არწრუნის შვილი გახლდათ. მარიამს, გიორგისაგან შეეძინა ვაჟი ბაგრატი, მომავალი საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) და ასულები, გურანდუხტი, მართა და კატა.

გიორგი I-ის მეორე მეულლე იყო ოსთა მეფის ასული ალდე, რომელთანაც მეფეს ერთადერთი ვაჟი – დემეტრე უფლისწული ჰყავდა.



გიორგი I, საქართველოს მეფე 1014-1027 წლებში. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავა. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თჳსსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და

სიჭაბუკისა მისისასაო". რა თქმა უნდა, ბაგრატ III-ის მიერ შექმნილი სახელმწიფოს გაძლოლა არც ისე ადვილი იყო, მითუმეტეს ახალგაზრდა მონარქისათვის.

როდის დაიბადა გიორგი I?

ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ წერილობით წყაროებში ერთმანეთის სანინააღმდეგო ცნობებია შემონახული. განსხვავებაა არა მარტო მემატიანეთა ცნობებში, არამედ ერთი და იგივე წყაროს სხვადასხვა ხელნაწერს შორისაც კი. „მატიანე ქართლისას" თხზულების ანასაეულ (A) და ჭალაშვილისეულ (C) ნუსხებში აღნიშნულია, რომ გიორგი I 12 წლის გამეფებულა. მაშასადამე, იგი 1002 წელს უნდა იყოს დაბადებული. იმავე წყაროს მარიამისეულ (M), თეიმურაზისეულ (T) და მაჩაბლისეულ ხელნაწერში კი თექვსმეტი („ათექუსმეტი") წელია აღნიშნული. „მატიანე ქართლისას" დანარჩენ გვიანდელ ნუსხებში 18 წელია მითითებული. სწორედ ამ უკანასკნელ ვარაუდს ეთანხმება სუმბატ დავითის ძე. ამ მონაცემთა გათვალისწინებით გიორგი შეიძლება დაბადებულიყო 996, ან 998, ან არადა 1002 წელს. ამჟამად ჭირს იმის გადაწყვეტით თქმა, რომელ ამ თარიღთაგანს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა. ერთი რამ შეიძლება აღინიშნოს, რომ ანასეული და ჭალაშვილისეული ნუსხების ინფორმაციები აშკარად გადასახედია. იგი შემდეგდროინდელ გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომიდან უნდა მომდინარეობდეს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ 12 წლის ადამიანს ძველად საქართველოში „ყმას" უწოდებდნენ, ეს მაშინ, როცა მემატიანესთან აღნიშნულია, რომ გიორგი უფლისწული გამეფებისას ყოფილა „სიყრმისა და სიჭაბუკის" ასაკში. ახალგაზრდა მეფე „ყრმა" კი არ არის, არამედ იგი „სიჭაბუკის" ასაკშია უკვე გადასული. ასეთი კი შეიძლება იყოს 16 ან 18 წლის ახალგაზრდა და არავითარ შემთხვევაში 12 წლის ბავშვი. ამდენად გიორგი I-ის დაბადების თარიღად, სავარაუდოდ, შეიძლება ვცნოთ 996 ან 998 წელი.

გიორგი I-ს ტახტზე ასვლისთანავე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა გართულდა. ბიზანტიის იმპერატორმა ახალგაზრდა მონარქს გამეფებისთანავე შეახსენა, რომ მამამისს – ბაგრატ III-ს, დავით კურაპალატის მამულებიდან სიცოცხლის ბოლომდე ფლობის უფლებით გარკვეული ტერიტორიები ეკავა. ამჟამად კი, ბასილ II მათ დათ-

მობას ითხოვდა. საქართველოს სამეფო კარმა უარით გაისტუმრა ბიზანტიელი ელჩები. ამის საპასუხოდ, იმპერატორმა სამხედრო რაზმები გამოგზავნა და ძალით შეეცადა ამ მიწების ხელთგდებას. ქართველმა მხედრობამ, გიორგი I-ის სარდლობით, მტერი დაამარცხა და ოლთისამდე სდია. ამ ნარუმატებლობის შემდეგ, ბასილ II-მ დროებით შეაჩერა სამხედრო კამპანია ამიერკავკასიაში და მომავლისათვის გადასდო. ამ დროს ბიზანტიას არ ეცალა საქართველოსთვის, იგი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე იყო ჩაბმული ბულგარეთის სამეფოს წინააღმდეგ ომში. ორ ფრონტზე ბრძოლა კი სახიფათო იყო იმპერიისათვის. ბალკანეთში შექმნილი ვითარების შესახებ კარგად უწყოდნენ საქართველოში და სამეფო კარი ცდილობდა ბიზანტია-ბულგარეთის ომი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. 1015-1018 წწ. გიორგი I-მა მთლიანად დაიკავა იმერ ტაო და ქვემო ბასიანის ტერიტორია. ქართველი მეომრები ზემო ბასიანის გარკვეულ ნაწილსაც დაეუფლნენ.

გიორგი I-ის გამეფებისას, მემატიანის სიტყვით, კახეთ-ჰერეთის ერისთავებს შეუპყრიათ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და კვლავ დამოუკიდებლობა გამოუცხადებიათ. რა თქმა უნდა, წარმატებით დაწყებული ქვეყნის გაერთიანების პროცესი, ამით გარკვეულწილად ფერხდებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. კახეთ-ჰერეთის სამეფოს აღორძინება არ ნიშნავდა იმას, რომ ეს სახელმწიფო, ამის შემდეგ, სრულ დამოუკიდებლობას აღწევდა. იგი „აფხაზთა და ქართველთა" მეფის მორჩილი და ყმადნაფიცი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ამ მოვლენის შემდეგ, კახეთ-ჰერეთის სამეფო, ყოველთვის გიორგი I-ის მომხრე კოალიციის აქტიური წევრი იყო.

ამ დროს, გიორგი I, არა მარტო ბიზანტიის განდევნას ცდილობდა იმერ ტაოსა და ბასიანიდან, არამედ აქტიურად ერეოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა საქმიანობაში. 1017 წ. ანის-შირაკის მეფის გაგიკ I-ის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო სისხლისმღვრელმა ომმა მოიცვა. ტახტის დასაუფლებლად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გაგიკის შვილები, ჰოვჰანეს-სუმბატი და აშოტი. როგორც სომხურ წერილობით წყაროებშია მოთხრობილი, ძმებს შორის ატეხილ უთანხმოებაში ჩარეულა საქართველოს მეფე გიორგი I. არისტაკეს ლასტივერტეცი დასძენს: „მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად

შეარიგა ისინი... სუმბატს (ასაკის) უფროსობის გამო (გიორგიმ) მისცა ნილი: ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთს და საქართველოს უყურებდა". ანის-შირაკის სამეფოს საქმეებში თუ გიორგი I უშუალოდ ერეოდა, მეორე სომხურ სახელმწიფოსთან – ვასპურაკანის სამეფოსთან მას მოყვარული ურთიერთობა ჰქონდა. გიორგი I-ის მეუღლე მარიამ დედოფალი ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის ასული იყო. ამ ქორწინებასაც გარკვეული პოლიტიკური სარჩელი უნდა დებოდა. გიორგი I აღმოსავლეთში ქმნიდა საკმაოდ დიდ ალიანსს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ, რამეთუ საქართველოს სამეფო კარი კარგად უწყოდა, რომ გადამწყვეტი ომი იმპერიასთან ჯერ კიდევ წინ იყო. სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილი უნდა ყოფილიყო გიორგი I-ის კავშირი ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფასთან ალ-ჰაქიმთან.

1018 წელს ქ. დრაჩის გარემოცვისას გარდაიცვალა ბულგარეთის მეფე ივანე ვლადისლავი. ეს იქცა მრავალი ბულგარელი დიდებულის კაპიტულაციის მიზეზად. ბულგარეთის პირველმა სახელმწიფომ თავის 340 წლიანი არსებობა შეწყვიტა. 1019 წელს იმპერატორი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. ამიერიდან, ბასილი II-მ აღმოსავლური პოლიტიკისათვის მოიცალა. იმპერატორმა პირველად ალ-ჰაქიმის მოშორება გადაწყვიტა. ამ დროს, გაურკვეველ ვითარებაში, ეგვიპტის ფატიმიდი ხალიფა გაუჩინარდა. იმთავითვე ყველას სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ ამ საქმეში ბიზანტიელთა ხელი უნდა ყოფილიყო გარეული. ალ-ჰაქიმის ჩამოშორების შემდეგ, ბასილი II-მ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისათვის მოიცალა. იმპერატორმა ლაშქრობისათვის საჭირო სურსათი, ფურაჟი და იარაღი ანტიოქიაში გაგზავნა. ყველას ეგონა, რომ ბიზანტიელები სირიაში მიდიოდნენ სალაშქროდ. ყველაფერი კი კეთდებოდა იმისათვის, რომ გიორგი I-ის ყურადღება მოედუნებინათ. უეცრად, 1021 წელს ბასილი II-მ გზიდან ჯარები შემოატრიალა და საქართველოსკენ გამოილაშქრა. გიორგი I, როგორც ჩანს, მიხვდა ბიზანტიელთა მანევრს და მომზადებული დახვდა მტერს. ქართველთა ლაშქარი ბასიანში დაბანაკდა. ბიზანტიელთა და ქართველთა ჯარები რამდენიმე დღის განმავლობაში პირისპირ იდგნენ, მაგრამ ვერ გაბედეს შებრძოლება. გიორგი I-მა თავი აარიდა ბასიანის ველზე ბასილი II-ის ჯარებთან შებმასა და უკან დაიხია. იმპერიის სამხედრო ნაწილები

ქართველებს დაედევნენ. პირველი დიდი ბრძოლა ქართველების არიერ-გარდსა და ბიზანტიელთა ავანგარდს შორის მოხდა სოფ. შირიმნის მიდამოებში. ბრძოლაში ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა. გიორგი I იძულებული შეიქნა კვლავ უკან დაეხია და საქართველოს სილრმეში გამაგრებულიყო. პასილი II-მ სასტიკად მოაოხრა სამხრეთი საქართველო და გამოსაზამთრებლად ტრაპიზონში დაბანაკდა. სამხედრო კამპანია 1022 წელსაც გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს, გიორგი I იძულებული შეიქნა დაზავებულიყო ბიზანტიასთან. ზავის პირობების მიხედვით, ქართველები უარს ამბობდნენ დავით კურა-პალატის სამფლობელოზე და კონსტანტინოპოლში მძეკლად ტახტის მცირენლოვან მემკვიდრეს ბაგრატ უფლისწულს აგზავნიდნენ.

ბასილი II-სთან წარუმატებელი ომის მიუხედავად, გიორგი I-ს არ შეუწყვეტია ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა. საქართველოს მეფე შე-ეცადა, ამ დაპირისპირებაში ჩრდილო კავკასიის ჩაბმას. დაახლ. 1026 წლისათვის საქართველოს მეფე გაეყარა თავის პირველ ცოლს მარიამ დედოფალს და ოსთა მეფის ასულ ალდეზე დაქორწინდა. გიორგი I ცდილობს ახალი ანტიბიზანტიური კოალიციის ფორმირებას, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა საქართველოს მეფის ეს გეგმა ჩაშალა. გარდა-ცვალებამდე მცირე ხნით ადრე გიორგიმ განძაზე ილაშქრა, მაგრამ უშედეგოდ.

გიორგი I 1027 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა თრიალეთში. დაკრძალეს ქუთაისში – ბაგრატის ტაძარში.

მარიამ დედოფალი – გიორგი I-ის მეუღლე, ვასპურაკანის მეფის სენექერიმ არწრუნის ასული. დაბადებული უნდა იყოს XI საუკუნის დასაწყისში.

1025 წლის ახლო ხანებში გიორგი I გაეყარა მარიამს და ცოლად ოსთა მეფის ასული მოიყვანა. სამეფო ოჯახში მომხდარ ამ კონფ-ლიქტს პოლიტიკური სარჩული უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ, საქართ-ველოს მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია და 1027 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. ტახტი დაიკავა მარიამისა და გიორგის ვაჟმა ბაგრატ IV-მ. ახლაგაზრდა მეფე ამ დროს მხოლოდ 9 წლის იყო და სახელ-მწიფო საქმეებს ფაქტობრივად მარიამ დედოფალი განაგებდა. სწორედ

ამიტომ იყო, რომ 1029-1030 წლებში ბიზანტიაში წასულ საქართველოს სამეფოს დელეგაციას სათავეში მარიამი ედგა. ბიზანტიიდან დაბრუნებულმა დედოფალმა თავის ვაჟს „მოართვა პატიები კურაპალატობისა", ამასთანავე, მარიამმა ბაგრატ IV-ს ბიზანტიიდან ჩამოუყვანა მისი მომავალი მეუღლე ელენე დედოფალი.

ქვეყნის მართვაში მარიამ დედოფლის როლი საგანგებოდაა აღნიშნული „მატიანე ქართლისაში". მას კონკრეტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მიუწვდებოდა ხელი.

მარიამი კვლავ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშია XI საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში. 1045 წლისათვის მარიამი ანისის სამეფოს მესვეურებმა ქვეყნის გამგებლად მიიწვიეს. ამ დროს ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ანისის სამეფოს ოკუპაციას და, ფაქტობრივად, მარიამ დედოფალს ამ აგრესიის შეჩერება უნდა მოეხდინა. ანისში დედოფალთან ერთად გაიგზავნა საქართველოს სამეფოს ჯარები და გაელენიანი დიდებულები. მაგრამ, იმდენად, მასშტაბური იყო ბიზანტიელთა აგრესია, რომ 1045 წლის შემოდგომაზე ქალაქი დაეცა და ანისის სამეფო იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა. მარიამ დედოფალი ანისიდან კვლავ საქართველოში დაბრუნდა.

XI საუკუნის 50-იანი წლის დასაწყისში საქართველო კიდევ ერთმა ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომმა მოიცვა. თურქ-სელჩუკთა ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიელთა დახმარებით მალევე აღიდგინა დაკარგული უფლებები საქართველოში და მთელ მესხეთს დაეპატრონა. ბაგრატ IV-მ, კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახთან მოლაპარაკების გამართვა გადაწყვიტა და ბიზანტიას ეწვია. მეფის ამალაში იყო მარიამ დედოფალიც. გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში" საგანგებოდ მოგვითხრობს მარიამის ბიზანტიაში მოღვაწეობის შესახებ. კონსტანტინოპოლში საქართველოს დედოფალი დაემოწაფა გიორგი მთაწმინდელს და „იკურთხა მის მიერ სქემითა". შემონაზვნების შემდეგ, მარიამი მცირე ხანს კიდევ დარჩა კონსტანტინოპოლში.

სამშობლოში დაბრუნებულმა ბაგრატ IV-მ 1056 წელს თავისი ქალიშვილი მართა გაგზავნა ბიზანტიაში აღსაზრდელად. პატარა პრინცესას,

კონსტანტინოპოლში ბებია მარიამი მიეგება. გიორგი მცირეს თქმით, მართას ჩამოსვლისას „მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედაჲ ბაგრატ მეფისა, მუნ იყო".

საქართველოს დედოფალი დიდ ზრუნვას იჩენდა უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების მიმართ. გიორგი მცირეს მითითებით, მას კონსტანტინე IX მონომახისაგან საგანგებოდ გამოუთხოვია „ლიტრაჲ ერთი როქად" ათონის ქართველთა მონასტრისთვის. მარიამის მიერ ათონის ბერებისადმი დახმარება საგანგებოდაა აღნიშნული „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში". 15 აგვისტოს განწესებულ აღაპში ვკითხულობთ: „თუესა აგჳსტოსსა იე, მარიამობაჲ. მარიამ დედოფალმან, ბაგრატ კურაპალატისა დედამან, ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა ბერძენთა მეფისაგან, სალოცველად და საკსენებლად მისდა საუკუნოდ".

ბიზანტიაში ყოფნისას მარიამ დედოფალს გადაუწყვეტია წმინდა ადგილთა მოსალოცად იერუსალიმში გამგზავრება. ამ დროს იერუსალიმის გარშემო მეტად მძიმე პოლიტიკური ვითარება სუფევდა. ბიზანტიელები შეეცადნენ, მარიამისათვის ხელი აეღებინებინათ განზრახულ მოგზაურობაზე. გიორგი მცირეს თქმით, მათ გიორგი მთაწმინდელს სთხოვეს დედოფლის დაყოლიება. გიორგი მთაწმინდელმა, მართალია, მოახერხა დედოფლისათვის უარი ეთქმევინებინა იერუსალიმში ნასვლაზე, მაგრამ მან, სამაგიეროდ, თავად იკისრა მარიამის მიერ ქვრივობოლთა, ღატაკთა და ეკლესია-მონასტრებისათვის წამოღებული თანხის წმინდა ქალაქში ჩატანა. იერუსალიმიდან მშვიდობით დაბრუნებულმა გიორგი მთაწმინდელმა მარიამი შავ მთაზე ინახულა. ამის შემდეგ მალევე მარიამი სამშობლოში გამომგზავრებულა.

ბაგრატ IV-ის გარდაცვალების დროს მარიამ დედოფალი ცოცხალია და მოხსენიებულია იმ პირთა შორის, რომლებმაც ინახულეს მომაკვდავი მეფე.

მარიამის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. 1104 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში" იგი უკვე გარდაცვალებულად იხსენიება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „წმიდასა დედოფლისა და ღმრთივ სულიერისა დედისა ჩვენისა მარიამ მონაზონისა საუკუნომცა არს კსენებაჲ".

ალდე დედოფალი – გიორგი I-ის მეორე ცოლი, ოსთა მეფის ასული. ქართული წყაროებიდან მას „მატიანე ქართლისა" იხსენიებს. მისი სახელი კი შემონახულია ბიზანტიელ ავტორთან სკილიცე-კედრენესთან.

ალდე დედოფლის და გიორგი I-ის ქორწინება 1026 წლის პირველ ნახევარში უნდა მომხდარიყო. ახალი დინასტიური კავშირებით საქართველოს მეფე მიისწრაფოდა მძლავრი ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნისაკენ, მაგრამ მას ეს არ დაცალდა, ვინაიდან მალე გარდაიცვალა. ბაგრატ IV-ის გამეფების შემდეგ ალდე და მისი პირმშო დემეტრე უფლისწული ანაკოფიის ციხეში იმყოფებიან. 1033 წელს სამეფო კარი შეეცადა ალდესა და დემეტრეს ანაკოფიიდან გამოტყუებას, მაგრამ ვერ შესძლეს. ალდემ ანაკოფიაში ბიზანტიელები მოიწვია და მათ გადასცა ციხე, თავად კი კონსტანტინოპოლში წავიდა, სადაც გარკვეული ხანი ცხოვრობდა. შვილის – დემეტრე უფლისწულის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მოგვიანო წყაროებშია მოთხრობილი, ალდემ შვილიშვილი – დავითი თავის სამშობლოში – ოსეთში წაიყვანა და იქ გაამეფა. ბაგრატიონთა ოსეთის შტო სნორედ აქედან ილებს სათავეს, რომელსაც ეკუთვნოდა დავით სოსლანი.

უცნობია გარდაცვალების თარიღი და დაკრძალვის ადგილი.

ბაგრატი – გიორგი I-ის ვაჟი. საქართველოს მეფე 1027-1072 წლებში. იხ. *ბაგრატ IV.*

გურანდუხტ დედოფალი – გიორგი I-ის ასული. ტაშირ-ძორაგეტის მეფის სუმბატის მეუღლე.

გურანდუხტი პირველად მოიხსენიება, როდესაც „მატიანე ქართლისას" უცნობი ავტორი გიორგი I-ის ასულებს ჩამოთვლის.

„მატიანე ქართლისა" გურანდუხტ დედოფალს კვლავ უბრუნდება XI საუკუნის 50-იანი წლების ამბების გადმოცემისას. ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში წასვლის შემდეგ, ქვეყანას მისი სახელით გიორგი უფლისწული განაგებდა. მაგრამ მეფეს დიდხანს მოუწია ბიზანტიაში დარჩენა. ამ დროს „აფხაზ მეფეთა" ძალაუფლება რეალურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო ლიპარიტ ბალვაშს ჰქონდა დაპყრობილი. როგორც ჩანს, კონსტანტინოპოლში გაფორმებული გარკვეული შეთანხმების შემდეგ

ლიპარიტ ბალვაშმა ბორენა დედოფლისაგან და სამეფო კარისაგან გიორგი უფლისწული ითხოვა ერთიანი საქართველოს მეფედ. ბუნებრივია, ეს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ამიტომ, სამეფო კარი კლდეკარის ერისთავის ამ წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდა. გიორგი უფლისწული რუისის ტაძარში მეფედ აკურთხეს. მემატიანე ამ ამბის გადმოცემისას აღნიშნავს: „მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისა გურანდუხტ დედოფალი". „აფხაზთა და ქართველთა" სამეფოში ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა შეიქმნა. ამ სიტუაციაში გურანდუხტ დედოფალი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. ლიპარიტ ბალვაშთან ერთად იგი საქართველოს მმართველობაში მონაწილეობს. ლიპარიტი გიორგის „აღმზრდელია", ხოლო გურანდუხტი – უფლისწულის „პატრონი". გურანდუხტი რომ საქართველოს მეფის რეგენტი და მისი უფლებების აღმსრულებელია, კარგად ჩანს, „მატიანე ქართლისას" განცხადებიდან, რომ სწორედ მის კომპეტენციაში ყოფილა ბიზანტიიდან ბაგრატ IV-ის გამოწვევა. მემატიანეს მითითებით, – „მოითხოვა გურანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგანო".

ბაგრატ IV-ის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გურანდუხტი უნინდებურად ასრულებდა თავის მოვალეობას და გიორგი უფლისწულის გვერდით იყო.

1064 წ. ალფ-არსლანის სამხრეთ საქართველოში შემოსევისას ბაგრატ IV თავის ოჯახთან ერთად ხეკრებულთან იდგა, მას „თანა ჰყვანდეს დედა, და დაჲ, და ძე მისი გიორგი ... და აყრისა მისისა ჟამსა მოუკდა ლაშქარი სულტანისა". სამეფო ამალამ მოახერხა მტერს დასხლტომოდა. ამ მოვლენის შემდეგ გურანდუხტს დიდხანს აღარ უნდა ეცოცხლა. ყოველ შემთხვევაში, 1072 წლისათვის იგი უკვე გარდაცვლილი ჩანს. ამას გვაფიქრებინებს მომაკვდავი ბაგრატ IV-ის დედისადმი მიმართული სიტყვები: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგჲქციენ წინა და ეგრეთცა შენ მოჰკუდები". მეფის სასიკვდილო სარეცელზე ნათქვამიდან, კარგად ჩანს, რომ ბაგრატის გარდა მარიამ დედოფლის ყველა შვილი ამ ხანებისათვის უკვე გარდაცვლილნი ყოფილან, მათ შორის, რა თქმა უნდა, გურანდუხტ დედოფალიც.

ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა გურანდუხტ დედოფლის მეუღლის ვინაობასთან დაკავშირებით.

სომეხი ისტორიკოსების – ს. ერემიანის, გ. მკრტუმიანის და სხვათა აზრით, გურანდუხტი ცოლად ჰყავდა ყარსის მეფეს გაგიკს. ამ ვარაუდის საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა შ. დარჩიაშვილმა, რომლის მიხედვით გურანდუხტი ვანანდის (ყარსის) სამეფოში კი არ ყოფილა გათხოვილი, არამედ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში. მეცნიერების აზრით, XI ს. 60-იან წლებში ტაშირ-ძორაგეტში ორმეფობაა. ამას ადასტურებს სანაჰირსა და ჰალბატის ეკლესიის წარწერები. ამ წარწერებში კვირიკესთან ერთად მეფედ იხსენიება მისი ძმა სუმბატიც. შ. დარჩიაშვილის აზრით, გურანდუხ დედოფალი სწორედ სუმბატის მეუღლე უნდა იყოს.

მართა – გიორგი I-ის ასული, იგი მცირეწლოვანი გარდაიცვალა. 1027 წლისათვის იგი უკვე ცოცხალი აღარ ჩანს. „მატიანე ქართლისას" ჩვენებით: „მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებული იყო".

კატა – გიორგი I-ის ასული. ქართულ წყაროებში ერთადერთჯერ გვხვდება. მარმაშენის მონასტრის წარწერაზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კატა 1033 წლისათვის უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს.

დემეტრე – გიორგი I-ის ვაჟი მეორე ქორწინებიდან. იგი დაახლოებით 1026-1027 წწ. მოჯნაზე უნდა დაბადებულიყო. მამის გარდაცვალების შემდეგ დედამისმა ალდემ პატარა უფლისწული ანაკოფიის ციხეში წაიყვანა. XI საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ქართველ ფეოდალთა ნაწილს სურდა დემეტრეს გამეფება, მაგრამ უფლისწულის მცირეწლოვნობის გამო ვერ შეძლეს.

1033 წელს დემეტრე უფლისწული დედამ ბიზანტიაში ჩაიყვანა. სკილიცე-კედრენეს ცნობით: „გიორგი აფხაზის მეუღლე ალდე, ტომით ალანი, მიემხრო მეფეს და გადასცა მას უმტკიცესი ციხე ანაკუფე; მის ვაჟს დემეტრეს მეფემ უბოძა მაგისტროსის პატივი". მოგვიანებით ბიზანტიელთა წაქეზებით დემეტრემ რამდენიმეჯერ აუშალა ქვეყანა თავის ნახევარძმას ბაგრატ IV-ს.

1041 წელს კლდეკარის ერისთავმა „გამოიყვანა... დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფის ლაშქრითა". აჯანყებულებმა ჯერ მესხეთში, შემდეგ კი შიდა ქართლში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ იმპერატორის სიკვდილმა განდგომილებს ხელი შეუშალა და მათ, საომარი მოქმედებები შეწყვიტეს. ბაგრატ IV და ლიპარიტ ბალვაში ერთმანეთს დაუჭავდნენ. ბიზანტიელთა ჯარმა საქართველო დატოვა.

მეორეჯერ დემეტრე საქართველოში თავის უფლებებისათვის საბრძოლველად ჩამოდის 1045 წლისათვის. ამჯერადაც მას განდგომილი ლიპარიტ ერისთავი იწვევს, მისი „კანონიერი" უფლებების დამცველად კი ბიზანტიის იმპერია გვევლინება. მაგრამ 1046 წლის დასაწყისში გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე დემეტრე უეცრად გარდაიცვალა. დაკრძალვის ადგილი უცნობია.

დემეტრე უფლისწულს, სავარაუდოდ, კონსტანტინოპოლში უნდა შეერთო ცოლი, რომელთანაც შეეძინა ვაჟი დავითი. ეს უკანასკნელი ბებიამ, მოგვიანებით, ოსეთში წაიყვანა და იქ გაამეფა.

ლიტერატურა

1. არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი, გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974.
2. შ. ბადრიძე, შირიმნის ბრძოლის ლოკალიზაციისა და თარიღის შესახებ, წიგნ.: შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.
3. გ. ბუაჩიძე, საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023 წლებში), კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 4, თბ., 1997.
4. ვ. გაბაშვილი, საქართველო-ავვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 125, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968.
5. გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა, გეორგიკა, ტ. V, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963.
6. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969.
7. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

8. მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწ., თბ., 1998.
9. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
10. გ. მაისურაძე, ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში, თბ., 2002.
11. რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი (ბიზანტია-ბულგარეთის 1014-1018 წწ. ომი და საქართველო), წიგნ.: რ. მეტრეველი, „და მოვიდეს ვარანგნი..." (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები), თბ., 1988.
12. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
13. ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 9, თბ., 2002.
14. ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის ბოლო მეოთხედსა და XI ს-ის პირველ მეოთხედში, კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VI, თბ., 1985.
15. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 1990.
16. ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში, კრ.: მრავალთავი, ტ. II, თბ., 1973.
17. ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან გიორგი I-ის მეფობის ხანაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ., 1968.
18. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
19. **М. Лордкипанидзе**, История Грузии XI – начала XIII века, Тб., 1974.
20. **К. Н. Юзбашиян**, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XII вв., М., 1988.



პაგრატ IV

ბაგრატ IV-ის პორტრეტი არ არის შემორჩენილი

ბაგრატ IV-ის ოჯახი

საქართველოს მეფე ბაგრატ IV 45 წლის განმავლობაში ედგა ქვეყანას სათავეში. წარმატება და წარუმატებლობა მისი მეფობის თანამდევი იყო. მაგალითად, 1045 წლისათვის ბაგრატ IV აკონტროლებდა თითქმის მთელ საქართველოს, მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ანისის სომხური სამეფო. იმავე წლის მიწურულს კი მთელი ეს წარმატება უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა (ფეოდალთა გაუთავებელი გამოსვლები, ბიზანტიელთა და თურქ-სელჩუკთა შემოსევები...), ბაგრატ IV-ს შეეძლო ეზრუნა ქვეყნის საზღვრების გაფართოებისა და, საერთოდ, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდისათვის.

ბაგრატ IV-ის პირველი ცოლი ბიზანტიელი პრინცესა იყო, მაგრამ იგი საქართველოში ჩამოყვანისთანავე გარდაიცვალა. მეფეს მასთან შვილი არ შეძენია. საქართველოს მეფის მეორე ცოლი ოსთა მეფის ასული ბორენა დედოფალი იყო. ბაგრატს მასთან ორი შვილი შეეძინა მართა და გიორგი. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატ IV-ს მესამე შვილიც ჰყავდა მარიამი, მაგრამ ეს მოსაზრება დამატებით არგუმენტებს მოითხოვს.



ბაგრატ IV – საქართველოს მეფე 1027-1072 წლებში. დაიბადა 1018 წლისთვის. 1022 წელს, საქართველო-ბიზანტიის ხელშეკრულების ძალით, იმპერატორმა ბასილ II-მ იგი კონსტანტინოპოლში წაიყვანა მძეულად, სადაც პატარა უფლისწულმა სამი წელი გაატარა. 1025 წლისათვის მომაკვდავმა ბასილმა იგი სამშობლოში გამოაგზავნა. ქართველი დიდებულები უფლისწულს ტაოში მიეგებნენ და დიდი ზეიმით ჩამოიყვანეს ქუთაისში.

მამის გარდაცვალების შემდეგ ცხრა წლის ბაგრატმა სამეფო ტახტი დაიკავა. მონარქის მცირეწლოვნობის გამო ქვეყანას ფაქტობრივად მარიამ დედოფალი განაგებდა.

ძლიერი გიორგი I-ის გარდაცვალებით ისარგებლეს ცენტრალური ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ამიერ ტაოს ფეოდალებმა და თავიანთი ციხეები ბიზანტიელებს გადასცეს. ამ მოვლენას უშუალოდ მოჰყვა იმპერიის ჯარების საქართველოში შემოჭრა. 1028 წელს ნიკოლოზ პარაკიმომენის სარდლობით ბიზანტიელებმა საგულდაგულოდ მოარბიეს ჯავახეთი და თრიალეთი. მეორე სარდალმა იოანე ხარტულარმა კი შავშეთ-კლარჯეთი დალაშქრა. ამ უკანასკნელთან ერთად იბრძოდა ბაგრატ III-ის მიერ ამოწყვეტილი კლარჯი ხელმწიფეების ნაშიერი დემეტრე.

1028 წელს იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალებისთანავე საომარი მოქმედებები საქართველოში შეწყდა. ახალმა იმპერატორმა რომანოზ III არგიროსმა ნიკოლოზ პარაკიმომენი საქართველოდან გაიწვია. ამას მოჰყვა მარიამ დედოფლის ვიზიტი კონსტანტინოპოლში, რომელმაც საბოლოოდ დაარეგულირა საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობები. იმპერატორმა რომანოზ III-მ ბაგრატ IV-ს კურაპალატობის ტიტული უბოძა და მას ცოლად თავისი ძმისშვილი ელენე დედოფალი შერთო. ბაგრატ IV-სა და ელენეს ქორწილი ბანას ტაძარში გადაიხადეს.

1032 წლის ახლო ხანებში ელენე დედოფალი გარდაიცვალა და ამან მკვეთრად შეცვალა ქვეყნის პოლიტიკური კურსი. 1033 წელს ბიზანტიური გარნიზონები ანაკოფიის ციხეში ჩადგნენ. ამავე პერიოდში ლიპარიტ ბალვაშმა და ივანე აბაზასძემ მუხათგვერდთან შეიპყრეს თბილისის ამირა ჯაფარი და ბაგრატ IV-ს მიჰგვარეს. მეფემ გარკვე-

ული პირობით ჯაფარი კვლავ თბილისში დააბრუნა. 1038 წლის ახლო ხანებში საქართველოს მეფემ, კლდეკარის ერისთავის ნაქეხებით, კვლავ შეუტია თბილისის საამიროს და ქალაქს ალყა შემოარტყა. მაგრამ ბოლო მომენტში ბაგრატ IV-მ, ლიპარიტ ბალვაშთან შეუთანხმებლად, თბილისს გარემოცვა მოხსნა და კახეთ-ჰერეთზე ილაშქრა. ამან გაანაწყენა კლდეკარის ერისთავი და 1041 წლის დასაწყისში აჯანყების დროშა ააფრიალა. საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი გაგრძელდა.

1045 წლისათვის ბაგრატ IV-ს თბილისის ბერები ეწვივნენ და ქალაქი გადასცეს. ამავე პერიოდში ანისის სამეფოში მმართველად ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი მიიწვიეს. საქართველოს მეფე რამდენიმე ფრონტით დაუპირისპირდა ბიზანტიას, მაგრამ 1045 წლის მინურულს მისი პოზიციები საგრძნობლად შეირყა. დასაწყისში ბიზანტიელებმა მარიამ დედოფალი და ქართველი დიდებულები ანისიდან გამოაძევეს და ქალაქს თავად დაეპატრონენ. ამის შემდეგ, ბერძნების ჯარით ზურგგამაგრებული ლიპარიტ ბალვაში საქართველოში შემოიჭრა. ბაგრატ IV-მ თბილისი მიატოვა და ჯავახეთში დაბანაკდა, მაგრამ, ამჯერად, ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჯანყებულ ლიპარიტ ბალვაშს შორის ბრძოლა არ მომხდარა. ბაგრატ IV-მ დაინახა რა, რომ ძალები არათანაბარი იყო, მიატოვა ჯავახეთი და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. გადამწყვეტი ბრძოლა 1046 წელს მოხდა სასირეთის ჭალასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ IV-ს მხარეზე იბრძოდნენ დაქირავებული ვარანგები (ვიკინგები), მეფე სასტიკად დამარცხდა. მცირე ხნის შემდეგ, ბაგრატ IV შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას და ლიპარიტ ბალვაშის დასასჯელად დიდი ლაშქრობა მოაწყო, მაგრამ, ამჯერადაც, არყის ციხესთან მეფემ მარცხი განიცადა.

სამოქალაქო ომმა უკიდურესად დაძაბა პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში. მართალია, 1048 წელს ლიპარიტის თურქ-სელჩუკთაგან შეპყრობის შემდეგ სამხრეთ საქართველოში კვლავ აღდგა ცენტრალური ხელისუფლების უფლებები, მაგრამ ეს წარმატებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. 1051 წელს ლიპარიტ ბალვაში თურქთა ტყვეობიდან განთავისუფლდა და ბიზანტიელთა ჯარის თანხლებით კვლავ

საქართველოში შემოიჭრა. მოკლე ხანში კლდეკარის ერისთავმა კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია სამხრეთ საქართველოს ძირითადი ციხეები. ბაგრატ IV-მ ქვეყნისათვის ამ მეტად კრიტიკულ ვითარებაში მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – იგი თავად ეახლა ლიპარიტ ბალვაშის მფარველსა და მხარდამჭერს – ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე IX მონომახს.

კონსტანტინოპოლში ნასვლამდე ბაგრატ IV-მ სამეფო თავის ვაჟს, გიორგის გადასცა. „დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა"... გიორგი უფლისწული და თავად „წარვიდა საბერძნეთსო", – დასძენს „მატიანე ქართლისას" ავტორი. იმპერატორთან ჩასულ საქართველოს მეფეს საკმაოდ დიდი ხანი – სამი წელი მოუწია ბიზანტიაში დარჩენა.

კონსტანტინოპოლში საქართველოს მეფის საპატიო ტყვეობა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდა იმ გარიგებით, რომელიც კონსტანტინე მონომახის შუამდგომლობით დაიდო ლიპარიტ ბალვაშსა და ბაგრატ IV-ს შორის.

1055 წლისათვის ბაგრატ IV კონსტანტინოპოლიდან საქართველოში ბრუნდება. მალე სამეფო კარმა ლიპარიტ ბალვაშის შეპყრობაც მოახერხა და თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოზე უწინდებურად განავრცო. 1060 წლისათვის ბაგრატ IV-მ შეძლო აბაზასძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა შეპყრობა, რომელთაც მეფის მოკვლა ჰქონდათ განზრახული.

XI საუკუნის 60-იანი წლებიდან საგრძნობლად გაუარესდა საქართველოსა და თურქ-სელჩუკთა ურთიერთობა. 1064 და 1068 წლისათვის თურქ-სელჩუკთა სულთანმა ალფ-არსლანმა სასტიკად მოითარეშა სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო. მომთაბარე ოღუზთა მარბიელმა ლაშქრობამ დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, მაგრამ ამან მაინც ვერ შელახა საქართველოს ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. სიცოცხლის ბოლო წლებში ბაგრატ IV შეეცადა თბილისის და კახეთ-ჰერეთის შემოერთებას. ამავე პერიოდში მეფემ თავისი მეუღლის – ბორენა დედოფლის ძმა ოსთა მეფე დორღოლელი მოიწვია ორმოცათასიანი ჯარით. გაერთიანებულ არმიას ბაგრატ IV-მ გიორგი უფლისწული უთავა და განძაზე ალაშქრა.

ამ ამბების შემდეგ, ბაგრატ IV-ს დიდხანს აღარ უცოცხლია. სამშვილდის ტბასთან მდგომ მეფეს „დაეცა სალმობა მუცლისა". მომაკვდავი ბაგრატი მარაბდაში წაიყვანეს, მაგრამ ტკივილი უფრო და უფრო უძლიერდებოდა. 1072 წ. 24 ნოემბერს ბაგრატ IV გარდაიცვალა. მეფე დიდი პატივით ჭყონდიდს წაასვენეს და თავისივე აშენებულ საძვალეში დაკრძალეს.

ელენე დედოფალი – ბაგრატ IV-ის პირველი ცოლი, ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III-ის ძმისშვილი.

1029-1030 წწ. საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის დარეგულირების მიზნით კონსტანტინოპოლს ეწვია ბაგრატ IV-ის დედა მარიამ დედოფალი. დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა განიმუხტა. ბიზანტიის იმპერია ამ დროს არაბებთან ომით იყო დაკავებული და ამიტომ საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირება მის ინტერესში არ შედიოდა. ამიტომაც, იმპერატორმა რომანოზ III-მ „აფხაზთა და ქართველთა" სამეფოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა. ბაგრატ IV-ს კურაპალატობის პატივი მიუბოძეს. საქართველო-ბიზანტიის უფრო მეტად დაახლოების მიზით კი იმპერატორმა ბაგრატ IV-ს თავისი ძმისშვილი – ელენე შერთო ცოლად. ბიზანტიელი პრინცესა მარიამ დედოფალს გამოაყოლეს საქართველოში. ელენემ და ბაგრატ IV-მ ქორწილი ბანაში გადაიხადეს. ელენეს დიდხანს არ მოუწია საქართველოს დედოფლად ყოფნა. იგი მალევე გარდაიცვალა. მოგვიანო ხანის ტრადიციით, ელენე დედოფლის სახელთანაა დაკავშირებული ოქონის სასწაულმოქმედი ხატის საქართველოში ჩამოტანა.

ბორენა დედოფალი – ბაგრატ IV-ის მეულლე, ნარმომავლობით ოსეთის სამეფოს ოჯახს ეკუთვნოდა. მამამისი მემატიანესთან „ოვსთა მეფედ" იხსენიება. მოგვიანებით ამ ტიტულს ატარებს მისი ძმა დორღოლელიც. ბორენას გადედოფლება XI საუკუნის 30-იანი წლების შუახანებშია სავარაუდო. წყაროში, მართალია, იგი სახელით მხოლოდ ორჯერ გვხვდება, მაგრამ სხვა შემთხვევაში, მემატიანე მას გიორგი უფლისწულის დედად იხსენიებს. XI საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც ლიპარიტ ბალავაშმა გიორგი უფლისწულის გამეფება

გადაწყვიტა, მან ამ საკითხზე მოლაპარაკება ბორენა დედოფალთან გამართა. „მატიანე ქართლისას" მითითებით: „ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა". გიორგი უფლისწულის აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა და რუისის ტაძარში მისი მეფედ კურთხევაც ასევე ბორენას ნება-სურვილით უნდა მომხდარიყო.

ბორენა დედოფლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა მეტად კეთილმეზობლური გახდა. ოსთა მეფე დორღოლელი თავისი სამხედრო ნაწილებით მონაწილეობდა განძის საამიროს დარბევაში. მოგვიანებით კი დორღოლელი საპატიო ვიზიტით ეწვია თავის სიძეს – ბაგრატ IV-ს.

ბორენა დედოფალი დიდ ინტერესს იჩენდა საეკლესიო ცხოვრებისადმი. სინას მთაზე შემონახულ ხელნაწერის მინაწერში ბორენა დედოფალი, თავის ქალიშვილთან მართა (მარიამი) დედოფალთან ერთად მოხსენიებულია იერუსალიმის „კაპპათის" მონასტრის მშენებლად.

ბორენა დედოფლის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ 1072 წელს ბორენა ცოცხალია, ვინაიდან იგი იხსენიება მომაკვდავ ბაგრატ IV-სთან მისულ ოჯახის წევრთა შორის. დაკრძალული უნდა იყოს ჭყონდიდში მეუღლის გვერდით.

გიორგი – ბაგრატ IV-ის ვაჟი, საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში. იხ. *გიორგი II.*

მართა (მარიამ) დედოფალი – ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის დედოფალი. დაიბადა XI ს. 50-იანი წლების დასაწყისში. 1056 წელს, ბიზანტიის დედოფლის თეოდორას თხოვნით, მართა კონსტანტინოპოლში მიიწვიეს აღსაზრდელად.

ბიზანტიაში ქართველი პრინცესას ჩასვლას დაემთხვა დედოფალ თეოდორას გარდაცვალება. ამიტომაც, მართა მცირე ხანს დარჩა კონსტანტინოპოლში და მალევე დაბრუნდა სამშობლოში. სხვათა შორის, მართას კონსტანტინოპოლში ყოფნასთანაა დაკავშირებული გიორგი მთაწმინდელის ერთი წინასწარმეტყველური გამონათქვამი. გიორგი მცირეს თქმით, როდესაც პატარა უფლისწული სასახლეში

შეუყვანიათ, გიორგი მთაწმინდელს ყველას გასაგონად წარმოუთქვამს: „უნყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდაო“. მართლაც, მოგვიანებით, მართა-მარიამის ბიზანტიაში გადედოფლებით ბერის ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა.

1064 წ. ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე დუკამ მართა თავისი ვაჟის საცოლედ ითხოვა.

მართა უფლისწული ბიზანტიაში 1065 წლის დასაწყისში ჩაიყვანეს. იგი კონსტანტინოპოლში ჩანს 1066 წელსაც. ამას ადასტურებს სვიმეონ დვალის ანდერძი, რომელიც შემონახულია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ იოანე სინელის „კლემაქსის“ ხელნაწერზე. მიხეილ დუკასა და მარიამის ქორწინების ზუსტი თარიღის დადგენა დღეისათვის წერილობით ცნობებზე დაყრდნობით ჭირს. ზოგადად, ეს მოვლენა 1066-1073 წლებში უნდა მომხდარიყო. 1074 წელს მიხეილ დუკასა და მარიამ დედოფალს კონსტანტინე უფლისწული შეეძინათ.

მართა-მარიამისა და მიხეილ VII დუკას ერთად ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1078 წლის დასაწყისში ნიკიფორე ბოტანიატმა კონსტანტინოპოლი დაიკავა და ახალგაზრდა იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდო. მიხეილ VII ბერად აღკვეცეს და ეფესოს არქიეპად დანიშნეს. ბიზანტიის სათავეში მოსულმა ნიკიფორე III-მ გადაწყვიტა ცოლად (მას ამ დროს გარდაეცვალა მეუღლე ბერდენე) კონსტანტინე დუკას მეუღლე ევდოკია მოეყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელს გადააფიქრებინეს გათხოვება. ამის შემდეგ ნიკიფორეს არჩევანი მართა-მარიამზე შეჩერდა. შვილის მომავლით დაინტერესებულმა (ამ შემთხვევაში მისი ვაჟი კონსტანტინე ტახტის მემკვიდრე ხდებოდა) მარიამმა ეს წინადადება მიიღო და ნიკიფორე III-ზე იქორწინა. იოანე სკილიცეს გამგრძელებლის თქმით, ის მღვდელი, რომელმაც ჯვრისწერის ცერემონიალი შეასრულა, მაშინვე შერისხეს, რადგან აშკარა მეძავობა დააკანონაო.

მართა-მარიამის ეს გადაწყვეტილება წმინდა პრაგმატული რომ იყო, ეს ადვილი მისახვედრია, რამეთუ როგორც კი მან ეჭვი შეიტანა იმაში, რომ ნიკიფორე III არ აპირებდა მისი ვაჟისათვის – კონსტანტინე დუკასთვის ტახტის დათმობას, იმპერატორს – საკუთარ მეუღლესაც დაუპირისპირდა და კომნენოსების ხელით ჩამოაგდო კიდეც.

1081 წ. ალექსი კომნენოსის მიერ მოწყობილი შეთქმულების ერთ-ერთი ფარული ორგანიზატორი ჩანს მართა-მარიამ დედოფალი. ფაქტობრივად მან გაუხსნა გზა კომნენოსებს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისაკენ.

1081 წ. ნიკიფორე ბოტანიატი ჩამოაგდეს. ალექსი კომნენოსის გამეფებისთანავე, მარიამ დედოფალმა იმპერატორს სთხოვა მიეცა მისთვის „წითელი მელნით დამოწმებული და ოქროს ბეჭედ-დასმული წერილობითი დადასტურება, იმისა, რომ მას და მის ვაჟს არა თუ ხელს არ ახლებდნენ, არამედ უკანასკნელი, გარდა ამისა, ალექსის თანამმართველიც იქნებოდა, ჩაიცვამდა წითელ წაღებს, თავზე გვირგვინს დაიდგამდა და, ალექსისთან ერთად მასაც უწოდებდნენ მეფეს.“ კომნენოსმა, ბუნებრივია, მარიამის ეს მოთხოვნა შეასრულა და ამიერიდან, იმპერატორის ოფიციალური გამოსვლების დროს კონსტანტინე დუკას, როგორც თანამმართველს, იმპერატორის შემდეგ პირველი ადგილი ეკავა.

ამის შემდეგ მარიამ დედოფალი მონაზვნად შედგა.

1094 წელს იმპერატორ ალექსი კომნენოსის წინააღმდეგ ნიკიფორე დიოგენეს მოთაავეობით, მოეწყო შეთქმულება. მასში გარეული აღმოჩნდა მარიამ დედოფალი და კონსტანტინე. დედა-შვილის შეთქმულებაში მონაწილეობის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ცოტა ხნით ადრე კონსტანტინე დუკამ თავისი პრივილეგიები დაკარგა. იმპერატორმა თანამმართველად თავისი ვაჟი იოანე აიყვანა. ნიკიფორე დიოგენეს წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ მარიამი და კონსტანტინე საბოლოოდ დაშორდნენ კომნენოსებს. 1095 წ. კონსტანტინე დუკა გარდაიცვალა. ეს იყო უდიდესი ცხოვრებისეული ტრაგედია მარიამ დედოფლისათვის.

როდის გარდაიცვალა მარიამ დედოფალი ჩვენთვის უცნობია. 1104 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალია და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ იხსენიება.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მარიამ დედოფალი ბიზანტიელ დედოფლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო თავისი სილამაზით.

მარიამ დედოფლის გარეგნობის ყველაზე სრულყოფილი აღწერა მოცემული აქვს ანა კომნენოსს, რომელიც პირადად იცნობდა მას და

რამდენიმე ხანი მარიამთან იზრდებოდა კიდეც. ერთხანს, ანა კომ-ნენოსი კონსტანტინე დუკას საცოლედაც ითვლებოდა. მეისტორიეს თქმით: „მარიამი იყო მაღალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთ-რი როგორც თოვლი, პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდივით გაფურჩქვნილი ალისფერად. ახლა თვალის ბრწყინვალებას აღარ იკითხავთ! ვინ შეძლებს ამის აღწერას? წამწამები გრძელი და განსაცვიფრებელი, თვალები ცისფერი. დედო-ფალის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა – ყველაფერი ეს აღემატება ფერწერასა და ხელოვნებას. არც მსგავსი რამ ქანდაკებაა. ამბობენ, გორონას თავი ქვებად აქცევდა ხოლმე იმ კაცებს, ვინც მას შეხედავდა; ხოლო ვინც შემთხვევით დაინახავდა დედოფალს, ის რომ სეირნობდა, ან უცაბედად შეხვდე-ბოდა მას სადმე, საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, ის გაქვა-ვებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდა მას, თითქოს ნართმეოდა სულიც და გონებაც.

მარიამ დედოფალი უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მო-ნასტრების დიდი მოჭირნახულე ჩანს. მისი სახელი იხსენიება ათონის ივერთა მონასტრის „სააღაპე წიგნში". მარიამზე და მის ვაჟზე აღაპი განწესებულია 21 ნოემბერს. სინოდიკონში აღნიშნულია, რომ დედა-შვილი დიდად შეეწია მონასტერს. მათ დაფარეს მისოლიმნის ვალი სიკრიტონში და დიდად ილუანეს იმპერატორების მიხეილ VII და ნიკი-ფორე III ბოტანიატის წინაშე ივირონის შემწეობისათვის. მართა-მარი-ამი და ბორენა დედოფალი იხსენიებიან იერუსალიმის დედათა მონას-ტრის „კაპპათას" ქტიტორებად, სინას მთის „მოწამეთა წიგნის" გადა-მწერის ოქროპირის ანდერძ-მინაწერში ნათქვამია: „მე ცოდვილსა და-მიჩხრეკიან ამის სანატრელთა დედოფალთა მართა და ბორენაის აღშე-ნებულისა და სამლოცველოჲსა მონასტრისა კაპკათაჲსა, სახელსა ზე-და წმ. მთავარანგელოზთაჲსთაჳს, სალოცავად ამისა მონასტრისა აღ-მშენებელთა დედოფალთათჳს". უკანასკნელ ხანს დადასტურდა მა-რიამ დედოფლის მიერ კიდევ ერთი მონასტრის დაარსება თრაკიაში, როდოპის მთების სამხრეთ კალთებზე ე. წ. „პაპიკონის მთაზე". ეს საინტერესო კომპლექსი, რომელშიაც მარიამის სამარხი აღმოჩნდა, დედოფლის კუთვნილი – „კერძო მონასტერი" უნდა ყოფილიყო.

ა. მიქაბერიძის მოსაზრებით, მარიამი თრაკიის მონასტერში გარდაიცვალა. მოგვიანებით მისი ნეშტი სხვაგან გადაუსვენებიათ. მეცნიერი არ გამორიცხავს ქართველი დედოფლის სამშობლოში დასაფლავების ფაქტსაც.

ლიტერატურა

1. ალ. აბდალაძე. ამირკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, თბ., 1988.
2. ა. ალექსიძე, შტრიხები მართა-მარიამის პორტრეტისათვის, მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1993.
3. შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ., 1972.
4. ანნა კომნენე, ალექსიადა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. VI, თბ., 1966.
5. არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974.
6. დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე (1027-1072), თბ., 1880.
7. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
8. ნ. ბერძენიშვილი, იასე ციხაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (რეცენზია), წიგნ.: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971.
9. ა. ბოგვერაძე, „მატიანე ქართლისას" ცნობა 1047 წ. ვარიაგთა საქართველოში შემოსვლის შესახებ, კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1990.
10. გ. ბუაჩიძე, ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაპია ანტიოქიელის ისტორიაში, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 3, თბ., 1996.
11. ვ. გაბაშვილი, გლეხთა 1028 წლის აჯანყება სამხრეთ საქართველოში, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976.
12. ვ. გაბაშვილი, თურქ-სელჩუკთა შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.
13. გიორგი კედრენე. ისტორიული მიმოხილვა, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, თბ., 1963.
14. გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1994.
15. დ. გოგოლაძე, „მატიანე ქართლისას" ცნობა „ვარანგთა" შესახებ, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 5, თბ., 1998.
16. შ. დარჩიაშვილი, სომხური ლაპიდარული წარწერები და „მატიანე ქართლისას" ერთი ცნობა, თსუ შრომები (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), ტ. 227, თბ., 1982.

17. თ. დუნდუა, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.
18. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
19. ნ. ვაჩნაძე, გ. ჭეიშვილი, საქართველოს ისტორიის ახალი პერსონაჟები, კრ.: Dedicatio, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2001.
20. ექ. თაყაიშვილი, ოქონის ხატი, გაზ. ივერია, 1900, წ. № 231.
21. პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნებში, თბ., 1975.
22. კ. კეკელიძე. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, წიგნ.: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
23. ვ. კიკნაძე, ბაგრატ IV, ლიპარიტ ბაღვაში და ვარანგები ანუ „... და იყო მიდა-მო საურავი ხელოვნებისა", კრ.: „მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, თბ., 1998.
24. ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წწ., თბ., 1969.
25. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
26. მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწ., თბ., 1998.
27. გ. მაისურაძე, ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII სს-ში, თბ., 2002.
28. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
29. ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ., 1998.
30. ა. მიქაბერიძე, მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 4, თბ., 1997.
31. ზ. პაპასქირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.
32. ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე, თბ., 1991.
33. თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.
34. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტ. I, ტფ., 1892.
35. პ. პატიანი, თბილელი ბერები, თბ., 1989.
36. ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1999.
37. ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ისტორიიდან, კრ. ქართული დიპლომატია, ტ. 9, თბ., 2002.

38. ვ. სილოგავა, ბორენას წარწერა-ლექსის გარშემო, გაზ.: „ლიტერატურული საქართველო", 15-22. I. 1999.
39. ვ. სილოგავა, ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი თურქ-სელჯუკთა შემოსევის შესახებ XI ს-ის საქართველოში (მირაშანის წარწერა), კრ.: ასპინძა, ახალციხე, 2000.
40. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 1990.
41. რ. ფირცხალაიშვილი, ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის, თბ., 1987.
42. ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ბორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია), თბ., 2001.
43. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.
44. ი. ციხელაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.
45. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
46. გ. ჯაფარიძე, ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიური ურთიერთობები, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 5, თბ., 1998.
47. **В. Г. Васильевский**, Варяго-русская и Варяго-английская дружина в Константинополе, кн. Труды В. Г. Васильевского, т. I, СПб., 1908.
48. **С. Т. Еремян**, Присоединение северо-западных областей Армении к Византии в XI веке, Вестник общественных Наук АН Армении, N 3, Ер., 1971.
49. **И. М. Нодия**, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, კრ.: ბიზანტოლოგიური ეტიუდები, თბ., 1978.
50. **Е. Такайшвили**, Христіанскіе памятники, Экскурсія Е. Т., 1902 г. Матеріалы по Археологіи Кавказа, Вып. XII, 1909.
51. **К. Н. Юзбашян**, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М., 1988.
52. **К. Н. Юзбашян**, Грузинские послы в Ани в 1045 г., კრ.: ბიზანტოლოგიური ეტიუდები, თბ., 1978.



გიორგი II

გიორგი II-ის პორტრეტი არ არის შემორჩენილი

გიორგი II-ის ოჯახი

გიორგი II-ს მეტად მძიმე ეპოქაში მოუწია მეფობა. თურქ-სელჩუკთა ლაშქრობებმა საქართველოს ეკონომიკური თუ სამხედრო პოტენციალი საგრძნობლად შეარყია. ქვეყანა რეალური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამ პოლიტიკური სირთულეების გამო, დღემდე გიორგი II-ის მოღვაწეობის შეფასებისას სხვადასხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ მეფის ღონისძიებები ხელს არ უწყობდა ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას. მკვლევართა მეორე ნაწილი კი თვლის, რომ გიორგი II-ის დროს საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარება, ამ დროს მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების შედეგი იყო და არა მეფის უნიათობითა თუ უსუსურობით გამოწვეული.

გიორგი II-ს მეუღლის ვინაობა უცნობია. მისი მხოლოდ სახელია შემონახული. ელენე დედოფალსა და გიორგი II-ს ერთი ვაჟი ჰყავდათ – დავითი, რომელსაც მადლიერმა შთამომავლობამ „აღმაშენებელი" უწოდა.

გიორგი II (1072 -1089) — **ელენე დედოფალი**

დავით IV აღმაშენებელი
1089-1125

გიორგი II – საქართველოს მეფე 1072-1089 წლებში. დაიბადა დაახლოებით XI საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში.

მას პატარაობიდანვე მოუნია პოლიტიკურ ეპიცენტრში ყოფნა. ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში ყოფნისას ლიპარიტ ბალვაშმა გიორგი უფლისწული საქართველოს მეფედ აკურთხა. ამ აქტით, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი გიორგი ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო გახდა.

გიორგი II მამის გარდაცვალებამდე არაერთ დავალებას ასრულებს. წყაროებში მას ძირითადად მამამისის გვერდით ვხვდებით.

1072 წელს, გამეფების შემდგომ, გიორგი II-ს ძალზე ცოტა ხნით მოუხდა მშვიდობიანად ყოფნა. 1073 წელს დიდგვარიანი ფეოდალები ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი განდგნენ. ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა და „წარულო ქუთათისისა საჭურჭლე". ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია და ქსნის პირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია.

მეფემ გარკვეული დათმობებით მოახერხა განდგომილ ფეოდალთა დამორჩილება.

ეს მშვიდობიანობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. 1073 წლის მინურულსა და 1074 წლის დასაწყისისათვის ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გიორგი II ქუთაისიდან სასწრაფოდ გადავიდა სამცხეში, საიდანაც მესხთა ლაშქრით სამშვილდეს მიადგა. საბოლოოდ ივანე ბალვაში იძულებული გახდა დამორჩილებოდა საქართველოს მეფეს.

საქართველოს სამეფო კარი საშინაო პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული, როდესაც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს თურქ-სელჩუკთა ახალი ტალღა მოაწყდა. 1075 წლის შემოდგომით თურქ-სელჩუკთა სარდალი სარანგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმიის თანხლებით მოვიდა საქართველოში. თურქ-სელჩუკთა და ქართველთა ბრძოლა სოფ. ფარცხისთან მოხდა. ოლუზ-თურქებმა სასტიკი მარცხი იგემეს.

ფარცხისის ომში გამარჯვების შემდეგ გიორგი II-მ კლარჯეთში, შავშეთში, ჯავახეთში, არტაანში ბიზანტიელთა ხელთ მყოფი ციხესიმაგრეები და ანაკოფიის ციხე შემოიერთა. ტაოში შედგა საქართველოს მეფისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის შეხვედრა, სადაც ოფიციალურად გადაწყდა ვანანდის სამეფოს გიორგი II-სათვის გადაცემა.

გიორგი II-მ ქვეყნის სამხრეთ საზღვრები საგრძნობლად გააფართოვა. კარის ციხის დაკავება ქართული საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო. ბუნებრივია, ამ პროცესებს თვალს ადევნებდნენ თურქ-სელჩუკები და სწორედ ამიტომ ამ მოვლენის ახლო ხანებში წინა აზიის მიმართულებით დაწყებული მომთაბარე ოღუზთა ახალი აგრესია უპირატესად ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ დარჩენილ ბიზანტიელთა სამფლობელოებისა და საქართველოს წინააღმდეგ ნარიმართა.

1079 წელს თურქ-სელჩუკთა სარდალმა აჰმად ამირამ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის წყალობით მოახერხა კარის ციხიდან ქართველ მეციხოვნეთა განდევნა და ქალაქის ხელთ გდება. საქართველოს სამეფო კარს კარგად ესმოდა, რომ ეს სერიოზული დანაკლისი იყო ქვეყნისათვის, მაგრამ, ამჯერად, გიორგი II-ს თურქთა წინააღმდეგ რაიმე სერიოზული სამხედრო აქციისათვის არ მიუმართავს.

ამ მოვლენების შემდეგ ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ თურქ-სელჩუკებს კარის სამეფოში გაბატონებას საქართველოს სამეფო კარი უპასუხოდ არ დატოვებდა და 1080 წლის დასაწყისში მომთაბარე ოღუზებმა გიორგი II-ს დაასწრეს და მძლავრი ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ. თურქ-სელჩუკებმა ფარულად მეფის ბანაკამდის მისვლა მოახერხეს და ქართველთა ჯარს ნაუცბათევად დაესხნენ თავს. ეს იმდენად მოულოდნელი ყოფილა გიორგი II-სთვის, რომ მან სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა და უკუიქცა. მთელი სამეფო ავლა-დიდება მტერს ჩაუვარდა ხელთ. საქართველოს მეფემ აჭარის მთებს შეაფარა თავი.

ყველის ციხესთან გამარჯვებული აჰმად ამირა დიდი ნადავლით უკან გაბრუნდა. იგი მიღწეულ წარმატებას დასჯერდა და აღარ გაგრძელა გიორგი II-ის დევნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, გზაში აჰმად ამირას შემოხვდნენ ბიზანტიაში სალაშქროდ მიმავალი თურქი ამირები ისა ბარი და ბუიაყუბი. აჰმადმა მათ მოახსენა საქართველოში მოპოვებული გამარჯვების შესახებ და ისიც აუწყა, რომ საქართველოს მეფე გიორგი II დასავლეთ საქართველოში იყო გახიზნული. თურქ-სელჩუკებს მოსწონებიათ აჰმადის აზრი, ლაშქრობის მიმართულება შეუცვლიათ და კურსი საქართველოსკენ აუღიათ.

1080 წელს თურქ-სელჩუკთა რისხვა დაატყდა შავშეთს, აჭარას, სამცხეს, ქართლს, არგვეთს, სამოქალაქოსა და ჭყონდიდს. როგორც მემატიანე აღნიშნავს მტერს ერთ დღეში აუღია და დაუწვია ქუთაისი. ამავე დროს, თურქ-სელჩუკების სხვა რაზმებს აუოხრებიათ არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნოები. თურქ-სელჩუკთა პარპაშს დაერთო მძიმე ზამთარიც, რომელმაც ერთი-ორად გაართულა ქართველი კაცის მდგომარეობა. სიცივემ გახიზნული მოსახლეობა საშინელ პირობებში ჩააგდო. საქართველოში „დიდი თურქობა" დაიწყო.

ამ მოვლენამ მეტად ტრაგიკული კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. „დიდი თურქობა" გლობალური პოლიტიკური პროცესი იყო, რომელმაც რამდენიმე ათწლეულით შეცვალა საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარება.

გიორგი II ხედავდა ამ მძიმე მდგომარეობას (როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებშიაც) და ცდილობდა გამოსავალი მოენახა. მეფემ მოიწვია დიდებულები და მათთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა ხლებოდა სულთან მალიქ-შაჰს.

გიორგი II-მ დიდი ხარკი იკისრა სულთნის სასარგებლოდ. სამაგიეროდ, მალიქ-შაჰმა გიორგი II კახეთ-ჰერეთი მიუბოძა და ამ სამეფოს დასაპყრობად ჯარიც გამოატანა.

მალიქ-შაჰისაგან წამოსული გიორგი II, თურქ-სელჩუკთა ჯარებით, პირდაპირ კახეთ-ჰერეთში მოვიდა და ვეჟინის ციხეს შემოარტყა ალყა, მაგრამ დღემდე გაურკვეველ მიზეზთა გამო (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, გიორგის ალყა მოუხსნია იმის გამო, რომ ამ დროს აჯამეთის ციხეში ნადირობის სეზონი დაწყებულა. ეს მოსაზრება მეტად აბსურდულად მოჩანს) მეფემ კახეთის დაპყრობას თავი მიანება და დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

1089 წელს სამეფო კარზე არსებულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გიორგი II აქტიურ პოლიტიკას ჩამოაშორა. ქვეყნის სათავეში მისი ერთადერთი ვაჟი დავით IV მოდის. მიუხედავად ამისა, გიორგი II სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებდა „მეფეთ მეფისა" და „კესაროსის" მაღალ პატივს. იგი, როგორც წესი, თვით დავითის წინ იხსენიებოდა ოფიციალურ დოკუმენტებში, მაგრამ, გიორგი II-ს მდგომარეობა მხოლოდ სიმბოლური იყო.

გიორგი II გარდაიცვალა 1112 წელს. დაკრძალული უნდა იყოს ჭყონდიდის ტაძარში, მშობლების გვერდით.

ელენე დედოფალი – საქართველოს დედოფალი, გიორგი II-ის მეუღლე. მის შესახებ წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. ერთადერთი, რაც ვიცით ამ ქალბატონის შესახებ, არის მისი სახელი ელენე. XI საუკუნის მიწურულს წყაროსთავში შექმნილ ხელნაწერში გადამწერს ეგნატე ხუცესმონაზონს შემდეგი შინაარსის ანდერძ-მინაწერი გაუკეთებია: ეს წიგნი შეიქმნა „სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გ ჯრგ ჯნოსანთა მეფეთა ჩვენთა. სულითა განათლებულისა დედოფლისა მარიამისა და ძმისა მათისა გიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისათვის". აქ მოხსენიებული ელენე დედოფალი აშკარად გიორგის მეუღლეა და დავით აღმაშენებლის დედა.

თ. ჟორდანიამ შიო-მღვიმის წიგნთსაცავში მიაკვლია 1270 წ. გადაწერილ, ერთ ხელნაწერს, რომელშიც ჩამოთვლილია ქართველ დედოფალთა ნუსხა. მასში მე-4 ადგილზე იხსენიება ბორენა დედოფალი, ბაგრატ IV-ის მეუღლე. მას სიაში მოსდევს და შესაბამისად მე-5 ადგილი უკავია ელენე დედოფალს. თ. ჟორდანიას კატეგორიული მტკიცებით, რომელიც ზემოთ დამოწმებულ წყაროსთვის სახარების მინაწერითაა შემაგრებული, ეს ელენე „უნდა იყოს გიორგი I-ის მეუღლე და არა ბაგრატისი (იგულისხმება ელენე დედოფალი, რომანოზ III-ის ძმისშვილი).

ამ ცნობების მეტი ჩვენთვის არაფერია ცნობილი ელენე დედოფლის შესახებ. იგი არ იხსენიება არც რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში" და არც სხვა დოკუმენტებში.

დავითი, გიორგის II-ს მხლოდშობილი ვაჟი. საქართველოს მეფე 1089-1025 წლებში, იხ. *დავით IV აღმაშენებელი.*

ლიტერატურა

1. ილ. ანთელავა, ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ, წიგნ.: ილ. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.
2. გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1994.
3. თ. დუნდუა, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.
4. ჰ. თოფურია, აღმოსავლეთ ამერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975.
5. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
6. მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I ნაწ., თბ., 1998.
7. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
8. რ. მეტრეველი, გიორგი მეორის მოღვაწეობის შეფასების საკითხი, წიგნ.: ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972.
9. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1990.
10. რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, მეფეთ მეფე გიორგი II, თბ., 2003.
11. მცირე ქრონიკები (კინკლოსები, ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.
12. ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე, თბ., 1991.
13. თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა (შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ). ტ. I, თბ., 1892.
14. ჯ. სამუშია, საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გიორგი II-ის მეფობაში, კრ. ისტორიანი, თბ., 2000.
15. სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი (1073), ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, თბ., 1984.
16. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეებში, თბ., 1968.
17. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზეკალა შანიძემ, თბ., 1983.
18. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
19. М. Д. Лорткипанидзе, Из Истории Византийско-грузинских взаимоотношений (70-е годы XI в.), сб.: Византийский временник, т. 40, М., 1979.

დავით IV

დავით ალმაშენებელი. გელათის ფრესკა.

დავით IV აღმაშენებლის ოჯახი

დავით IV-ს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. მადლიერმა შთამომავლობამ იგი „აღმაშენებლად" მონათლა. თავისი დიდი სიწმინდისა და სულიერი სიმტკიცის გამო საქართველოს დედა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მის მოსახსენებელ დღედ 26 იანვარი (8 თებერვალი) დააწესა.

დავით IV-ის ოჯახის შესახებ ცნობები ქართულ წყაროებში მწირადაა შემონახული.

დავით IV აღმაშენებლის პირველი ცოლის თაობაზე არაფერია ცნობილი. იგი წარმოშობით სომეხი ყოფილა. ირკვევა მხოლოდ, რომ დავითს მასთან შესძენია დემეტრე I, თამარი და კატა.

დავით IV-ის მეორე ცოლი ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარალანის ძის ასული გურანდუხტ დედოფალი იყო. დავითსა და გურანდუხტს ჰყოლიათ რამდენიმე შვილი, მათ შორის ერთი ვაჟი – ვახტანგი და რამდენიმე ქალიშვილი, რომელთა სახელები შემონახული არ არის.



დავით IV აღმაშენებელი – საქართველოს მეფე 1089-1125 წწ. მას მეტად მძიმე პერიოდში მოუწია სახელმწიფო სადავეების აღება.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა საქართველოში არნახული მასშტაბები მიიღო. ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებდა ქვეყნის დიდ ნაწილს. მემატიანეს თქმით: „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოკრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამდე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა... და იყო მაშინ საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა, და სადგომი სამეფო წალელის-თავი. და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭალითა, ანუ ნაჭარმაგევს, რომელი ყოვლად აღსავსე იყო ირემთა და ეშუთა მიერ, ხოლო ცხენ-კეთილნი კაცნი ჩამოგზავნიან და გაინახიან; ეგრეთცა ჩამოვიდიან ნადირობად ვაკესა". აი ასეთი, მტერთაგან აოხრებული და დაუძლურებული ქვეყანა ჩაიბარა დავითმა და თავისი 35 წლიანი მეფობის განმავლობაში ეს განადგურების პირას მყოფი სახელმწიფო წინა აზიაში ერთ-ერთ უძლიერეს მონარქიად აქცია.

დავით IV აღმაშენებლის დაბადების თარიღის შესახებ პირდაპირი ცნობები ჩვენამდე მოღწეული არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ 1089 წლისათვის, ე. ი. გამეფებისას, დავით IV 16 წლის იყო. ამდენად, იგი 1072/73 წლებში ჩანს დაბადებული. ყოველ შემთხვევაში 1073 წლის გიორგი II-ის სიგელში დავით უფლისწული იხსენიება და თანაც კურაპალატის პატივით. ბიზანტიური ტიტულატურით მოხსენიება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დავითი ამ დროს მოზრდილი ყმაწვილი იყო. იმპერატორმა, როგორც ჩანს, კურაპალატობა სიმბოლურად მიანიჭა პატარა უფლისწულს. ამის შემდეგ დავით IV წერილობით წყაროებში 1085 წლამდე აღარ იხსენიება.

1080 წ. მომთაბარე ოღუზთა ლაშქრობის შემდეგ, საქართველოს მეფე იძულებული შეიქნა თურ-სელჩუკთა სულთანს ხლებოდა. 1083 წ. გიორგი II დიდი ამალით მალიქ-შაჰთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ სწორედ ამ დროს უნდა ეკურთხებინათ დავით IV მეფის თანამოსაყდრედ. ამიტომაცაა, რომ 1085 წელს დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილ ხელნაწერის მინაწერში დავითი მეფედ და სევასტოსად ინოდება.

1089 წელს გარკვეულმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ გიორგი II აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოაშორა. ქვეყნის მართვის სადავეები მთლიანად დავით IV აღმაშენებლის ხელში მოექცა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა (1089)".

გამეფებისთანავე დავით IV-მ გეგმაზომიერად დაიწყო ქვეყნის მოშენება. მან უპირველესად დაქსაქსულ ქვეშევდრომთა შემოკრებისათვის იზრუნა. ახალგაზრდა მონარქის გვერდით ჩამოყალიბდა შედარებით პატარა, მაგრამ ერთგულ მხედართა რაზმი. მართალია, საქართველოს სამეფო კარი ოფიციალურად ცნობდა თურქ-სელჩუკთა სულთნის უზენაესობას და „ერთგულად" ასრულებდა 1083 წელს დადებულ პირობას, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. დავით IV-მ მიზნად დაისახა თავის ერთგულ თანამებრძოლთა დახმარებით აღმოსავლეთ საქართველოში მოესპო მომთაბარე თურქთა თარეში. ამიტომაც, მან ფარული, პარტიზანული ომი გამოუცხადა დამპყრობელს. ამ დროს საქართველოს ჯერ კიდევ არ შესწევდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის ძალა, ამიტომ მეფემ თურქთა მცირე რაზმებზე თავდასხმით მოწინააღმდეგე ფსიქოლოგიურად გატეხა. აქამდე თუ ქართველებს ეშინოდათ თურქთა მარბიელი გუნდების, ამჟამად, პირიქით, მომთაბარე ოლუზები ერიდებოდნენ ციხესიმაგრეებიდან გამოსვლას და ქართლის სოფლების მოთარეშებას. არავინ უწყოდა სად გადაანყდებოდნენ ისინი ჩასაფრებულ ქართველთა რაზმს. მტრის თარეშის ამოკვეთამ, საშუალება მისცა მთაში გახიზნულ გლეხობას ფუძეზე დაბრუნებულიყო. ქვეყანამ მოშენება დაიწყო. მართლაც, „ეს წვრილი გამარჯვებები ქართველ ხალხში მტრის გარდუვალი დამარცხების აუცილებლობას და საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ ნარმოებას. ქალაქები აღორძინების გზას დაადგა" (რ. მეტრეველი).

ამის პარალელურად დავით IV აქტიურად იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტის გაზრდისთვის. გიორგი II-ის მმართველობისას არაერთმა ფეოდალმა ისარგებლა მეფის კომპრომისული პოლიტიკით და თავის უფლებების გაზრდას მიაღწია. რა თქმა უნდა, ეს სამეფო კარის გავლენის შემცირების ხარჯზე ხდებოდა. ახალგაზრდა

უფლისწული სრულებითაც არ აპირებდა ფეოდალურ ოპოზიციასთან ისეთი ურთიერთობა გაეგრძელებინა, როგორც მამამისს ჰქონდა. დავითი გაცილებით პრინციპული და რადიკალი პოლიტიკური მოღვაწე იყო და ეს მისი მეფობის დასაწყისშივე კარგად გამოჩნდა. 1093 წ. დავით IV-ს ლიპარიტ ბალვაში აუჯანყდა. მეფემ სასწრაფოდ მიიღო ზომები და ურჩი ყრმა კელავ დაიმორჩილა. „მტკიცეთა ფიცთა" დადების შემდეგ კლდეკარის ერისთავი დავითმა გაათავისუფლა. მაგრამ, ბალვაშთა ერთგულება ამჯერათაც ხანმოკლე აღმოჩნდა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ენამოსწრებული შენიშვნით, ლიპარიტი „ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინნუბა სანგორელსა მწყრისასა; განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა სანოლსა ზედა თუსსა. იხილა რაი მშჯდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს... შეიპყრა... და საბერძნეთს გაგზავნა". როგორც ვხედავთ, დავითმა, ამჯერად, უფრო რადიკალური ზომები მიიღო. 1094 წელს შეპყრობილი ლიპარიტ ბალვაში, ორი წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევეს.

ბალვაშთა საგვარეულოს დამარცხება ბევრისთვის ჭკუის სასწავლებელი იყო. ამას გარდა, თავად დავით IV-ს ჰქონდა ქვეყანაში შექმნილი ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო, რომლის დროს ფეოდალთა გამოსვლები ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. საქართველოში მოქმედებდა „მსტოვართა" საგანგებო ინსტიტუტი, რომელიც ყურადღებას ადევნებდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს. ქართველი მემატიანეს მინიშნებით: „საქმე ქმნილი, კეთილი გინა ბოროტი თქმული, არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქუს, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა... არამედ დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართნა ამით, და მრავალთ კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: პირველად ორგულებასა და ზაკუასა და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეულლესა და ცხედრეულსა თუსსა თანა, ანუ მოყუასსა თუსსა, გინა ყრმათა თუსთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სი-

ტყუსასა საცნაურ ქმნილ არს უეჭველად წინაშე მეფისა". საერთოდ, შიდა პოლიტიკური შუღლი და დაპირისპირება ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ეს კარგად ესმოდა დავით აღმაშენებელს და ამიტომაც, იგი ყოველთვის დაუნდობელი იყო ფეოდალური ოპოზიციის მიმართ.

დიდებულთა თვითნებობის ალაგმვის შემდეგ დავით IV-მ უფრო მეტად მოიცალა ქვეყნის აღორძინებისათვის. ამასთანავე, წინა აზიაში მიმდინარე მოვლენებმა, სამეფო კარს საშუალება მისცა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში უფრო რადიკალური ნაბიჯები გადაედგა.

1092 წელს უეცრად გარდაიცვალა თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი. სელჩუკთა იმპერია სამოქალაქო ომმა მოიცვა. მალიქ-შაჰის მეუღლემ თურქან-ხათუნმა სამხედრო არისტოკრატიაზე დაყრდნობით თავისი ოთხი წლის ვაჟის გამეფება მოახერხა. ამასობაში, თურქ-სელჩუკთა დიდებულთა მეორე ნაწილმა სულთნად მალიქ-შაჰის მეორე ვაჟი ბარქიარუკი გამოაცხადა. ტახტისთვის ბრძოლა საბოლოოდ ბარქიარუკის გამარჯვებით დასრულდა. 1099 წელს სულთანს თავისი მეორე ძმა მუჰამადი აუჯანყდა. ამ დაპირისპირებამ თითქმის 1104 წლამდე გასტანა.

თურქ-სელჩუკები იმპერიის საშინაო პრობლემების მოგვარებით იყვნენ დაკავებულნი და მათ საქართველოსთვის არ ეცალათ. ამით კი საკმაოდ კარგად ისარგებლა დავით IV-მ და თურქებთან ბრძოლაში საგრძნობ წარმატებას მიაღწია.

ამავე პერიოდში მცირე აზიაში უდიდესი პოლიტიკური ცვლილებები განხორციელდა. 1096 წ. ევროპაში ქრისტეს საფლავის მუსლიმთაგან განთავისუფლების ლოზუნგით, დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელიც ისტორიაში „ჯვაროსნული ლაშქრობების" სახელითაა ცნობილი. 1095 წლის 26 ნოემბერს რომის პაპმა ურბან II-მ კლერმონში შეკრებილ ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ საერო და სასულიერო პირებს მიმართა აზიაში ჯვაროსნული ლაშქრობის მონყობის მოწოდებით. რომის პაპის აზრით, ევროპელ რაინდებს იერუსალიმი და იქ მყოფი იესო ქრისტეს საფლავი უნდა გამოეხსნათ, ასევე დახმარების ხელი უნდა გაეწიათ მცირე აზიაში მცხოვრებ

ქრისტიანი ძმებისთვის. ევროპელ მეომრებს სხეულზე ანდა ტანისამოსზე უნდა გამოესახათ ჯვარი, მათი სახელიც „ჯვაროსნები“, სწორედ აქედან მოდის.

ჯვაროსნების პირველი ტალღა 1096 წ. დაიძრა აზიისაკენ, მაგრამ ეს იყო არაორგანიზებული ნაწილი ევროპელი რაინდებისა. ისინი დაფანტულად მიემართებოდნენ იერუსალიმისაკენ და თურქ-სელჩუკებს მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ. 1097 წ. ახალი, გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი ბრძოლა დაიწყო იერუსალიმის გასათავისუფლებლად. ჯვაროსნებმა მძიმე ბრძოლის შემდეგ აიღეს ქალაქები ნიკეა, ანტიოქია და 1099 წლის ივნისში დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ევროპელი რაინდები იერუსალიმში შეიჭრნენ და ქალაქი დაიკავეს. ჯვაროსნების ამ ლაშქრობამ შეავიწროვა თურქ-სელჩუკები მცირე აზიასა და სირიაში. ამასობაში ბიზანტიის იმპერიამაც შეუტია დამპყრობელ თურქებს.

ერთი მხრივ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მიმდინარე შინა ომმა და, მეორე მხრივ, მცირე აზიაში საქართველოსათვის სასურველი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის შექმნამ დავით IV-ს უბიძგა რადიკალური ნაბიჯი გადაედგა და 1099 წლისათვის სელჩუკთა სულთნისათვის ხარკის გადახდა შეეწყვიტა. დაიწყო ახალი ეტაპი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით IV-მ თურქ-სელჩუკებთან ბრძოლის პირველ ეტაპზე მიაღწია მტრის მასობრივი პარპაშის ალაგმვას. ამის შემდეგ მეფემ ქვეყნის გაფართოებისთვის დაიწყო ზრუნვა. უპირველესად, დავითმა ყურადღება მიაქცია იმ ქართულ მიწებს, რომლებიც, ჯერ კიდევ არ იყვნენ მოქცეულნი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ამ დროს, „აფხაზთა და ქართველთა“ მეფის ხელისუფლება არ ვრცელდებოდა კახეთ-ჰერეთზე, თბილისის საამიროზე, ქვემო ქართლზე და სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ თემზე. დასაწყისში, დავით IV-მ კახეთ-ჰერეთის შემოერთება გადაწყვიტა. ამ სამეფოს ზოგიერთი დიდებული ფარულად უჭერდა მხარს საქართველოს მეფის პოლიტიკურ კურსს და ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფოდა.

კახეთ-ჰერეთის დასავლეთ საზღვარი XII საუკუნის დასაწყისში მდ. ქსანზე გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი მდ. მტკვარს მიუყვებოდა. დავით IV-მ პირველად იერიში ზედაზენის ციხეზე მიიტანა. ეს იყო კახეთ-ჰერეთის სამეფოს ერთ-ერთი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც შიდა ქართლიდან მიმავალ ძირითად გზას კეტავდა. 1103 წელს დავით IV-მ ზედაზნის ციხე ნაართვა მეფე კვირიკე IV-ს. საქართველოს მეფემ თანდათან მოამზადა კახეთის სამეფოს შემოერთების საფუძველი. ეს პროცესი დააჩქარა 1104 წ. კვირიკე IV-ს გარდაცვალებამ. კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტი დაიკავა ქარაფშუტა და უსამართლო აღსართან II-მ. დიდებულთა ნაწილმა მისი ჩამოგდება გადაწყვიტა და 1104 წ. არიშიანმა, მისმა ძმამ ბარამმა და მათმა ბიძამ (დედის ძმამ) ქავთარ ბარამისძემ აღსართანი შეიპყრეს და დავით IV-ს გადასცეს. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ კახეთ-ჰერეთის ციხეები დაიკავა.

ერთიან ქართულ სახელმწიფოში კახეთ-ჰერეთის შესვლის მოსურნე ყველა კახელი დიდებული როდი იყო. დავით IV-ს მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. კახელ წარჩინებულთა ეს ნაწილი განძის ათაბაგს ეახლა დახმარების სათხოვნელად. ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვეს მუსულმანმა მმართველებმა და დიდძალი ლაშქარი დასძრეს კახეთ-ჰერეთის დასაპყრობად. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1104 წელს ერწუხის ველზე. დავით IV-მ ჭკვიანური სამხედრო გეგმის წყალობით მოახერხა მტრის უკუქცევა. გამარჯვების შემდეგ კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ იქნა შემოერთებული.

ქართული მიწების შეკრება-გაერთიანების პროცესის პარალელურად დავით IV ატარებს საეკლესიო, ადმინისტრაციულ, სამხედრო რეფორმებს. მართლაც რომ მასშტაბურია ამ ადამიანის საქმიანობა. განსაცვიფრებელია მისი მოღვაწეობის დიაპაზონი.

1104 წელს საქართველოს ეკლესიაში არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად, რუისისა და ურბნისის სანახებში დავით IV აღმაშენებელმა დიდი საეკლესიო კრება მოიწვია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სასულიერო და საერო წოდების წარმომადგენლები. კრებამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები, ე. წ. „ძეგლისწერა“,

რომლითაც მოწესრიგდა საეკლესიო ცხოვრების ბევრი საკითხი. საეკ-ლესიო კრების განჩინებით შეიცვალა ულირსი მღვდელმთავრები, და-წესდა ნლოვანების ზღვარი ხელდასხმისათვის (35 წელი ეპისკოპოსი-სათვის, 30 – მღვდელთათვის, 25– დიაკონთათვის, 8 – წიგნის მკით-ხველთათვის), დადგინდა ხელდასხმის წესი, აიკრძალა ხელდამსხმელის მიერ ხელდასხმულისაგან „ქრთამისა და საფასის მიღება", აიკრძალა ყოველგვარი საეკლესიო ნივთის პირადი მოხმარება, აიკრძალა უეკლე-სიოდ ნათლისცემა და ქორწინება, აიკრძალა „ჩვილთა ქალ-ყრმათა" გვირგვინის კურთხევა. დაწესდა ასაკი, რომლის შემდეგ დაიშვებოდა ჯვრისწერა (ქალებისათვის 12, ვაჟებისათვის 14 წელი). აიკრძალა ბაზ-რობის გამართვა მონასტრებთან, აიკრძალა ასევე ბევრი სხვა გაუკულ-მართებული წესი, რომელიც დამკვიდრებული იყო ეკლესიაში.

ეკლესიაში განხორციელებული დიდი გარდაქმნების შემდეგ, მეფემ მოახდინა ცენტრალური ადმინისტრაციის საფუძვლიანი რეფორმირე-ბა. მან ორი დიდი სახელოს – მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდი-დელის გაერთიანებით სამეფო კარზე შექმნა პირველი ვეზირის ინსტი-ტუტი. XIV საუკუნის ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგებაში" მწიგნო-ბართუხუცეს-ჭყონდიდელის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „მამა არს მეფისა". ეს თვალნათლივ მიუთითებს სამეფო კარზე ამ ინსტიტუტის განუზომელ ფუნქციაზე. ახალი თანამდებობის პირველი მფლობელი დავითის უერთგულესი თანამებრძოლი გიორგი ბერი გახდა.

დავით IV აღმაშენებელი გამეფებიდანვე დიდ ყურადღებას უთმობ-და ლაშქრის რეორგანიზაციის საკითხს. მან თავიდანვე ჩაუყარა სა-ფუძველი ერთგულ მოლაშქრეთა რაზმს, რომელიც შემდეგ პირად გვარდიად, „მონა სპად" იქცა. სწორედ სამხედრო რეფორმის წყალო-ბით, XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს უკვე ჰყავდა საკმაოდ მოზრდილი და კარგად ორგანიზებული არმია. მაგრამ დავით IV გადამ-წყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა და ძალებიც სათანადო იყო სა-ჭირო. ამ დროს საქართველოს მეფე ილებს სარისკო, მაგრამ პრაგმა-ტულ გადაწყვეტილებას. ის უკავშირდება იმიერკავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში მომთაბარე ყივჩაყებს და მათ იწვევს სამხედრო სამსახურისათვის. 1118-1119 წწ. დავითმა 40 000 ოჯახი ყივჩაყი ჩამო-ასახლა საქართველოში. ქართველთა არმია 40 ათასი მეომრით გა-იზარდა.

ერნუხის ომის შემდეგ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ დავით IV აღმაშენებლის ბრძოლამ ახალი მასშტაბები შეიძინა. ამჯერად მეფე მტერს უტევს თითქმის ყველა მიმართულებით. 1110 წელს სამხედრო ხერხის გამოყენებით ქართველებმა ქვ. ქართლის ყველაზე სტრატეგიული ციხე – სამშვილდე აიღეს. 1115 წელს დაეცა რუსთავი. 1117-1118 წწ. დავით IV-ის ძალაუფლების ქვეშ მოექცა გიშის, ქალაძორის, ლორის, აგარანის ციხე-სიმაგრეები.

დავით აღმაშენებლის ბრძოლამ თურქ-სელჩუკთა ბატონობა შეარყია მთელ ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით მძიმე იყო თურქთათვის 1120-1121 წლები. საქართველოს მეფემ აშორნიასთან, სევგულამეჯთან და ხუნანთან სასტიკად დაამარცხა მტერი. აიღო რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი, მათ შორის ყაბალა და ბარდავი.

დავით IV-ის სამხედრო კამპანიამ სასტიკად შეაშფოთა ამიერკავკასიის მუსლიმი ამირები, ვაჭრები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები. მათ შველა წინა აზიის მმართველებს სთხოვეს. საქართველოს წინააღმდეგ შეიკრიბა საკმაოდ დიდი კოალიცია ნეჯმ ად-დინ ილღაზის სარდლობით. მტრის ჯარი 400 000 მეომარს აღემატებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა დიდგორის ველზე მოხდა. დავით IV-მ მუსულმანურ კოალიციას 55 600 მოლაშქრე დაუპირისპირა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დიდგორის ბრძოლა სამ ჟამამდე (საათამდე) გაგრძელებულა. საქართველოს ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ქართველებს მტერი საზღვრიდან დაახლოებით 70 კმ მანძილზე განუდევნიათ.

დიდგორის ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ წარმოებული ომის გვირგვინს წარმოადგენს. მტერი უკვე წელში იყო გატეხილი და დავითმაც საკმაოდ კარგად ისარგებლა ამით. 1122 წელს მან ქ. თბილისი აიღო და ოთხი საუკუნე მუსლიმთა ხელში ნამყოფი ქალაქი საქართველოს დედაქალაქად გამოაცხადა. 1123-1124 წწ. შირვანი დალაშქრა, ხოლო 1124 წელს დმანისი შემოუერთა დედა სამშობლოს. 1124 წელს დავით IV-ის სკიპტრის ქვეშ შემოდის ჩრდილოეთ სომხეთი ანუ ყოფილი ანისის სამეფო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფე თავად მიინვია ანისის მოსახლეობამ და ქალაქის „კლიტენი" გადასცა.

ქვეყნის ყოველდღიურმა საზრუნავმა, ლაშქრობებმა თავისი დაღი დაასვა დავით IV აღმაშენებლის ჯანმრთელობას. ქართველთა სათაყვანებელი მეფე 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. დაკრძალულია თავისავე აგებულ გელათის მონასტრის კარიბჭეში. საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ნარწერა კი გვამცნობს: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ისე მთნავს აქა დავემკვიდრო მე". დავით აღმაშენებელს ეკუთვნის ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ძეგლი „გალობანი სინანულისანი".

დავით IV აღმაშენებლის პირველი ცოლი – ამ პიროვნების შესახებ ქართულ წყაროებში არაფერია აღნიშნული. ვიცით მხოლოდ, რომ მასთან დავითს შეეძინა თამარი, დემეტრე და კატა. სომეხი ისტორიკოსის – მათეოს ურჰაეცის ცნობით, საქართველოს დედოფალი სომეხი ყოფილა. მემატიანე დასძენს: „ჰყაედა აგრეთვე მეფე დავითს ერთი ღვიძლი შვილი სომხის ქალისგან, რომელსაც სახელად ერქვა დემეტრე". სხვა ადგილას კი იგივე ავტორი იმეორებს, რომ ქართველთა მეფე დემეტრე „იყო შვილი სომხის ქალისა".

დავითის მეუღლის ცხოვრების ბოლო პერიოდზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებაა გამოთქმული. ამ აზრთა ჭიდილის მიზეზად კი შეიქმნა XII საუკუნის ერთი წერილი, რომელიც ეკუთვნის იერუსალიმში მოღვაწე ფრანგ მეფსალმუნეს ანსელუსს. წერილის ადრესატი იყო ეპისკოპოსი გალონი, სტეფანე მთავარდიაკვანი და „ერთობლივ პარიზის ღვთისმშობლის კრებული". ანსელუსი, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი მათ ატყობინებდა, რომ პარიზში გააგზავნა ქართველთა მეფის დავითის ნაქონი ძელიცხოვრისაგან გაკეთებული ჯვარი. იქვე ანსელუსი ადრესატებს მოუთხრობს ამ ჯვარის თავგადასავალს: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მდელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარისშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზნობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინ-ება და მცირეოდენ (მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება...

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭი-როებისათვის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა ბევ-რი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროები-სათვის არასგზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთ".

როგორც ვხედავთ, წერილში საუბარია დავით IV-ის ერთ-ერთ მეუღლეზე, მაგრამ სახელდობრ რომელზე, ამის თაობაზე ისტორიოგ-რაფიაში დავაა. ეს წერილი მრავალჯერ გამოცემულა. ევროპულ გამოცემებში მის თარიღად ნაჩვენებია 1108 წელი. ამ თარიღს მიუ-თითებს ზ. ავალიშვილიც, რომელმაც საგანგებო ნარკვევი უძღვნა ანსელუსის წერილში მოთხრობილ ამბავს. მეცნიერის აზრით, ნერ-ილში მითითებული საქართველოს დედოფალი დავით IV-ის პირველი ცოლი უნდა იყოს, რომელიც, რაღაც მიზეზით, გაეყარა თავის მეუღ-ლეს და იერუსალიმში გაემგზავრა. ეს მოსაზრება მოგვიანებით გაიზი-არა შ. ბადრიძემ.

ქართველ მეცნიერთა ნაწილმა კი (ს. ჯანაშია, რ. მეტრეველი, ჯ. სტეფნაძე და სხვა) ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ წე-რილში დავით IV აღმაშენებელი გარდაცვლილადაა მოხსენიებული. იმ დროს, როცა ანსელუსი თავის ეპისტოლეს წერდა, საქართველოს უკვე დავითის ვაჟი განაგებდა. ეს რეალობა კი გვაფიქრებინებს, რომ იერუ-სალიმში ჩასული საქართველოს დედოფალი მხოლოდ დავითის მე-ორე ცოლი – გურანდუხტი შეიძლება ყოფილიყო. ამდენად, ანსელუ-სის წერილი არ გამოდგება დავითის პირველი ცოლის ბიოგრაფიის

აღსადგენად. საქართველოს დედოფალი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე უნდა გარდაცვლილიყო.

გურანდუხტ დედოფალი – ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული. გურანდუხტის შესახებ ქართულ წყაროებში საკმაოდ მწირი ცნობებია შემონახული. „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისას" ავტორი საკმაოდ დადებითად ახასიათებს საქართველოს დედოფალს. გურანდუხტი ყოფილა „სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა". ათრაქა შარაღანის ძესთან დანათესავება გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე დავითი ყივჩაყთა ჩამოსახლებას განიზრახავდა. ამაზე პირდაპირ მიუთითებს დავითის ისტორიკოსი. მემატიანე როდესაც აღწერს ყივჩაყთა საქართველოში ჩამოყვანის ამბებს, იქვე აღნიშნავს, რომ „პირველ მრავალთა წელთაჲსა მიერ მოეყვანა... გურანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაღთა უმთავრესისა, ათრაქა შარაღანის ძისაჲ, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოისა".

1118 წელს დავით IV-სა და გურანდუხტ დედოფალს შეეძინათ ეაჟი ვახტანგი. დავით IV აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძზე დაყრდნობით (ზოგიერთი მკვლევარი ამ ანდერძს ნაყალბევად მიიჩნევს) ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დავითსა და გურანდუხტს კიდევ სულ მცირე ორი ქალიშვილი უნდა ჰყოლოდათ. ანდერძში საქართველოს მეფე თავის ვაჟს დემეტრეს სთხოვს ყურადღება მიაქციოს თავის დებს. ამ დროისათვის დემეტრეს ღვიძლი დედმამიშვილები თამარი და კატა უკვე კარხა ხნის გათხოვილები იყვნენ და მათ ძმის პატრონობა არ სჭირდებოდათ. როგორც ჩანს, მეფე თავის უმცროს შვილებზე დარდობდა და ამიტომაც დემეტრეს ანდერძად უტოვებს: „დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყუარელთა". ის ფაქტი რომ დავითსა და გურანდუხტს ნამდვილად ჰყავდათ ერთი ქალიშვილი ცხადყოფს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" უცნობი ავტორი.

დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ გურანდუხტი იერუსალიმში მიდის და იქ განაგრძობს მოღვაწეობას. დედოფლის

ბიოგრაფიის ამ დეტალის აღდგენა ხერხდება ფრანგი მეფსალმუნის ანსელუსის წერილის მიხედვით. ეს ეპისტოლე ზემოთ უკვე დავიმონმეთ, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გურანდუხტ დედოფალს იერუსალიმში ჩაუტანია დავითის ნაქონი ჯვარი, რომელიც ძელიცხოველის ნაწილს შეიცავდა. მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ დედოფალი აიძულა ეს სიწმინდე გაეყიდა და თანხა მონასტრისათვის მოეხმარა.

გურანდუხტ დედოფალი იერუსალიმში უნდა გარდაცვლილიყო.

თამარ დედოფალი – დავით IV აღმაშენებლის ასული. დაიბადა დაახლოებით 1090-1092 წლებში. დავითის ისტორიკოსის ცნობით, იგი უფროსი იყო მეფის შვილებს შორის. მემატიანეს თქმით: „პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა". ეს ქორწინება 1105-1106 წლებშია სავარაუდებელი. ქართველი პრინცესა აფრიდუნ შირვანშაჰის ძეზე – მანუჩეჰრ II-ზე უნდა დაექორწინებინათ. ნ. ბერძენიშვილის მითითებით, დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გამიზნული იყო შირვან-შაჰთან კეთილი დამოკიდებულების დასამყარებლად და მის ჩასაბმელად თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცაღა, ამ დამოყვრებამ სრულებითაც არ შეუშალა ხელი დავითს შირვანი დაელაშქრა და იქაურ ციხესიმაგრეებში საქართველოს სამეფო ლაშქარი ჩაეყენებინა. თამარსა და მანუჩეჰრ II-ს შვიდი შვილი შეეძინათ. დღემდე დაუდგენელ მიზეზთა გამო 1152 წლისათვის თამარი საქართველოში დაბრუნდა და მონაზენად აღიკვეცა. ერთი გვიანდელი კინკლოსი გვაუწყებს: „1152 – აქა თამარისგან აშენებული ეკლესია აკურთხეს და თამარ ჩოკანი ჩაიცუნა". ტაძარი, რომელიც თამარის სახსრებით აიგო თიღვის ეკლესია იყო, რომლის კედელზე შემორჩენილი წარწერა გვაუწყებს: „ქმნილებამან რაჲ აქაჲსა სოფლისამან სხჳსა მიიღოს დაწყება ყოფადისა მოქმედებითა შენ ზედა ჯვარცმულისა ქრისტჱს ღმერთისაჲთა, რომლისა მიმართ ჟამსა მას შემნე მექმენ მსახურსა შენსა თამარს".

სიცოცხლის ბოლოს თამარის შემონაზვნების ფაქტზე მიუთითებს „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც". ისტორიკოსი დასძენს,

რომ 1155 წელს „დემეტრე მეფე მოკუდა, და დაჲ დემეტრესი თამარ, თიღუსა აღმაშენებელი, ისიცა შემონაზონებული გარდაიცვალა". თამარი ცოცხალი ჩანს XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშიც. ანისის აღების შემდეგ გიორგი III-მ ეს სასიხარულო ამბავი თავის გამზრდელ მამიდას თამარ დედოფალთ-დედოფალს აუწყა. ამის შემდეგ წყაროებში თამარი აღარ გვხვდება. უცნობია მისი გარდაცვალების წელი და დაკრძალვის ადგილი.

დემეტრე – დავით IV აღმაშენებლის უფროსი ვაჟი. იხ. *დემეტრე I.*

კატა – დავით IV აღმაშენებლის ასული. დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით XI საუკუნის მიწურულს. ქართულ წერილობით წყაროებში მხოლოდ მისი ბიზანტიაში გათხოვების ფაქტია აღნიშნული. სხვა ბიოგრაფიული ცნობები კატას შესახებ არ გაგვაჩნია. „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისას" ავტორი აღნიშნავს: „ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისაჲ". ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა კატას მეულლის ვინაობის შესახებ. მეცნიერთა ნაწილს (ო. ლორთქიფანიძე, ვ. კოპალიანი, შ. მესხია, რ. მეტრეველი) მიაჩნიათ, რომ კატა გაათხოვეს ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნენოსის უმცროს ვაჟზე – ისააკზე. სხვა მოსაზრებით (ლებო, ჯ. სტეფნაძე), კატას მეულლე უნდა ყოფილიყო ანა კომნენისა და ნიკიფორე ვრიენოსის ვაჟი ალექსი. ეს უკანასკნელი ვარაუდი ეფუძნება ბიზანტიელი ისტორიკოსის ზონარას ცნობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ კატა „დანიშნული იყო კესაროსის უფროს ვაჟზე". ამ კესაროსად კი ნიკიფორე ვრიენოსია მიჩნეული.

ზონარას ცნობა ანგარიშგასაწევია, მაგრამ აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამეფო ოჯახი სწორედ ისააკ კომნენის შთამომავალთ თვლიდა „სახლეულად თვისად", დიდ პატივს მიაგებდა და მფარველობდა. ისააკ კომნენის შვილია ანდრონიკე, რომელიც გიორგი III-ის დროს საქართველოს ეწვია და სამეფო კარმა პომპეზური შეხვედრა მოუწყო, ხოლო ალექსი კომნენოსი, რომელსაც თამარ მეფე დაეხმარა ტრაპზონის იმპერიის შექმნაში, ანდრონიკეს შვილიშვილი იყო. ამდენად, ბაგრატიონებსა და კომნენოსების საგ-

ვარეულოს ამ შტოს შორის მჭიდრო ნათესაური კავშირია სავარაუდო, რაც კატას ისააკ კომნენოსზე გათხოვებას ფაქტს უფრო დამაჯერებელს ხდის.

სხვა ბიოგრაფიული ცნობები კატას შესახებ არ გაგვაჩნია.

ვახტანგ უფლისწული – დავით IV აღმაშენებლისა და გურანდუხტ დედოფლის ვაჟი. დაიბადა 1118 წელს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ვახტანგი უნდა იხსენიებოდეს დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში (ისტორიკოსთა ნაწილი ამ დოკუმენტს ნაყალბევად თვლის). მეფე თავის მემკვიდრეს დემეტრე უფლისწულს სთხოვდა, რომ ეზრუნა გურანდუხტ დედოფალზე, მცირეწლოვან ძმაზე და ასევე პატარა ნახევარდებზე. „და მივანდუჷნ შჳილნი და დედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღმრთისაჲთა, ნათქვამია ანდერძში, – რაჲთა ძმაჲ მისი გაზარდოს. და, თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე-ჰყოს მამულსა ზედა, და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შჳლთა ჩემთა საყუარელთა“.

დოკუმენტის ეს მონაკვეთი იმითაცაა ჩვენთვის საყურადღებო, რომ მეფე, მომავალში, თავისი უმცროსი ვაჟის გამეფების შესაძლებლობას უშვებდა, რაც საქართველოში არსებული სამართლით ყოველად მიულებელი იყო. დავით აღმაშენებელი, მართალია მიუთითებს, რომ თუ „ვარგ იყოსო“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის ნაწილობრივი შეცვლა მაინც სახეზეა. ამდენად, დემეტრე I-ის შემდეგ მეფის ანდერძისამებრ ტახტი უნდა დაეკავებინა ვახტანგ უფლისწულს. ასეთი იყო სასიკვდილო სარეცელზე მყოფი დავითის სურვილი.

ქართულ წყაროებში ვახტანგის მხოლოდ დაბადების ფაქტია აღნიშნული. სხვა ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ უცნობია. უფლისწულის ცხოვრების ბოლო პერიოდზე საკმაოდ საინტერესო მონათხრობი დაუცავს სომეხ ისტორიკოს ვარდან არეველცს, რომელიც გვესაუბრება რა 1130 წლის ახლო ხანებში დემეტრე I-ის წინაალმდეგ მონყობილ აჯანყებაზე, დასძენს, რომ ამ შეთქმულებაში მონაწილეობა მიუღია დავითის ვაჟსაც. მეცნიერთა აზრით, ეს უფლისწული სწორედ ვახტანგი უნდა ყოფილიყო, რომელიც მეფე დემეტრეს

მომხრეებმა შეიპყრეს და თვალები დაუბრმავეს. მემატიანე მოგვითხრობს: „დაახლოებით იმ დროს ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თეთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო დემეტრემ... მან გაგულისებულმა უთხრა: „არა მეფევ, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა" (მეფემ) შეიპყროს ის, თვალები დასთხარა და გაუშვა".

ამ ტრაგიკული ისტორიის შემდეგ, ვახტანგი არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში აღარ გვხვდება. უცნობია მისი გარდაცვალების წელი და დასაფლავების ადგილი.

დავით IV აღმაშენებლის ქალიშვილები – დავით IV აღმაშენებელსა და გურანდუხტ დედოფალს ჰყავდათ კიდევ რამდენიმე ქალიშვილი, რომელთა ვინაობა სამწუხაროდ ცნობილი არ არის. ისინი იხსენიებიან დავით IV-ის 1125 წლის ანდერძში. მომაკვდავმა დავითმა თავის ვაჟს დემეტრეს შეავედრა სამეფო და თვისი ოჯახი. მზრუნველმა მამამ ანდერძად დაუტოვა მომავალ საქართველოს მეფეს: „დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შჯლთა ჩემთა საყუარელთა". აქ რამდენიმე („დათა მისთა") ასულზეა საუბარი, მაგრამ კონკრეტულად მათი ბიოგრაფიები ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ ერთ-ერთი ამათგანი იხსენიება თამარის ისტორიკოსთან. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის მითითებით, დავითის ერთი ასული, რომელიც სწორედ გურანდუხტ დედოფალთან უნდა შესძენოდა მეფეს, გათხოვილი ყოფილა ოსეთში.

ლიტერატურა

1. ზ. ავალიშვილი, ეკვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989.
2. ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983.
3. ზ. ანჩაბაძე, მ. ციხაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
4. ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, წერილი I, თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებართა სერია, VI, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968.
5. ნ. ასათიანი, დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, ჟურ.: მნათობი, № 8, თბ., 1989.
6. შ. ბადრიძე, ეკვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე, წიგნ.: შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.
7. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, წიგნ.: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966.
8. მ. გაბაშვილი, თბილისი 1082-1122 წლებში, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. IV, თბ., 1973.
9. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბ., 1978.
10. ა. გოგოლაძე, დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001.
11. დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი (რუსულ და გერმანულ ენებზე), თბ., 1989.
12. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
13. თ. დონდუა, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.
14. მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, ჟურ.: მნათობი, № 4, თბ., 1962.
15. ს. კაკაბაძე, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1982.
16. ა. კიკვაძე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942.
17. ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ეკვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII სს. მიჯნა), კრ.: XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები ტ. 125, თბ., 1968.
18. მ. ლორთქიფანიძე, საქართველო XI ს. ბოლოს და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
19. რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
20. რ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები IX საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დიპლომატია, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1998.
21. შ. მესხია, „ძლევა საკვირველი", თბ., 1972.

22. თ. ფორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, წიგნ. I, ტფ., 1892.
23. ვ. სილოგავა, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003.
24. ვ. სილოგავა, XII ს-ის კეტიტორული წარწერის ფრაგმენტები ალავერდის ტაძრის საკურთხეველში დავით აღმაშენებლის მოხსენიებით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, თბ., 1992.
25. ვ. სილოგავა, ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები (XI-XII სს.), თბ., 2003.
26. ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.
27. ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990.
28. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, თბ., 1984.
29. ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტექსტების მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქ. სიხარულიძის, თბ., 1961.
30. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.
31. ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, თბ., 1967.
32. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
33. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შენიძემ, თბ., 1982.
34. ქ. ჩხატარაიშვილი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
35. ქ. ჩხატარაიშვილი, დავით აღმაშენებლის ეპოქის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის – სერია, № 3, თბ., 1989.
36. ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.
37. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
38. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.
39. С. Ашурбейли, Государство Ширваншахов (VI-XVI вв.), Баку, 1983.
40. З. М. Буниятов, Грузия и Ширван в первой половине XII века (Страничка из истории эпохи Шота Руставели), კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
41. М. П. Мургулия, В. П. Шушарин, Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, М., 1998.

დემეტრე I

დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა.
მაცხვარიშის ფრესკა.

დემეტრე I-ის ოჯახი

დემეტრე I-ის ოჯახური გარემოს შესახებ საკმაოდ მწირი ცნობები გაგვაჩნია. სამწუხაროდ დღემდე ვერ დგინდება დემეტრე I-ის მეულლის სახელი და ვინაობა. მეფის შვილებიდან – დავითმა და გიორგიმ მოგვიანებით საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავეს. ქალიშვილებიდან კი, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განუზომელი როლი შეასრულა რუსუდან დედოფალმა. დემეტრე I-ს დავითის, გიორგისა და რუსუდანის გარდა, სავარაუდოდ, კიდევ ჰყავდა ორი ქალიშვილი, რომელთა სახელები ჩვენამდე არ არის შემონახული. წყაროებში მხოლოდ მათი არსებობა დასტურდება.

დემეტრე I, საქართველოს მეფე 1125-1156 წლებში. დემეტრეს XI-XII საუკუნის ქართველ მონარქთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს. დავით IV-ის მიერ შექმნილი იმპერიის სადავეებთან ყოფნა უდიდეს ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვდა ახალგაზრდა მონარქისაგან. ამასთანავე, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დემეტრე I-ის

მოლეაწეობის შეფასებისას, თითქმის ყოველთვის პარალელი კეთდება დავით IV-სთან. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში დავით IV-მ ერთგვარად დაჩრდილა კიდეც თავისი ვაჟი. მაგრამ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დავით IV ერთიანი საქართველოს მესაძირკვლეა, მისი მემკვიდრეები (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე) კი ამ მონაპოვარის სახელოვანი შემნახველები.

რაოდენ საოცარი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტში მართავდა საქართველოს, თითქმის არაფერია ცნობილი. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ამიტომ ხეირიანად არც-კი ჩანს, რაზე იყო დამყარებული ამ მეფის დიდი სახელი". ქართულ ნარატიულ წყაროებთან შედარებით, დემეტრე I-ის შესახებ გაცილებით მეტს მოგვითხრობენ უცხოენოვანი ავტორები, მეტადრე, მუსულმანი პოეტები და მეცნიერები განადიდებენ საქართველოს მეფეს, ლეგენდების საფარქვეშ აქცევენ მის პიროვნებას.

ცნობილი შირვანელი პოეტი ხაკანი შირვანი თავის ოდაში აღტაცებით აღნიშნავს:

„ხელმწიფის კარი ქვეყნის ბედნიერებაა და მეც,
ამიტომ, მის ქებას ოქროს წყლით ვწერ.
სახელმწიფოს საყრდენი დავითის შვილი, რომელსაც
დიდებულ პატრიარქს კი არა, კეისარს ვუწოდებ.
დიდი ნალობა იქნება ისკანდერისათვის (ალექსანდრესათვის)
თუკი (დემეტრეს) კეისარს კი არა, ისკანდერს ეუწოდებ".

დემეტრე I 1093 წელს უნდა დაბადებულიყო. ამდენად, პატარა უფლისწული მომსწრე და მნახველი იყო იმ დიდი ცვლილებებისა, რომელიც XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობდა საქართველოში. ახალგაზრდობიდანვე, იგი მამის გვერდით ჩანს, როგორც ერთგული თანამებრძოლი. დავით IV-ს სიცოცხლეში დემეტრე სახელმწიფო საქმეების წარმართვაშიც მონაწილეობდა თანამოსაყდრის სტატუსით.

1117 წელს დემეტრე უფლისწულის სარდლობით ქართველთა ლაშქარმა შირვანი დალაშქრა და ციხე ქალაქორი აიღო. დემეტრე დავითის ძემ, „ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განაკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი“, – დასძენს დავითის ისტორიკოსი. მემატიანეს ეს სიტყვები გასაკვირი არ უნდა იყოს, რამეთუ სახელოვანი მამის გვერდით, უფლისწულიც კარგ სამხედრო აღზრდას მიიღებდა და ამ საქმეში სათანადოდ დახელოვნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, 1121 წელს დიდგორის ომში დემეტრე უფლისწულს დავითმა ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მისია მიანდო. დემეტრე ქართველთა ლაშქრის ერთ ნაწილს ედგა სათავეში, რომელიც დიდგორის ერთ-ერთ მთაზე იდგა და საჭირო დროს ბარში დაბანაკებულ თურქ-სელჩუკთათვის ფლანგიდან უნდა დაერტყა. უფლისწულმა შესანიშნავად შეასრულა მამის დავალება. მთლიანობაში, ქართველთა ლაშქარმა თურქ-სელჩუკები უკუაქცია და მტერს სასტიკი მარცხი აგემა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, დავით IV-მ თავისი ხელით დაადგა გვირგვინი დემეტრე უფლისწულს და თანამოსაყდრედ დაისვა. მემატიანე მოგვითხრობს: „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ამანცა (დავით IV- ჯ. ს.) თჳსითა კელითა დასუა საყდართა თჳსთა ძე თჳსი დიმიტრი ... და დაადგა თავსა შუენიერსა გჳრგჳნი ქვათაგან პატიოსანთა... და შეარტყა წელთა ძლიერთა მახჳლი... და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა“. თითქოს სიკვდილის მოახლოვებას გრძნობდა დავით IV და თავის უკანასკნელ ანდერძში კიდევ ერთხელ გადაულოცა სამეფო დემეტრეს. „რამეთუ მომცა პირველ შვილი ესე ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა და ნამდჳლ ესევითარი ჯერ-იყო მეფე, მოცემული ღმრთისა მიერ მჳდრთათჳს სოფლისათა მართლმორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა“, – აღნიშნულია დავითის ანდერძში.

მამის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი გახდა. მართალია, მას უკვე ჰქონდა სახელმწიფოს

საქმეების გაძლოლის გამოცდილება, მაგრამ, ამჯერად, დემეტრეს, დამოუკიდებლად უნდა ემართა „ნიკოფსიიდან-დარუბანდამდის" გადაჭიმული ქვეყანა. ეს კი დიდ ვაჟკაცობას, ცოდნას, ნებისყოფას მოითხოვდა მომავალი მეფისაგან.

გამეფებისთანავე დემეტრე I-მა რამდენიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწია. 1125-1126 წწ. მან ორჯერ დაამარცხა მრავალრიცხოვანი მუსლიმური კოალიცია. 1125 წ. მეორე ნახევარში კი ქართველებმა ქ. დვინიც აიღეს. მაგრამ მალე ვითარება დემეტრესათვის არასახარბიელოდ შეიცვალა. ჯერ იყო და ყივჩაყთა ჯარის დიდმა ნაწილმა კვლავ სამშობლოს, სამხრეთ რუსეთის სტეპებს მიაშურა. ამან ნაწილობრივ შეარყია საქართველოს სამხედრო ძლიერება. ამას მოჰყვა ანისიდან ქართველ ფეოდალთა გამოძევება. ანისში თავისი ძალაუფლება კვლავ აღიდგინეს უწინდელმა მუსულმანმა მმართველებმა, თუმცაღა, ისინი ყმადნაფიცობის პირობით კვლავ საქართველოს მეფეს დაემორჩილნენ. დემეტრე I-ის გამეფებიდან მცირე ხნის შემდეგ, შირვანის აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოს შემადგენლობიდან გავიდა და ცალკე სამეფოს სახით ჩამოყალიბდა, სადაც 1130 წლისათვის მანუჩაჰრ II, დემეტრეს დის ქმარი გამეფდა. დასავლეთ შირვანი კი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

საგარეო სირთულეებს დაემატა პოლიტიკური კონფლიქტი სამეფო კარზე. 1130 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, უფლისწულ ვახტანგს და ივანე აბულეთის ძეს გადაწყვეტილი ჰქონიათ მეფის მოკვლა. მაგრამ შეთქმულება დროზე ადრე გამომჟღავნდა და დემეტრე I-მა დამნაშავეთა შეპყრობა მოახერხა. თითოეულ მათგანს სასტიკი სასჯელი გამოუტანეს, მათ შორის უფლისწულ ვახტანგ დავითის ძეს, რომელსაც თვალები დაუბრმავეს.

XII საუკუნის 30-იან წლებში დემეტრე I-მა შესძლო ძალების მობილიზება და რამდენიმე სერიოზულ წარმატებას მიაღწია. 1130 წ. საქართველოს მეფემ ხლათის სულთანი ნასირ ად-დინ სუქმან II დაამარცხა. 1138-1139 წლებში კი ქ. განჯა დალაშქრა. წერილობითი წყაროების ცნობით, ამ დროს განჯაში დიდი მინისძვრა მომხდარა, რითაც უსარგებლია დემეტრე I-ს და ქალაქი უომრად აუღია.

ქართველთა ლაშქარი დიდი ალაფით დაბრუნდა სამშობლოში. დემეტრე I-მა სიმბოლურად ქ. განჯას ერთ-ერთი კარი შეხსნა და საქართველოში ჩამოიტანა, შემდეგ კი გელათის მონასტერს შესწირა, სადაც დღესაც ინახება. დემეტრე I-ის ჯარმა განჯა მოგვიანებითაც დალაშქრა 1147 წლისათვის, როდესაც ქალაქის მოქალაქეებმა, ამირა ერგიშის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს საქართველოს მეფეს.

XII საუკუნის 50-იანი წლებისთვის საქართველოს სიძლიერე ამიერკავკასიაში კიდევ უფრო განმტკიცდა. 1154 წლისათვის დემეტრე I-მა ანისთან სასტიკად დაამარცხა არზრუმის გამგებელი იზ-ალ-დინ სალთუკი. ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს იბნ-ალ-აზრაკ ალ-ფარიკი. იგი წერს: 1154 წელს ანისის ამირა ფახრ ალ-დინ შადადმა არზან-ალ-რუმის (არზრუმის) მფლობელ იზ ალ-დინ სალთუკს ქალი სთხოვა ცოლად, მაგრამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს და ქალიც სხვას მიათხოვეს. შეურაცხყოფილმა ფახრ ალ-დინ შადადმა გადაწყვიტა შური ეძია სალთუკზე.

მან შეატყობინა სალთუკს: ჩემი ხელისუფლება ანისში დასუსტდა, მოდი და იყიდე ქალაქი ჩემგან. მე ვიქნები შენს სამსახურში და პატივს გცემ შენ. მაგრამ, როდესაც სალთუკი მივიდა, შადადმა (შურის საძიებლად) გაგზავნა (კაცი) დიმიტრისთან, ქართველთა და აბხაზთა მეფესთან, რომელიც იქვე ახლოს იყო... ერთი დღის სავალზე ანისიდან და შეატყობინა სალთუკის მოსვლა. დიმიტრი წავიდა ქართველთა ლაშქრით და დილით ანისში იყო. იგი თავს დაესხა (სალთუკს) და დახოცა მრავალი მისი (ხალხთაგან). იზ ალ-დინ სალთუკი და მასთან ერთად მრავალი ტყვედ ჩავარდა და ურიცხვი მაჰმადიანი დაატყვევეს. ეს იყო სამახსოვრო დღე მაჰმადიანებისათვის. შემდეგ დიარრაბიას და სირიის მეფეებმა გაგზავნეს Oელჩები აფხაზთა (საქართველოს) მეფესთან საშუამავლოდ. გამოსასყიდი იზ ალ-დინისთვის დაადგინეს 100 ათასი დინარი; იგი განთავისუფლდა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში; უდიდესი რაოდენობის ფული გავიდა მისი ქვეყნიდან სალთუკთან (ერთად) დატყვევებულთა დასახსნელად".

არზრუმის გამგებელზე გამარჯვება საქართველოს საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ამას უნდა მოჰყოლოდა ქ. ანისზე ქართველთა უფლებების კიდევ უფრო განმტკიცება.

ამავე პერიოდში დემეტრე I-ის გავლენის სფეროში ექცევა დარუბანდიც, სადაც ამირად აბუ-მუზაფარი იჯდა, რომელიც საქართველოს მეფის სიძე იყო (ქალიშვილის ქმარი).

ამგვარი წარმატებების კვალდაკვალ დემეტრე I-ს სირთულეებიც სამყოფი ჰქონდა. როგორც ჩანს, ლაშქრობებმა, დედაქალაქში დიდხანს არყოფნამ, მისი ყურადღება სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენებისადმი მოადუნა. მაგრამ, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, მის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებებს საკუთარი ვაჟი ხელმძღვანელობდა. დღემდეს გადაჭრით დაუდგენელია, რამ განაპირობა მამა-შვილს შორის ასეთი დაპირისპირების გაჩენა.

დემეტრე I-ს ორი ვაჟი ჰყავდა დავითი და გიორგი. სამწუხაროდ, საქართველოს მეფეს მეტად ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა უფროს შვილთან, ტახტის მემკვიდრე დავითთან. ეს დაპირისპირება, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. მემატიანეს თქმით, დემეტრე უფლისწული დავითის „მკიცხველი იქმნა". 1150 წელს დავითმა დემეტრეს ტახტიდან ჩამოგდება გადაწყვიტა, მაგრამ შეთქმულება უშედეგოდ დასრულდა. დემეტრე I-მა აპატია ვაჟს ჩადენილი, თუმცაღა, მამა-შვილს შორის სამუდამოდ დაიძაბა ურთიერთობა. დავით უფლისწულს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა ტახტისთვის. 1155 წლისათვის მან მიზანს საბოლოოდ მიაღწია, მამა ტახტიდან ჩამოაგდო და მონასტერში გაისტუმრა.

დავით V ექვსი თვის შემდეგ შეთქმულებმა მოწამლეს. ზოგი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ დავითის მკვლელობაში თვით დემეტრესაც ერია ხელი, მაგრამ ამ მოსაზრების გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ, შემონაზონებულ დემეტრეს პირი კვლავ სამეფო ცხოვრებისაკენ უბრუნებია და თავის თანამოსაყდრედ სახელმწიფო ტახტზე თავისი საყვარელი შვილი გიორგი III დაუსვამს. მაგრამ ამის შემდეგ დემეტრე I-ს

დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი დაახლოებით 1156 წელს გარდაიცვალა. დაკრძალული უნდა იყოს გელათის მონასტერში. დემეტრე I ეკუთვნის შიო მღვიმელისა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები.

დემეტრე I-ის მეუღლე – მის შესახებ არავითარი ცნობები არ გაგვაჩნია. დგინდება მხოლოდ, რომ მას დემეტრე I-თან ხუთი შვილი შეეძინა.

დავითი – დემეტრე I-ის უფროსი ვაჟი. საქართველოს მეფე 1155-1156 წწ. იხ. *დავით V.*

გიორგი – დემეტრე I-ის შვილი, საქართველოს მეფე 1156-1184 წწ. იხ. *გიორგი* III.

რუსუდან დედოფალი – დემეტრე I-ის ასული. დაიბადა დაახლოებით XII საუკუნის 30-იან წლებში. 1147 წლის ახლო ხანებში რუსუდანი დანინდეს დასავლეთ ირანის სულთან ყიას ად-დინ მასუდზე. სომეხი ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის მხითარ გოშის ცნობით, სასიძოს ქ. განჯა მიუცია საქართველოს მეფისათვის „როგორც მისაგებელი". სრულიად სამართლიანადაა შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ დემეტრე განჯიდან მხოლოდ გადასახადებს იღებდა, ფაქტობრივად და იურიდიულად კი ეს ქალაქი ისევ ერაყის სელჩუკთა სასულტნოს შემადგენლობაში რჩებოდა. ყიას ად-დინ მასუდის გარდაცვალების შემდეგ რუსუდან დედოფალი ითხოვა მასუდის ძმამ სულაიმან-შაჰმ. ეს უნდა მომხდარიყო 1153-1154 წწ. მიჯნაზე. მაგრამ ეს ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. მეუღლემ რუსუდანი ქორწილის ღამეს მიატოვა, მას შემდეგ რაც შეიტყო მის წინააღმდეგ მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ. ამის შემდეგ რუსუდან დედოფალი საქართველოში ბრუნდება და აქ განაგრძობს თავის მოღვაწეობას. რუსუდანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სამეფო კარზე და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1161 წელს გიორგი III-მ ქ. ანისი დაიპყრო. საქართველოს ამ წარმატებას არ ურიგდებოდა ელდიგუზ ათაბაგი. ანისისათვის ბრძოლამ თითქმის ოთხი წელი გასტანა. ბოლოს მხარეები, სულთნის ცოლყოფილის რუსუდან დედოფლის შუამავლობით დაზავდნენ. მოიძებნა ერთგვარი კომპრომისული ვარიანტი: ანისი კვლავ ძველ მფლობელებს მაჰმადიან შადადიდებს დაუბრუნდათ, ოღონდ ეს უკანასკნელნი გიორგი III-ის უზენაესობას ცნობდნენ. ამ მოვლენის შემდეგ რუსუდანი წერილობით წყაროებში კარგა ხანს აღარ იხსენიება.

გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ რუსუდან დედოფალი კვლავ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშია. თამარის მეფობის დასაწყისში ქვეყანას ფაქტობრივად რუსუდანი განაგებდა. დიდებულები სწორედ მას უთანხმებენ ისეთ სახელმწიფოებრივ საკითხებს, როგორიცაა თამარის მეფედ კურთხევა, მეფის გათხოვების საკითხი და სხვა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ ქართველმა წარჩინებულებმა რუსუდან დედოფალს მიმართეს: „დღეს შენ სჩან მშობელთა ამათთა ნაცვლად... ვინათგან ვხედავთ ყრმასა თამარს". ბასილი ჭოსმოძღვარის ცნობით კი სწორედ რუსუდან დედოფალთან შეიკრიბნენ „პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი" და თამარის გიორგი რუსზე გათხოვების საკითხი განიხილეს. მემატიანეს თქმით, მოგვიანებით გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორიც სწორედ რუსუდან დედოფალი ყოფილა.

სამეფო კარზე რუსუდან დედოფლის ასეთი განუზომელი უფლებები არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ მის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისადმი კუთვნილებით განპირობებული. როგორც ჩანს, დედოფალი თავისი ნიჭის, სათნოების წყალობით გამორჩეული ნდობითა და პატივით სარგებლობდა საქართველოში.

რუსუდანთან იზრდებოდა დავით სოსლანი. მემატიანე საგანგებოდ მიუთითებს, რომ „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანი მოყმე ეფრემის ძეთაგანი, რომელ არიან თვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა". რუსუდანივე ზრდიდა თამარის უმცროს დასაც,

თავისავე მოსახელეს, რუსუდანს. თამარისა და დავითის შეულლებაც რუსუდან დედოფლის დასტურით მომხდარა.

1191 წელს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდებულთა გამოსვლის ჩახშობის შემდეგ რუსუდანი აჯანყებულებთან მოლაპარაკებას ანარმოებს. განდგომილმა ფეოდალებმა დედოფლისაგან უვნებლობის პირობა მიიღეს და მხოლოდ ამის შემდეგ ეახლნენ ნაჭარმაგევს პატიების სათხოვნელად თამარ მეფეს. ეს დეტალი კიდევ ერთხელ მეტყველებს რუსუდანის დიდ ავტორიტეტზე.

1195 წელს აღსართან შირვან-შაჰისა და ამირ-მირმანს საქართველოში ჩამოსვლის დროს თამარმა და დავითმა რუსუდან დედოფალი საგანგებოდ მოიწვიეს სამეფო კარზე უცხოელ სტუმრებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

რუსუდან დედოფლის ცხოვრების ბოლო წლების შესახებ არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ დაკრძალული უნდა იყოს გელათის მონასტერში, ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის საძვალეში.

დემეტრე I-ის ქალიშვილები – დემეტრე I-ს დავითის, გიორგისა და რუსუდანს გარდა ჰყავდა კიდევ ორი ქალიშვილი, რომელთა სახელები ჩვენამდე მოღწეული არ არის.

ერთი მათგანი კიევის დიდი მთავრის იზიასლავის მეულლე უნდა ყოფილიყო. რუსულ წყაროებში აღნიშნულია, რომ 1154 წელს იზიასლავმა მეორეჯერ გაგზავნა თავისი შვილი მსტისლავი, რათა „აფხაზეთიდან“ (საქართველოდან) მოეყვანა მისთვის (ე. ი. იზიასლავისათვის) ცოლად მეფის ასული და შეეგება მას (ე. ი. აფხაზთა მეფის ასულს), მსტისლავი ქვემო დნეპრის ჭორომებთან და მოიყვანა იგი კიევში, თვით კი (მსტისლავი) გაემართა პერეიასლავისაკენ, ხოლო იზიასლავმა შეირთო იგი ცოლად და გადაიხადა ქორწილი. მართალია ზოგიერთი მეცნიერი (ს. კაკაბაძე, ი. ცინცაძე, შ. მესხია, კ. თუმანოვი) ფიქრობს, რომ აქ მოხსენიებული საქართველოს მეფის ასული უნდა იყოს დემეტრე I-ის შვილი რუსუდან დედოფალი, მაგრამ, ეს მოსაზრება მიუღებელია, ვინაიდან ამ დროისათვის რუსუდანი მეორეჯერ გათხოვდა სულაიმან-შაჰზე. ამდენად, რუსულ წყაროში მოხსენიებული

ქართველი პრინცესა დემეტრეს სხვა, ჩვენთვის უცნობი, ასული უნდა იყოს.

დემეტრე I-ის მეორე ქალიშვილი ცოლად ჰყავდა ქალაქ დარუბანდის ამირას აბუ-ლ-მუზაფფარის. იბნ ალ აზრაკ ალ-ფარიკი მოგვითხრობს, რომ 1154 წელს „მეფემ (დემეტრე I-მა) დაიწყო თავისი სამფლობელოს შემოვლა კიდით კიდემდე; ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა. მეც მასთან ვიყავი. ერთ დღეს, როდესაც ჩვენ გავჩერდით დარბანდის ვილაეთში, – ეს კი არის ხაჯზარუნის დარბანდი, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ პირველად იგი ააშენა ხოსრო კუბადმა, მეფემ დატოვა ლაშქარი კოშკში მთის ძირას. დარბანდის მეფე, – იგია ამირა აბუ-ლ მუზაფფარი, გამოვიდა აბხაზთა მეფის სამსახურად და ეახლა მას მსახურნი მისი იქ ყოფნისა და ლხინისათვის... რადგანაც იგი იყო სიძე აბხაზთა მეფისა – ცოლად ჰყავდა მისი ასული“. ქართულ წყაროებში არც ამ ქალბატონის შესახებაა ცნობები დაცული.

ლიტერატურა

1. ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, წერ. I, XII საუკუნის პირველი ნახევარი, თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968.
2. შ. ბადრიძე, ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელისა და დემეტრე პირველზე, წ.: შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.
3. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
4. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968.
5. ეარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.
6. ჰ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1975.
7. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
8. მ. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა, ჟურ.: მნათობი, № 4, თბ., 1962.
9. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
10. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, წ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
11. რ. მეტრეველი, შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
12. რ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII ს-ის 30-80-იანი წლების დამდეგს, დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დიპლომატია, წ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1998.
13. მცირე ქრონიკები (კინკლოსები, ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.
14. ო. ფუფუნაძე, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XII საუკუნეში, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
15. ა. სიხარულიძე, ალ-ფარიკი საქართველოში, კრ. სემიტოლოგიური ძიებანი, ტ. II, თბ., 1985.
16. ე. სიხარულიძე, ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ, კრ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. II, თბ., 1999.

17. ჯ. სტეფნაძე, XII ს. შირვანელი პოეტები დემეტრე I-ის შესახებ, ჟურ.: საუნჯე, № 5, თბ., 1977.
18. ჯ. სტეფნაძე, სად წავიდნენ ყივჩაყები? ჟურნ.: მნათობი, № 8, თბ., 1984.
19. ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.
20. ჯ. სტეფნაძე, თამარის მამიდა რუსუდანი, ჟურნ.: მნათობი, № 7, თბ., 1987.
21. ჯ. სტეფნაძე. დემეტრე პირველი, თბ., 1990.
22. ჯ. სტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999.
23. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.
24. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
25. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.
26. თ. ჯოჯუა, საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Vcn. 4-ის) ანდერძის მიხედვით, კრ.: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბ., 2001.

დავით V

დავით V-ის პორტრეტი არ არის შემორჩენილი

დავით V-ის ოჯახი

მძიმე და ტრაგიკული ხვედრი ხვდა დავით დემეტრეს ძეს და მის ოჯახს. სახელოვანი პაპის მოსახელეს შესახებ ქართულ წყაროებში მხოლოდ რამდენიმე ცნობაა დაცული. ჩვენთვის უცნობია მისი მეუღლის სახელი. მხოლოდ ის ვიცით, რომ მათ ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი დემეტრე (დემნა), რომელმაც მოგვიანებით საშინელი წამებით დაასრულა სიცოცხლე.

დავით V — სახელი უცნობია
1155 -1156
|
დემეტრე (დემნა) — **ივანე ორბელიანის**
უფლისწული — **ქალიშვილი**

დავით V – საქართველოს მეფე 1155-1156 წწ. მას საქართველოს სამეფო ტახტი სულ რაღაც ექვსი თვე ეკავა. ეს საკმაოდ მცირე დროა იმისათვის, რომ რაიმე ღირებული შექმნა პოლიტიკურ ასპარეზზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დავით V-ის პიროვნება მაინც კოლორიტულია XI-XII სს. ქართველ მონარქთა შორის და ისტორიკოსთა დიდ ინტერესს იწვევს, უპირატესად იმ ინტრიგებისა და სამეფო კარზე არსებული დაპირისპირების წყალობით, რომლის ორგანიზატორი თავად გახლდათ ან არადა მის წინააღმდეგ იყო მიმართული.

დავით V-ის დაბადების თარიღი ჩვენთვის უცნობია. ისტორიკოსთა ვარაუდით, იგი 1115 წლის ახლო ხანებში უნდა დაბადებულიყო.

დავითის პატარაობისა და ყმაწვილკაცობის პერიოდის შესახებ არაფერია ცნობილი. იგი პირველად 1150 წლისათვის იხსენიება. ამ ცნობის თანახმად, უფლისწული მამას უპირისპირდება და სამეფო ტახტის დაკავებას ცდილობს. კინკლოსში, სადაც ეს ფაქტია აღნიშნული, ნათქვამია: „ქრონიკონსა: ტო: (370) დასაბამითგან, ხინდ: (6754) აქა დთ (დავით) დ[დემეტრე]ს გაადგა". ესე იგი 1150 წელს დავით უფლისწული დემეტრე I-ს აუჯანყდაო. ამ პატარა მინიშნებიდანაც კი კარგად ჩანს, რომ ამ დროს საქართველოს სამეფო კარზე პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაძაბულა. რა იყო ამის მიზეზი? რამ გამოიწვია მამა-შვილს შორის შუღლი? ეს კითხვა დღემდე ბურუსითაა მოცული. ერთი რამ დანამდვილებით ვიცით, პირველად, დავითმა დემეტრე I-ის ტახტიდან ჩამოგდება ვერ მოახერხა. მეფემ კი ძალაუფლებისმოყვარე ვაჟს ჩადენილი მიუტევა და დაუსჯელი დატოვა. მაგრამ მაინც, რა მოხდა? რამ გადაკიდა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთი ოჯახის წევრები. დავით უფლისწული დემეტრეს უფროსი ვაჟი იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტი სწორედ მას უნდა დაეკავებინა. საქართველოს სამეფო კარზე არსებული კანონი ასე აწესრიგებდა ტახტის მონაცვლეობის წესს. მაგრამ დავითი ჩქარობს. ნუთუ, მხოლოდ უფლისწულის სულწასულობით იყო განპირობებული მისი ეს ნაბიჯი?

იმ ფაქტს, რომ დავითისა და დემეტრეს ურთიერთობა დაძაბული იყო, ქართული წყაროც აღნიშნავს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მოგვითხრობს, რომ დემეტრე „მრჩეველი ძისა უმცროსისა (ე. ი. გიორგის), ხოლო მლარწველი მკიცხველი იქმნა უფროსისა (ე. ი. დავითის) ვითარ ისაკი იაკობისადმი". ჩვენ არ გამოვრიცხავთ, ამ დაპირისპირების საფუძველი პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა ყოფილიყო. მოგვიანებით, გამეფებისას, დავითმა სწორედ მამის მიერ შეპყრობილი პირები გაათავისუფლა და გარკვეულ წილად შეეცადა დემეტრე I-ის საგარეო-პოლიტიკური კურსის კორექტირებას. ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს. დავით უფლისწული 1150 წლის ახლო ხანებში უკვე 30 წელს გადაცილებული ვაჟკაცია, რომელსაც თავისი დამოკიდებულება აქვს მოვლენებისადმი. ამიტომაც, სრულიად დასაშვებად გვეჩვენება იმის ვარაუდი, რომ დასაწყისში მამა-შვილის

ხედვა ამა თუ იმ საკითხისადმი კარდინალურად განსხვავდებოდა, რამაც გამოინვია ანტაგონიზმი ოჯახის წევრებს შორის. იქნებ ესეც იგულისხმება მემატიანესთან, როდესაც აღნიშნავს: დემეტრე „მკიცხველი იქმნა უფროსისა (ე.ი. დავითის) ვითარ ისაკი იაკობისადმი".

კონფლიქტი სამეფო კარზე მართალია მალევე მოგვარდა, მაგრამ დაძაბულობა მამა-შვილს შორის არც ამის შემდეგ განელებულა. დემეტრე I უწინდებურად განაგრძობდა სამეფოს მართვას. მაგრამ, უეცრად, 1155 წლისათვის, მეფე მონასტერში მიდის, უფროსი ვაჟი დავითი კი სამეფო ტახტს იკავებს. ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი გადმოგვცეს: „წარვლო ცხოვრება (დემეტრემ), და მიიწია სრულ-ქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოჯა და იკურთხა სქემითა". ისტორიკოსები სრულიად სამართლიანად ფიქრობენ, რომ დემეტრე I აიძულეს ბერად აღკვეცილიყო.

დავით V-მ მიზანს მიაღწია. მაგრამ როგორც ქართულ წყაროშია აღნიშნული, საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა დავითის მეფობა, მან მხოლოდ ექვსი თვე დაჰყო ტახტზე. მიუხედავად მცირე დროისა, დავით V-მ შეძლო რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა, რომელიც სამომავლოდ მისი ხელისუფლების გაძლიერების საწინდარი უნდა გამხდარიყო. მან ციხიდან გაათავისუფლა თირქიშ აბულეთის ძე და მას ამირსპასალარობა უბოძა. ამას გარდა თავის მომხრე სხვა ფეოდალებიც „მეტად განადიდა". მხითარ გოშის მონათხრობით კი დავით V-ის ინიციატივით საქართველოს სამეფო კარზე დამდგარა ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს აღდგენის საკითხი. საქართველოს მეფის საქმიანობა საეკლესიო სფეროსაც შეეხო. გადაწყვეტილი ყოფილა საეკლესიო კრების ჩატარება, რომელზედაც მართლმადიდებლურ და გრიგორიანული რწმენის საკითხებზე უნდა ემსჯელათ.

მართალია, დავით V ძალას იკრებდა, მაგრამ არც მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ ხელდაკრეფით. საქართველოს სამეფო კარზე ახალი პოლიტიკური ინტრიგა მზადდებოდა, რომელიც ამჯერად დავით V-ის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელსაც, როგორც სომეხი ისტორიკოსი მოგვითხრობს, მისი ღვიძლი ძმა გიორგი უფლისწული ედგა ფარულად სათავეში. ვარდან დიდი წერს: „ზოგი

ამბობს (ის მოკლულ იქნა) სუმბატ და ივანე ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ ადგილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ (ის) დანიშნავდა (მათ) მხედართმთავრად". არავინ უწყის დანამდვილებით, მართლაც ერია თუ არა გიორგი III ძმის წინააღმდეგ მონყობილ მკვლელობაში. არც ის ვიცით, რა როლი შეასრულა მთელ ამ პროცესში მონასტერში მყოფმა დემეტრე I-მა. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, თავად დავით V-ს, არ შეუტანია ეჭვი თავისი ძმის ერთგულებაში. სხვაგვარად გაუგებარია, სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა მეფემ რატომ შეავედრა თავისი ერთადერთი მხოლოდშობილი ვაჟი დემეტრე (დემნა) გიორგი უფლისწულს. სტეფანოს ორბელიანი მოგვითხრობს: „დავითმა... ჟამსა აღსრულებისასა მოუწოდა კათოლიკოსსა და დიდ-დიდთა დიდებულთა და ძმასა თვისსა გიორგის და მცირესა ყრმასა თვისსა დიმიტრის და დაიდგა წინაშე თვისსა თავადი ხატი და განმაცხოვებელი ჯუარი და სახარება და თქვა: „...ვითარცა მამამან ჩემმან მომმადლა მე სამკვიდრებელი საყდარი ესე და სამეფო, მსგავსადვე მისსა მე ძისა ჩემისა დიმიტრისსა მომიცემიეს თქვენ ყოველივე მოწამოებითა. ხოლო შენ, ძმა ჩემო გიორგი, დადექ ადგილსა ჩემსა და ქმენ ძალმთავრობა ქვეყნისა და იყოს შენდა ნაწილ სამკვიდრებელისა, რომელ-იგი მამამან ჩემმან მოგცა შენ, ვიდრე აღიზარდოს ყრმა ჩემი".

როგორც სტეფანოს ორბელიანთან ჩანს, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ, დავით V-მ დემეტრე უფლისწულის მცირეწლოვნობის გამო ვერ მოახერხა მისი ტახტზე აყვანა. ამიტომაც მეფე იძულებული იყო სამეფოს მართვა-გამგეობა თავისი ძმისათვის გადაეცა, მაგრამ იმ პირობით, თუ გიორგი ძმისშვილის დავაუკაცების შემდეგ, სამეფო ტახტს კვლავ თავის კანონიერ მფლობელს დემეტრეს (დემნა) დაუთმობდა. მომაკვდავმა დავით V-მ სწორედ ამ პირობაზე დააფიცა გიორგი და მთელი სამეფო კარი. ამის შემდეგ საქართველოს მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია.

'დავით V 1156 წელს უნდა გარდაცვლილიყო. მისი ნეშტი გელათის მონასტერში წაასვენეს და სამეფო საძვალეში დაკრძალეს.

დავით V-ის მეუღლე – სახელი უცნობია, ბიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია.

დემეტრე (დემნა) უფლისწული – დავით V-ის ვაჟი. დაიბადა XII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში. 1156 წელს მამის გარდაცვალებისას დემნა მცირეწლოვანი იყო და ამიტომ, დავით V-მ ვერ მოახერხა მისი გამეფება. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელის მტკიცებით, სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა საქართველოს მეფემ თავისი ძმა გიორგი და დიდებულები დააფიცა პატარა უფლისწულის ერთგულებაზე. სრულწლოვნობის შემდეგ დემეტრეს სამეფო ტახტი უნდა დაეკავებინა, მანამდე კი ქვეყანა გიორგის უნდა ემართა, – ასეთი იყო მომაკვდავი დავით V-ის სურვილი. სომეხი მემატიანე იქვე დასძენს: „ხოლო თვით იგი გიორგი გარდააქცევდა გულსა დიდ-დიდთა მთავართა და კათალიკოზისასა კუალად და ენება განმეფება... ხოლო შემდგომად თვისა ერთისა შეკრბენ ყოველნი დიდებულნი და აზნაურნი გიორგისა. და მივიდა მათ თანა იოვანეცა თვისითურთ, და განუცხადა განზრახვა იგი გიორგი მრავლითა ვედრებითა და დაჯერებულ ყო სიტყვით: „უკეთუმცა ასაკეულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდერძისაებრ ძმისა ჩემისა დავსვა საყდარსა მეფობისასა. ამისთვის სცხეს მას მეფობა“.

სტეფანოს ორბელის მონათხრობში შეიძლება ბევრი რამ გადაჭარბებული ან არადა მოგვიანო ხანის გადმოცემის ანარეკლი იყოს. მაგრამ ერთი რამ უდავოა. ტახტი ქართული სამართლით დემეტრე უფლისწულს ეკუთვნოდა. ამიტომ მამის გარდაცვალების შემდეგ მის გამეფებას მხოლოდ მცირეწლოვნობა თუ შეუშლიდა, სხვა მხრივ დემეტრესათვის მეფობისაკენ მიმავალი გზა ხსნილი იყო. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე დაბრუნდა დემეტრე I და მან დაადგა თავისი ხელით გვირგვინი გიორგი III-ს, ამ შემთხვევაშიც კი რაოდენ არ უნდა ყოფილიყო დემეტრე განაწყენებული თავის უფროს ვაჟზე, ქვეყანაში არსებული სამართალი მას იმის უფლებას არ მისცემდა, რომ ერთი ხელის აღებით შეეცვალა საუკუნეებით დაკანონებული მეფის

მონაცვლეობის წესი. გიორგი III-ის გამეფებისას პატარა უფლისწულის უფლებებიც გათვალისწინებული იქნებოდა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სამეფო კარზე შეიძლება მომხდარიყო იმის მსგავსი, რაც სტეფანოს ორბელიანს აქვს გადმოცემული. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ გიორგი III მართლაც რაღაც პირობით ასულიყო ტახტზე.

გიორგი III-ის გამაფების შემდეგ სად იზრდებოდა დემეტრე (დემნა) უფლისწული წყაროებში აღნიშნული არ არის. ცნობილია, რომ მასზე განსაკუთრებით ზრუნავდა ივანე ორბელიანი. როგორც ჩანს, ამანვე განაპირობა ის ფაქტი, რომ დემნა უფლისწულმა მოგვიანებით ცოლად ივანეს ქალიშვილი შეირთო.

1177 წ. ფეოდალთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა განიზრახა დემეტრე უფლისწულის გამეფება. დასაწყისში შეთქმულებმა გადაიბირეს კაიანისა და კაინონის მმართველები, ამას მოჰყვა კახეთ-ჰერეთის ფეოდალთა გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. პარალელურად ივანე ორბელმა და მისმა თანამზრახველებმა საკმაოდ დიდ ჯარს მოუყარეს თავი და მეფის წინააღმდეგ ლაშქრობის გეგმა შეიმუშავეს. გიორგი III აჯანყების დასაწყისში თბილისში არ იმყოფებოდა. მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა დედაქალაქში და აჯანყების ჩაქრობას შეუდგა. სამეფო ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ჰერეთის დიდებულებზე, შემდეგ კი აჯანყებულთა მთავარ ბანაკს – ლორეს ციხეს შემოერტყნენ. ალყა ივლისის თვეში დაიწყო და თითქმის მომდევნო წლის მარტამდე გაგრძელდა. მალე აჯანყებულთა ბანაკში ორჭოფობამ იჩინა თავი. ბევრი ადრევე მიხვდა, რომ აჯანყება წაგებული იყო და ამიტომ მათთვის მთავარი საზრუნავი თავის გადარჩენა გახლდათ. დიდებულები ციხიდან იპარებოდნენ და მეფეს მორჩილებას უცხადებდნენ. ისინი ამ გზით ცდილობდნენ ნაწილობრივ მაინც გამოესყიდათ გიორგი III-ს წინაშე ჩადენილი დანაშაული.

ერთ საღამოს ლორეს ციხიდან ფარულად გადმოიპარა თავად დემეტრე (დემნა) უფლისწული და ბიძას მიუვიდა. შეშინებული უფლისწული ფეხქვეშ ჩაუვარდა გიორგი III-ს და პატიება ითხოვა. ბიძამ გამორჩეულად მიიღო ძმისწული, მაგრამ მეფის ამ წყალობამ მცირე

ხანს გასტანა. აჯანყების ჩაქრობისთანავე, გიორგი III-ის ბრძანებით დემნა უფლისწული შეიპყრეს, ჯერ თვალები დაუბნელეს, ხოლო შემდეგ კი დაასაჭურისეს. ახალგაზრდა უფლისწულმა ასე ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე. გიორგი III ბოლოიმდე შეუბრალებლად მოექცა თავის ძმისწულს: იგი მამის გვერდით, სამეფო ოჯახის საძვალეში გელათში კი არ დაასაფლავა, არამედ სამუდამო განსასვენებელი სვეტიცხოველში მიუჩინა.

დემეტრე (დემნა) უფლისწულის სიკვდილით დასრულდა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის პირდაპირი მამრობითი შტო.

ლიტერატურა

1. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
2. თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის „მოამბე", ტ. XIX-XXI, თბ., 1957.
3. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968.
4. ლ. დავლიანიძე, დავით V სომხურ საისტორიო მწერლობაში, მაცნე, ისტორიის ... სერია, № 2, თბ., 1974.
5. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.
6. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
7. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე, წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
8. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
9. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973.
10. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
11. მცირე ქრონიკები (კინკლოსები, ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.

12. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
13. ჯ. სტეფანაძე, დემეტრე პირველი, თბ., 1990.
14. ჯ. სტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ.: II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.

გიორგი III

გიორგი III. ვარძიის ფრესკა.

გიორგი III-ის ოჯახი

საქართველოს ისტორიაში გიორგი III-ს გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი ოჯახის მიმართ ოდითგანვე იყო მიქცეული საგანგებო ყურადღება. ეს გასაგებიცაა, რამეთუ სწორედ გიორგი III-ის ოჯახში აღიზარდა ყველა ქართველის სათაყვანებელი მეფე-ქალი თამარი. მაგრამ გიორგის III-ის სახელი ისტორიას შემორჩა არა იმიტომ, რომ სახელოვანი შვილის მამა იყო, არამედ იმიტომ, რომ თავად გიორგი გახლდათ ის პიროვნება, რომლის გარეშე ჩვენი ქვეყნის ნარსული წარმოუდგენელია.

გიორგი III-ის მეულლე იყო ოსთა მეფის ხუდანის ქალიშვილი ბურდუხან დედოფალი. სწორედ მასთან უნდა შესძენოდა საქართველოს მეფეს ორი ქალიშვილი თამარი და რუსუდანი. კანონიერი ცოლშვილის გარდა გიორგი III-ს, როგორც წყაროებშია აღნიშნული, ჰყოლია უკანონო ცოლიც ანუ ხარჭა, რომლისაგანაც მეფეს კიდევ ერთი ქალიშვილი შეეძინა.

ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთხელ იხსენიებს „ისტორიანი და ჯამანი შარავანდედთანის“ ავტორი. ცნობების ასეთი სიმწირის გამო ვერ დგინდება ვერც მისი და ვერც დედამისის ვინაობა. მემატიანესთან, იქ სადაც გადმოცემულია თამარ მეფის მეორედ გათხოვების ამბავი, აღნიშნულია, რომ თამარის ხელის მაძიებელ უცხოელ უფლისწულებს შორის იყვნენ ისეთები, რომელნიც თამარის სიყვარულისათვის მამაპაპურ რჯულსაც კი უარყოფდნენ, მათ რიცხვს ეკუთვნოდა არზრუმელი პრინცი – მუტაფრადინი. იგი კარგა ხანს დარჩა საქართველოში. სამეფო კარმა საპატიო დახვედრა მოუწყო სტუმარს. თამარმა კი, თავის სანაცვლოდ, ნახევარდის „ერთი ვინმე ხარჭათაგანის შობი-

ლის" შერთვა შესთავაზა არზრუმელ უფლისწულს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს „ხარჭათაგანის შობილი" უნდა იყოს მოგვიანებით წყაროებში მოხსენიებული თამარის და რუსუდანი. მაგრამ ეს იგივეობა საეჭვოა. პატარა რუსუდანს სამეფო კარზე გამორჩეული ადგილი ეკავა. იგი მოიხსენიება მამიდის რუსუდან დედოფლის, დავით სოსლანის გვერდით. ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ექნებოდა მეფის უკანონო ასულს.

ამდენად, ქართული წყაროს მეშვეობით დგინდება, რომ გიორგი III-ს არაკანონიერი ოჯახიც ჰქონია. ბუნებრივია, მეფის ხარჭა და მისი შვილი სამეფო ოჯახის წევრებად არ ჩაითვლებოდნენ და ამიტომაც წარმოდგენილ გენეალოგიურ ტაბულაში არ შევიტანეთ.



გიორგი III – საქართველოს მეფე 1156-1184 წწ. გიორგი III-მ მეტად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება განვლო. საქართველოს მეფემ ბედისწერის გამოცდას სახელოვნად გაუძლო და მამისაგან მილებული ქვეყანა უფრო გაძლიერებული, განვრცობილი გადაულოცა თავის სახელოვან შვილს თამარს. მხარბეჭიანი, მაღალი, სრული აღნაგობის გიორგი III დღესაც გადმოგვყურებს ვარძიის მონასტრის ფრესკიდან. მართალია, მეფე გიორგის გამოსახულება სხვაგანაცაა შემონახული, მაგრამ ყველაზე უფრო ამ პიროვნების ხასიათზე ვარძიაში დახატული მისი სახე მეტყველებს. ვაჟკაცობა, გარკვეული მედიდურობა და სიმკაცრე გამოსჭვივის მეფის პორტრეტიდან. სწორედ ასეთი იყო გიორგი III.

დემეტრე I-ს, როგორც ითქვა, ორი ვაჟი ჰყავდა. გიორგი დავით V-ზე უმცროსი იყო. იგი დაახლ. XII საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულს უნდა დაბადებულიყო. წყაროებში საკმაოდ მწირი ცნობებია დაცული გიორგის უფლისწულობის პერიოდის შესახებ. ის

რამდენიმე ცნობა, რომელიც ჩვენს ხელთაა, მხოლოდ გიორგის ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალის გაცოცხლებაში გვეხმარება. ცნობილია, რომ დემეტრე I-ს გამორჩეულად უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი. ეს ფაქტი იმდენად თვალშისაცემი ყოფილა, რომ იგი მემატიანეთაგან აღუნიშნავი არ დარჩა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ დემეტრე იყო „მარჩეველი ძისა უმცროსისა".

1155 წლისათვის დემეტრე I ტახტიდან ჩამოაგდეს და მონასტერში აღკვეცეს ბერად. საქართველოს სამეფო ტახტი დავით V-მ დაიკავა. გიორგი ამ დროს სასახლეშია და ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევა. ვარდან დიდის ცნობით, დავით V გამეფების შემდეგ მალევე შეთქმულებმა მოწამლეს. სომეხი ისტორიკოსი, ამ საქმეში გიორგი III-ის მონაწილეობაზე საგანგებოდ საუბრობს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ამ ცნობის გადამოწმება ძნელია და, ასე უაპელაციოდ, გიორგი III-ის ძმის მკვლელობის მოთავედ მიჩნევა არ უნდა იყოს მართალი. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, დავით V-მ სამეფო კარზე იხმო დიდებულები, მაღალი საეკლესიო პირები და თავისი ძმა გიორგი. მომაკვდავმა მეფემ სწორედ თავის სახლიკაცს ჩააბარა გასაზრდელად და საპატრონოდ მცირენლოვანი ტახტის მემკვიდრე დემეტრე (დემნა). იქ მყოფნი კი პატარა უფლისწულის ერთგულებაზე დააფიცა. პირობისამებრ, დავითის შემდეგ ტახტს იკავებდა გიორგი III, რომელსაც ძმისშვილი უნდა აღეზარდა და შემდეგ, მისთვის უნდა გადაეღოცა სამეფო გვირგვინი და სკიპტრა.

დავით V-ი ს გარდაცვალების შემდეგ მოვლენები, ცოტა სხვა სცენარით წარიმართა. დემეტრე I კვლავ ტახტზე დაბრუნებულა, თავისი უსაყვარლესი ვაჟი თანამოსაყდრედ დაუსვამს და მეფობაც მისთვის გადაულოცავს. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის სიტყვით, სწორედ მამის სიცოცხლეში შეურთავს გიორგი III-ს ცოლად ოსთა მეფის ასული ბურდუხანი. ეს ქორწინება გარკვეულად დემეტრე I-ის სურვილიც ყოფილა. მემატიანეს თქმით: „ამას თჳსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან (დემეტრე I-მა), ასული მეფისა ხუდადანისი, სახელით ბურდუხან".

მამის გარდაცვალების შემდეგ გიორგი III ერთპიროვნულად დაეუფლა საქართველოს სამეფო ტახტს.

ქვეყანაში XII საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში მიმდინარე შიდა პოლიტიკურმა გართულებებმა საგრძნობლად მოადუნა სამეფო კარის ყურადღება ამიერკავკასიასა და წინა აზიაში მიმდინარე მოვლენებისადმი. საქართველოს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ ვითარებით და განკერძოებისთვის ბრძოლა დაიწყეს. სწორედ ამიტომაც, თავიდანვე, გიორგი III-ის ყურადღება საერთაშორისო არენაზე საქართველოს ავტორიტეტის გაზრდისკენ იყო მიმართული. სრულიად სამართლიანად მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, რომ გიორგი III-მ გარკვეულ წილად განაგრძო სახელოვანი პაპის დავით IV აღმაშენებლის პოლიტიკა და ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლა ახალი ძალით წამოიწყო.

1161 წელს ანისის მოსახლეობა აუჯანყდა შადდადიან მმართველებს და ქალაქში საქართველოს მეფე მიიწვიეს. გიორგი III-მ შესძლო ქალაქის დაკავება და იქ ქართველთა გარნიზონის ჩაყენება. ანისი ამირსპასალარ ივანე ორბელიანს გადასცა სამართავად, თანაშემწედ კი სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. ამიერკავკასიის ამ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქალაქის დაკავებას არ შეეგუვნენ მუსულმანი ხელმწიფეები და დიდ კოალიციას მოუყარეს თავი. მტერი ანისს შემოეწყო. გიორგი III ფხიზლად ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს და საჭირო დროს თავად შეუტია შაჰ-არმენ სუქმან II-სა და მის მოკავშირეებს. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

ჩრდილოეთ სომხეთში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, გიორგი III-ის ყურადღებამ უფრო სამხრეთისაკენ გადაინაცვლა – ქ. დვინზე. მომდევნო 1162 წ. ქართველთა ჯარმა დვინს შეუტია. მათეოს ურჰაეცი მოგვითხრობს: „ამავე (1162-1163) წელს სახელოვანი ქალაქი დვინი აღებულ იქნა ქართველთა მეფის გიორგის მიერ. იგი, უცხო თესლთა უკუქცეულ ლაშქარს, რომელიც ქალაქიდან მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსულიყო, კვალდაკვალ მიჰყვა, ლტოლვილნი დახოცა, ხოლო გადარჩენილთ, რომლებიც ქალაქისაკენ გაბრუნდნენ, უკან გაჰყვა და ჯარითურთ, ქალაქის კარის გავლით, ქალაქში შეიჭრა. (ქართველებმა) ყველანი უმოწყალოდ ამოხოცეს, დაატყვევეს და მათი მოსახლეობა აიკლეს. შემდეგ დიდი ტყვითა და ალაფით თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ". ქალაქი დვინის აღებით, გიორგი III-მ საქართველოს საზღვარი არარატის მთის ძირამდე გადაიტანა.

ამ გამარჯვებამ სერიოზულად შეაშფოთა წინა აზის მუსლიმი მმართველები. 1163 წ. ათაბაგმა შამს ად-დინ ელდიგუზმა და სულთანმა არსლან-შაჰმა დიდი კოალიციური არმიის თანხლებით საქართველოს შემოუტიეს და გაგის ციხემდე მოითარეშეს ქართველთა სამეფო. გიორგი III-მ მოახერხა მტრის უკუგდება, მაგრამ დიდებულთა რჩევით მათი დევნა აღარ გააგრძელა. მუსლიმი მხედართმთავრები იარაღის დაყრას არ აპირებდნენ და იმავე წელს ჩვენი სამშობლოსაკენ ახალი კოალიცია გამოემართა. გიორგი III-მ შეიტყო მტრის მოახლოვება და დროის გასაყვანად არსლან-შაჰს ზავი შესთავაზა. მაგრამ სამხედრო თათბირზე ერაყელმა ამირებმა ქართველებთან ზავის წინააღმდეგ გაილაშქრეს და გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა მოითხოვეს. მუსლიმთა კოალიცია და ქართველთა ჯარი შეებნენ „შორის მთათა ლორისა და დმანისისა". გიორგი III სასტიკად დამარცხდა. იბნ-ალ-ასირი წერს: „მათი (ქართველების) ქონებისაგან იმდენი ალაფი წაიღეს (მუსლიმანებმა), რომ მისი აღწერა ან დათვლა შეუძლებელი იყო, ხელში ჩაიგდეს მეფის საჯინიბოები, ბაგა, რაც ვერცხლისაგან იყო დამზადებული. ხელთ იგდეს მეფის მარანი ყველა მისი ნივთებიანად, მათ შორის დიდი ვერცხლის კასრები. ერთ-ერთი მათგანი სულთანს მიართვეს. სულთანმა ის თავის სახლში გააგზავნა სხვა ნადავლთან ერთად, რომლის ღირებულება ბრუნვაში მყოფ ორი ათას დინარს უდრიდა. მან ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული სასმელი ჭურჭელი ჰამადანის საჯარო (საყოველთაო) მეჩეთში გაგზავნა, რათა ხალხს შეძლებოდა იმათი გამოყენება წყლის სმის დროს.

მუსლიმანებმა წაიღეს უზარმაზარი რაოდენობის ალაფი და ამოუღლიტეს ბევრი ხალხი. აფხაზთა (ქართველთა) მეფე აიძულეს, გაქცეულიყო. იგი ხშირ ტყეში დაიმალა. „მარტო შაჰ-არმენის ნადავლი 30-ჯერ აღემატებოდა იმას, რაც ორიოდ წლის წინ მიატოვა მან ანისიდან. ამ დამარცხებას მოჰყვა ასევე ქ. დვინის დაკარგვაც. ქ. ანის კი საქართველოს სამეფო კარი იძულებული შეიქმნა კვლავ შადდადიანთა მფლობელობა აღედგინა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი აღნიშნავს, რომ გიორგიმ „უბოძა ანისი თჳსსავე მემამულეს და ითაყვანა თავისა თჳსის ყმად". ამდენად, ანისი უწინდებურად ყმადნაფიცობის პირობით დაემორჩილა საქართველოს.

მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, გიორგი III არ აპირებდა აღებული კურსის გადახვევას და უფრო მეტი ძალით იბრძოდა ამიერკავკასიაში დომინირებული მდგომარეობის მოსაპოვებლად. სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილი უნდა იყოს XII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე სხვადასხვა მიმართულებით ქართველთა ჯარის მიერ მოწყობილი გრანდიოზული მარბიელი ლაშქრობები. ქართველი მემატიანე მოგვითხრობს, რომ გიორგი III-მ „ლიხთ-იქით ყოფასა შინა დამსკუნელმან ლაშქრობისამან და ერთსა დღესა შინა პაემან-შექმნელმან უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელთა კარისა და აშორნისა, და ამირსპასალარსა და სომხითართა-მტკუარსა აქეთ ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა-განძას დამართებით მტკურის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კახთა-ალაზნის შესართავით, ვიდრე შარვანამდის. იქმნა ესევითარი უცხო ლაშქრობა, რომლისა სიგრძე არაოდეს ვის ეხილვა“. ეს მასშტაბური ლაშქრობა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა. უპირატესად, ალაფის აღებას და ჯარის საბრძოლო სულის განრთობას, განსაკუთრებით იმ წარუმატებლობის შემდეგ, რომელიც რამდენიმე წლის წინ განიცადა ჩვენმა არმიამ. ამასთანავე, სამეფო კარი ასეთი მარბიელი ლაშქრობებით მეზობლებში შიშს თესავდა და საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო უპირატესობის დემონსტრირებას ახდენდა.

საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან, გიორგი III აქტიურ სამხედრო მოქმედებებს ანარმოებდა და ამის არა ერთი მაგალითი მოვიხმეთ ზევით. შედარებით მშვიდობიანი იყო ამ მხრივ აღმოსავლეთ საზღვრის ის ზოლი, რომელიც შირვანს ემეზობლებოდა.

შირვანში ამ დროს ტახტი უკავია აღსართან I-ს, მანუჩეჰრ II-ისა და დავით IV აღმაშენებლის ასულის თამარის ვაჟს. როგორც ჩანს, ასეთი ახლო ნათესაობით უნდა ყოფილიყო განპირობებული ის მშვიდობიანი ურთიერთობა, რომელიც საქართველოსა და შირვანის სამეფო ოჯახებს შორის სუფევდა. შირვან-შაჰები მართალია დამოუკიდებელი მმართველები იყვნენ, მაგრამ ისინი ყმადნაფიცობის პირობით შედიოდნენ საქართველოს მოთავეობით ჩამოყალიბებულ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანებაში. „ლაშა-გიორგის დროინდელი

მემატიანის" აღნიშვნით, აღსართან შირვანშა ვალდებული იყო იმდენი მეომარი მიეწოდებინა გიორგი III-სათვის „რაოდენი ათასი კაცი უბრძანის". სამაგიეროდ, საგარეო საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს სამეფო კარიც ვალდებული იყო დახმარების ხელი გაეწია თავისი მოკავშირისათვის.

1173 წელს შირვანში დარუბანდელები შეიჭრნენ. აღსართან I-მა დახმარება ბიძაშვილს გიორგი III-ს სთხოვა. ქართველთა ლაშქარმა დარუბანდის საამიროზე ილაშქრა და ქ. შაბურანიც აიღო. სამხედრო კამპანიის წარმატებით დასრულების შემდეგ, ქ. შაბურანი გიორგიმ თავის მამიდაშვილს აღსართან I-ს უწყალობა. სხვათა შორის ამ ლაშქრობაში, გიორგი III-ის გვერდით იბრძოდა საქართველოში სტუმრად მყოფი ანდრონიკე კომნენოსი, რომელიც ასევე ენათესავებოდა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახს.

დარუბანდის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ქართველთა ჯარმა 1174 წ. კიდევ ერთხელ აიღო ქ. ანისი. მაგრამ, ამჯერადაც, ხანმოკლე აღმოჩნდა გიორგი III-ის ბატონობა ჩრდილოეთ სომხეთში. 1175 წელს მუსლიმთა მრავალათასიანმა კოალიციამ სამხრეთ საქართველო მოარბია და დიდი ალაფით დაბრუნდა. გიორგი III-მ ვერ შეძლო ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

XII საუკუნის 70-იანი წლების II ნახევარში, ქვეყნის საგარეო გართულებას თან დაერთო შიდა პოლიტიკური აშლილობა. 1177 წელს საქართველოში დაიწყო ჩვენს ისტორიაში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფეოდალური გამოსვლა, რომელიც „ორბელთა ამბოხების" სახელითაა ცნობილი.

სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ისტორიოგრაფიაში, რომ ორბელთა აჯანყების ჭეშმარიტი მიზეზი, ფეოდალთა მხრიდან პოლიტიკური უფლებების გაზრდა-გაფართოებისათვის ბრძოლა იყო. საბაბად კი ამბოხებულებმა საქართველოს სამეფო ტახტზე დავით V-ის ვაჟის დემეტრეს (დემნას) პრეტენზიების დაცვა გაიხადეს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დავით V-მ, გარდაცვალებისას, მცირეწლოვანი უფლისწული თავის ძმას გიორგი III-ს დაუტოვა აღსაზრდელად. დემნას, დავაჟკაცების შემდეგ, სამეფო ტახტი ბიძასაგან უნდა მიელო, მაგრამ გიორგი სრულებითაც არ აპირებდა პირობის შესრულებას. სწორედ

ეს იქცა ფეოდალთა შეთქმულების საფუძვლად. აჯანყების მესვეურებად ივანე ორბელიანთან ერთად ჩანან ივანე ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოს ძისა. ამას გარდა შეთქმულთა დასში იყვნენ ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბათის ძე, ანანია დვინელი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, სარგის მხარგრძელი შვილით და ძმისწულით, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, გრიგოლ ანელი აპირატის ძე, ჰასან კაენის პატრონი. ასეთი მასობრივი გამოსვლა თითქმის საუკუნეზე მეტია რაც საქართველოს არ ენახა.

გიორგი III-მ დროზე ადრე შეიტყო აჯანყების დაწყება და სასწრაფოდ თბილისს შეაფარა თავი. დედაქალაქში საქართველოს მეფემ ერთგული ჯარის შეკრება დაიწყო, მათ შორის, საგრძნობ ნაწილს დაქირავებული მეომრები შეადგენდა (მაგ. ყივჩაყები). გიორგი III-მ ძალების მოკრეფის შემდეგ თავად მიიტანა იერიში მეამბოხეებზე. ჯარის ნაწილი, რომელსაც ჭიაბერი სარდლობდა, ჰერეთში გაგზავნა აჯანყების ჩასაქრობად, თავად კი კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში გამაგრდა. ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ძალებმა ჰერეთის ერისთავები დაამარცხეს და აჯანყების მოთავეები ხელთ იგდეს. როგორც მემატიანე იტყვის, დატყვევებული დიდებულები „მოასხეს წინაშე მეფისა". ამ გამარჯვების შემდეგ გიორგი III-მ მეამბოხეთა მთავარ ბუდეზე – ლორეს ციხეზე ილაშქრა. ამ დროს აჯანყებულთა ერთსულოვნება უკვე დარღვეული იყო. ივანე ორბელი და დემნა ბატონიშვილი პირველად დიდმა გამრეკელმა მიატოვა. მას გრიგოლ ანელმაც მიბაძა. გიორგი III-ის ჯარებმა აჯანყებულები ლორეს ციხეში გარემოიცვეს. ალყა თანდათან მძიმე ხდებოდა. ამბოხებულებს თანდათან ეცლებოდათ ორჭოფი მომხრეები და გიორგი III-ის მხარეზე გადადიოდნენ. ერთ საღამოს თვით დემნა „ფარულად ჩამოვიდა ზღუდეზე გოდრით და მივიდა მეფესთან". გიორგი III-მ შეიწყნარა განდგომილი ძმისწული და ყველას დასანახავად თავიდან კი არ დასაჯა, არამედ დიდსულოვნად აპატია ჩადენილი. ლორეს ციხიდან დემნა უფლისწულის გამოპარვის შემდეგ აჯანყებულები მალევე დანებდნენ. გიორგი III-მ ამბოხების ჩახშობის შემდეგ, ყველა აჯანყებულს შესაფერისი სასჯელი მიუსაჯა. ივანე ორბელს თვალები დასთხარეს. დემნა ჯერ დააბრმავეს, შემდეგ კი დაასაჭურისეს.

გიორგი III-ს ვაჟი არ ებადა. ორბელთა აჯანყების ჩახშობისა და დემნა უფლისწულის დასჯის შემდეგ, მეფის უფროს ქალიშვილს თამარს სამეფო ტახტისკენ გზა გახსნილი ჰქონდა. მას მოდავე-შემცილებელი უკვე არავინ ჰყავდა და ამიტომაც, გიორგი III-მ არ დააყოვნა, 1179 წელს ნაჭარმაგევის სასახლეში მეფემ სამეფო ოჯახის, მთელი საქართველოს მაღალი საერო თუ სასულიერო პირების თანდასწრებით თავად დაადგა გვირგვინი თამარს. მამა-შვილის მიერ ქვეყნის ერთობლივი მართვა თითქმის ხუთ წელს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე მათ არაერთი ღირსშესანიშნავი საქმე განახორციელეს. 1179 წელს სამეფო კარმა ქვეყანაში გახშირებული პარვისა და ყაჩაღობის მოსასპობად ფართომასშტაბიანი კამპანია გააჩაღა. სასჯელად დაწესდა უმაღლესი ზომა – ჩამოხრჩობა. ბოროტმოქმედებისადმი გამოცხადებულმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო და მოკლე ხანში ქვეყანაში საბოლოოდ აილაგმა მეკობრეობა და ავაზაკობა. ეს სამეფო ხელისუფლების დიდი გამარჯვება იყო.

XII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა ბურდუხან დედოფალი. საქართველოს მეფეს ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია და 1184 წლის 27 მარტს, ვნების კვირას, სამშაბათს, კახეთში ყოფნისას უეცრად გარდაიცვალა. გიორგი III დასაწყისში მცხეთაში დამარხეს. მემატიანეს თქმით, „ჟამსა სიძნელისაგან". მაგრამ რა იგულისხმება ამ სიტყვებში, ამის თქმა ძნელია. მოგვიანებით გადაასვენეს გელათში ბაგრატიონთა სამეფო სახლის საძვალეში.

ბურდუხან დედოფალი – გიორგი III-ის მეუღლე. ოსთა მეფის ხუდდანის ასული. თამარ მეფის ორივე ისტორიკოსი აღფრთოვანებით ახასიათებს მას. ბასილი ეზოსმოძღვრის თქმით, „სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა". სამწუხაროდ, იმ ცნობებზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენს ხელთაა, მხოლოდ ბურდუხანის ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალის აღდგენა ხერხდება. 1179 წელს იგი დაესწრო თამარის თანამოსაყდრედ კურთხევის ცერემონიალს. ამის შემდეგ ბურდუხანს დიდხანს აღარ უცხოვრია და მალე გარდაიცვალა. გიორგი III მეუღლის სიკვდილის ჟამს გეგუთში იმყოფებოდა. მეფემ ძალიან განიცადა ბურდუხანის გარდაცვალება. მემატიანე საგანგებოდ

აღწერს გიორგი III-ის გლოვას. ისტორიკოსის თქმით, დედოფლის სიკვდილმა ენით აღუწერელი ტკივილი მიაყენა ყველას.

„ისტორიანი და ჯმანი შარავანდედთანის“ ტექსტის გამოცემისას, აკად. კ. კეკელიძემ გარკვეული სიფრთხილით მიანიშნა, რომ იქნებ ბურდუხანი თამარის უმცროსი დის რუსუდანის მშობიარობას გადაჰყვაო. მეცნიერს ამას აფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ლაშა-გიორგის დაბადებისას, თანამედროვენი, უსაზღვროდ შეჰხაროდნენ „პირველ დარჩომასა თამარისასა“. გამოთქმა „დარჩომასა თამარისასა“, – კ. კეკელიძის ჯრით, – შეიძლება ნაკარნახევი იყოს ბურდუხანის, ანალოგიურ შემთხვევაში, ტრაგედიით.

ბურდუხან დედოფალი გელათის მონასტერში უნდა იყოს დაკრძალული, სადაც მოგვიანებით სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა მისმა მეულლემ გიორგი III-მ.

თამარი – გიორგი III-ის ასული, საქართველოს მეფე 1184-1207 (1210 ან 1213) წწ. იხ. *თამარ მეფე.*

რუსუდანი – გიორგი III-ის ასული. მშობლების გარდაცვალების შემდეგ იზრდებოდა მამიდასთან – რუსუდან დედოფალთან. დაბადებული უნდა იყოს XII ს. 80-იანი წლების დასაწყისში. კ. კეკელიძის ვარაუდით, შეიძლება ბურდუხან დედოფალი რუსუდანის მშობიარობას გადაჰყვა.

რუსუდანის ღვთისმოსაობა იმდროინდელ საქართველოში სამაგალითოდ ყოფილა ქცეული, თანამედროვენი საგანგებოდ მიუთითებენ და დადებით შეფასებას აძლევენ მის საქმიანობას. თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ჭოსმოძღვარი მეტად ლამაზი სიტყვებით მოიხსენიებს რუსუდანს, მეტიც, ისტორიკოსი ნანობს და მკითხველს ბოდიშს უხდის, რომ ამ მონათხრობში რუსუდანს საკადრისად ვერ ამკობს. გიორგი III-ის გარდაცვალების აღწერისას მას თხრობაში ერთად შემოჰყავს თამარი, გიორგი III-ის და რუსუდან დედოფალი და თამარის უმცროსი და რუსუდანი. „იყო თამარ მაშინ, ვითარცა თავისს მამიდისა თანა, დითურთ თვისით, რომელსა რუსუდანვე მოაქვნდა სახელად, რომლისათვის აწ დამაკლდეს წინამდებარე ესე მოთხრობად, თუ რაოდენ მშვენიერება და თავდგმულობა იქმნა, ყოველთა პირველ

მისსა ყოფილთა დედოფალთა". რითი დაიმსახურა თანამედროვეთა-გან რუსუდანმა ასეთი პატივისცემა ჩვენთვის უცნობია. ქართული წყარო მას კიდევ ერთხელ იხსენიებს ლაშა-გიორგის დაბადების აღწერისას. სამეფო ოჯახის წევრებმა თამარ მეფეს და მის ახალდაბადებულ პირმშოს ძღვენი მიართვეს. ამ მოვლენას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი ასე აღწერს: „და თვით დედოფალმან რუსუდან და გაზრდილმან მისმან მეფემან დავით და დამან თამარისმან და ყოველთა მყოფთა ამის სამეფოსათა, მსგავსად მოგვთასა, ხელყვეს ძღვენებად და მინიჭებადო". მართალია, ამ კონტექსტში თამარის დის სახელი არ იხსენიება, მაგრამ, უდავოა, აქ საუბარი სწორედ რუსუდანზეა.

გიორგი III-ის ასული რუსუდანი იხსენიება აგრეთვე ფსუტრერის მაცხოვრის ხატის წარწერაში, სადაც იგი ერთარსს სთხოვს, მიიღოს მისგან ნივთები, რომლებიც მამიდას, გიორგი III-ის დას, რუსუდანს შეუმზადებია და შეუნირავს მისთვის, ოღონდ გარდაცვალების გამო ვერ მოუხერხებია ნამოწყებული საქმის დაგვირგვინება. ასევე, გიორგი III-ის ასული რუსუდანი უნდა იხსენიებოდეს ენერის სახარების წარწერაში, რომელიც მ. ბროსემ გადმოიღო.

კ. კეკელიძის მოსაზრებით, რუსუდან დედოფალი გათხოვილი უნდა ყოფილიყო ტრაპიზონის იმპერატორ მანოელ I-ზე (1238-1263).

ლიტერატურა

1. ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XII სს., თბ., 1983.
2. თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-XXI, თბ., 1957.
3. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი, წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
4. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
5. ლ. დავლიანიძე, მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა", კრ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. II, თბ., 1968.

6. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კეკჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კეკჭანტირაძემ, თბ., 2002.
7. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941.
8. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
9. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე. წიგნ.: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
10. მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
11. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
12. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამხედრო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.
13. რ. მეტრეველი,საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII ს-ის 30-80-იანი წლების დამდეგს, დემეტრე I-ისა და გიორგი III-ის დიპ-ლომატია, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. I, თბ., 1998.
14. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
15. ჯ. სამუშია, ბაგრატიონთა სამეფო სახლის გენეალოგიიდან, წიგნ.: ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, წიგნ. I, თბ., 1999.
16. ვ. სილოგავა, ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები (XI-XIII სს.), თბ., 2003.
17. ვ. სილოგავა, ბეთანიის წარწერები, თბ., 1994.
18. ა. სიხარულიძე, ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ, კრ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. II, თბ., 1999.
19. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
20. ჯ. სტეფნაძე, რუსუდანი — თამარის და, ჟურნ.: მნათობი, № 9, 1985.
21. ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.
22. ჯ. სტეფნაძე, გიორგი III წერილი ათაბაგ ილ-დეგიზისადმი, კრ.: ქართული დიპლომატია, ტ. 3, თბ., 1996.
23. ჯ. სტეფნაძე. მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999.
24. ქართული ისტორიული საბუთები, ტ. I, IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
25. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
26. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.
27. თ. ჯოჯუა, საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Ven. 4-ის) ანდერძის მიხედვით, კრ.: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბ., 2001.

თამარ მეფე

თამარ მეფე. ყინწვისის ფრესკა.

თამარ მეფის ოჯახი

საქართველოს ისტორიაში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველაზე პოპულარული გვირგვინოსანი თამარ მეფეა. თანამედროვეებმა გულუხვი ეპითეტებით შეამკეს იგი: „სამეფოს სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“, „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“, „მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული“... მადლიერმა შთამომავლობამაც უამრავი ლამაზი სიმღერა – ხოტბა უძღვნა მის პიროვნებას. „დედა ქართლისა თამარი, ბევრი ვიტიროთ, სად არის?“ ამ სიტყვებით გამოიტირა ქართველმა ხალხმა თამარი და ის ეპოქა, რომელიც სრულიად სამართლიანად, ჩვენი წარსულის „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული.

თამარ მეფის პირველი მეუღლე როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის ვაჟი გიორგი (იური) ანდრიას ძე გახლდათ. მაგრამ თამარისა და გიორგის თანაცხოვრებამ მხოლოდ ორიოდე წელს გასტანა. 1187-1188 წწ. გიორგი რუსი საქართველოდან გააძევეს.

ამის შემდეგ, სამეფო კარის დაჟინებული მოთხოვნით 1189 წელს თამარი დაქორწინდა დავით სოსლანზე, რომლისაგანაც შეეძინა ორი შვილი – გიორგი-ლაშა და რუსუდანი, მოგვიანებით საქართველოს მეფეები.



თამარ მეფე – საქართველოს მეფე 1184-1207 (1210 ან 1213) წლებში. მისი მეფობის ხანა თამამად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკურ და კულტურული განვითარების მწვერვალად. ეს პერიოდი ერთგვარად გამორჩეულია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ თამარ მეფე, რუსუდან დედოფალი, დავით სოსლანი, მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუარსლანი, სარგის, ზაქარია, ივანე მხარგრძელები, გამრეკელები, თორელები, ვარდანისძენი, ახალციხელები... ქართული ლიტერატურის შედევრებს ქმნიან შოთა რუსთაველი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, სარგის თმოგველი... თამარის დროს მოღვაწეობდნენ ოქრომქანდაკებლები ბექა და ბეშქენ ოპიზრები. ქართველი მხედრები თამარის დროს აწყობენ ჩვენს ისტორიაში ყველაზე დიდ ლაშქრობას ცენტრალური აზიის მიმართულებით, იგებენ შამქორისა და ბასიანის ომებს, შენდება უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლები, გაჰყავთ რთული საირიგაციო ნაგებობები...

საქართველოს ასეთი განვითარება, ბუნებრივია, მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მაინც, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული სწორი პოლიტიკა გახლდათ. სამეფო კარმა კარგად აუღო ალღო ეპოქის მოთხოვნებს და საქართველო წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. XIII ს. დასაწყისში საქართველო უკვე ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობასაც კი ჩემულობდა და ამისათვის აქტიურად იბრძოდა კიდეც. ამ წარმატებების წყალობით ქართველი კაცის ცნობიერებაში თამარ მეფის ეპოქა სამუდამოდ დარჩა, როგორც აყვავების, განვითარების, სიძლიერის სიმბოლო. სწორედ ამიტომაც, მადლიერმა შთამომავლობამ ამ უზარმაზარი ქვეყნის მმართველი თამარ მეფე დიდების შარავანდედით შემოსა, ხოლო ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კი იგი წმინდანად შერაცხა.

თამარის დაბადების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. როგორც აღინიშნა, გიორგი III-სა და ბურდუხან დედოფლის ქორწილი XII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისშია საეარაუდო. მაგრამ ცოლ-ქმარი ერთხანს უშვილოდ ყოფილან. შემდეგ კი „ინება ზეგარდმო მონყალებამან ღმრთისამან“ და იშვა ასული, რომელსაც მშობლებმა თამარი დაარქვეს სახელად.

თამარი დაახლოებით XII საუკუნის 60-იან წლებში უნდა დაბადებულიყო.

1179 წელს გიორგი III-მ თავისი ასული თანამოსაყდრედ დასვა. მამა-შვილის ერთობლივმა მეფობამ 5 წელს გასტანა. ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდა უფლისწული სნავლობდა, ეჩვეოდა ქვეყნის მართვას.

1184 წელს გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ თამარი უკვე ერთპიროვნულად ეუფლება საქართველოს სამეფო ტახტს.

თამარის გამეფება, დიდებულთა მხრიდან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე საპროტესტო გამოსვლით აღინიშნა. ფეოდალებმა ახალგაზრდა მეფე-ქალის ტახტზე ასვლა, თავიანთი უფლებების გაფართოვებისათვის ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს და არც დააყოვნეს. მემატიანის თქმით, გამეფებისთანავე, „იმერთა და ამიერთა" დიდებულებმა თამარს ერთხმად მოსთხოვეს, რომ მათ აღარ სურდათ სამეფო დარბაზის ნევრებად აეტანათ „მდაბიო" წარმოშობის პირები, რომლებიც ორბელთა აჯანყების შემდეგ გიორგი III-ს ჰყავდა დანინაურებული. ფეოდალურმა ოპოზიციამ იერიში მიიტანა ამირსპასალარ ყუბასარზე და მსახურთუხუცეს აფრიდონზე. ეს გამოსვლა იმდენად ფართომასშტაბიანი იყო, რომ სამეფო კარი იძულებული შეიქმნა დათმობაზე წასულიყო. თამარმა მამის ერთგული მსახურები თანამდებობიდან გაათავისუფლა. განსაკუთრებით ტრაგიკულად წარიმართა აფრიდონის ცხოვრება, რომელიც ამის შემდეგ „მოიშალა და დაიმკო ნებითა და თნევითა ლაშქართათა". ყუბასარის უკან კი, როგორც ჩანს, სერიოზული ძალები იდგა (ყივჩაყთა დაქირავებული მეომრების სახით) და ამიტომ, მისთვის ხელისუფლებისა და ლორის ციხის მეტი არაფერი ჩამოურთმევიათ.

ამ ცვლილებებით სამეფო კარზე არსებული დავა თითქოს მოგვარდა, მაგრამ არა, ფეოდალთა შორის ახალი პრობლემა წარმოიშვა: ვის უნდა დაეკავებინა ეს მაღალი თანამდებობები? თამარის ისტორიკოსის მითითებით, დიდებულებმა „ურთიერთს დაუწყეს ზიდვა". ეს ბუნებრივიცაა, რამეთუ სამეფო კარის ბიუროკრატიაში ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესს და მსახურთუხუცესს საკმაოდ დიდი წონა და გავლენა ჰქონდათ. ამიტომ, არასასურველ პირთა ჩამოშორების

შემდეგ სასახლეში პოლიტიკურ ბანაკთა შორის გააფთრებული ბრძოლა დაიწყო განთავისუფლებულ სახელოთა ხელში ჩასაგდებად.

სწორედ ამ მოვლენებზე თხრობას მოაყოლებს მემატიანე ყუთლუ-არსლანის გამოსვლის აღწერას. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" მოგვითხრობს: „ ... და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი ეჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა; მაშინლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი".

მეჭურჭლეთუხუცესის გეგმა იმდენად თამამ პოლიტიკურ მოთხოვნებს შეიცავდა, რომ თამარმა და მისმა გარემოცვამ იგი ზოგადად სამეფო ხელისუფლების დასასრულად მიიჩნია. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს ისტორიაში, რომ ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა ითვალისწინებდა გარკვეული საკანონმდებლო უფლებებით აღჭურვილი ორგანოს შექმნას. სამეფო კარმა სასწრაფოდ მიიღო გადამწყვეტი ზომები: მეფის ერთგულმა პირებმა მოახერხეს მეჭურჭლეთუხუცესის შეპყრობა და ამით შეთქმულთა ბანაკს სერიოზული დარტყმა მიაყენეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა გამოსვლის დასასრულს. ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლთან იდგა. ასეთ ვითარებაში მეფემ მიიღო საკმაოდ შორსგამიზნული გადაწყვეტილება – მან შეთქმულებთან მოსალაპარაკებლად ორი საპატიო ქალბატონი – ხვაშაქი ცოქალი, ერისთავთ-ერისთავის რატი სურამელის დედა და კრავაი ჯაყელი, სამძივართა დედა მიავლინა. აჯანყებულებმა დათმეს პოზიციები. ისინი უარს ამბობდნენ თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებზე, სამაგიეროდ, თამარი მათ ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა.

ფეოდალთა გამოსვლის ჩაწყნარებისთანავე, ქვეყანაში გარკვეული ხანი მშვიდობამ დაისადგურა. მაღალი სახელოებიც გავლენიან საგვარეულოებს შორის გადანაწილდა. ამირსპასალარობა სარგის მხარგრძელს გადასცეს. მანდატურთუხუცესად ჭიაბერი დანიშნეს, მეჭურჭლეთუხუცესად კახაბერ ვარდანის ძე, ხოლო მსახურთუხუცესად

ვარდან დადიანი. ამავე პერიოდში სამეფო კარმა თამარის გათხოვებაზე დაიწყო ზრუნვა. საქართველოს მეფე-ქალს მთხოვნელებიც საკმაოდ ჰყავდა. თამარის ორივე ისტორიკოსის მიხედვით, ეს საკითხი სამეფო კარზე გაირჩა საერო და სასულიერო პირთა თანდასწრებით. „ისტორიანი და ცხმანი შარავანდედთანის" თანახმად კი, ეს პრობლემა საეკლესიო კრებაზე განუხილავთ. დაახლოებით 1185 წელს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურნი თამარის ინიციატივით, არსებულ პრობლემებზე სამსჯავროდ შეიკრიბნენ. კრების დასასრულს, მემატიანის თქმით, „შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზოგადად ილუაწონ შემოყვანებად სიძისა თამარისთვს". ბოლოს და ბოლოს არჩევანი რუს უფლისწულზე, ანდრია ბოგულუბსკის ვაჟზე გიორგიზე შეჩერდა. სასიძოს ჩამოსაყვანად იმიერკავკასიაში თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გაიგზავნა. 1185 წელს თამარმა და იური ანდრიას ძემ დიდი ქორწილი გადაიხადეს. მათ შვილი არ შესძენიათ. მალე იურის ცუდი ყოფაქცევა აღმოაჩნდა და ამის გამო ორი-ორნახევარი წლის შემდეგ თამარი ქმარს გაეყარა. გიორგი რუსი ბიზანტიაში გააძევეს.

ქვეყანას უპირველესად მემკვიდრე სჭირდებოდა, ჯარს მთავარსარდალი. ამიტომ სამეფო კარზე, მალე კვლავ დადგა თამარის ხელახალი გათხოვების საკითხი. თამარის ხელის მონატრული არა ერთი უფლისწული იყო. მათ შორის რომის საღვთო იმპერიის მბრძანებლის ფრიდრიხ I ბარბაროსას ვაჟი, ჰერცოგი ფრიდრიხ შვაბელი, არზრუმის გამგებლის ვაჟი მუტაფრადინი, შირვანშა აღსართანი, ოსი უფლისწულები... მაგრამ, ამჯერად, საქმეში რუსუდან დედოფალი, თამარის მამიდა ჩაერია და სამეფო კარს ოსი უფლისწულის დავით სოსლანის კანდიდატურა შესთავაზა. თამარმა და დავითმა 1189 წელს დაიწერეს ჯვარი და ქორწილი დიდუბის სასახლეში გადაიხადეს. 1192 წელს მათ ოჯახში პირველი შვილი გაჩნდა, რომელსაც თამარმა მამის პატივსაცემად გიორგი დაარქვა. 1194 წელს თამარს მეორე შვილი რუსუდანი შეეძინა.

გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების შემდეგ ფეოდალთა ნაწილმა დროებით შეწყვიტა ბრძოლა. მაგრამ, მალე მათ თავი გამოამჟღავნეს. 1191 წელს იური ანდრიას ძე კონსტანტინოპოლიდან

კარნუ-ქალაქში ჩამოვიდა, აქედან კი ქართველი დიდებულების დახმარებით იგი დასავლეთ საქართველოში ჩამოიყვანეს და გეგუთში მეფედ გამოაცხადეს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მიხედვით, გიორგი რუსის მხარეზე გამოსულან: გუჩანი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, სამცხის სპასალარი ბოცო, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სხვა სამხრეთ თუ დასავლეთ საქართველოს დიდებულები. აჯანყებულთა ერთი ნაწილი ლიხის მთის გადმოლახვის შემდეგ ნაჭარმაგევისაკენ დაძრულა. მეორე ნაწილი კი რკინისჯვრის უღელტეხილის გამოვლით ქალაქ ოძრხეს შემოწყობილა და აუღია. აქედან კი ჯავახეთისკენ გაუულაშქრავთ. გადამწყვეტი ომი თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა. სამეფო ლაშქარმა აჯანყებულებს სძლია. ამის შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების მომხრე ჯარები შიდა ქართლში დაბანაკებულ მეამბოხეთა წინააღმდეგ დაიძრა, მაგრამ მათ ბრძოლას აარიდეს თავი და უკუიქცნენ. აჯანყებულებმა ფარ-ხმალი დაყარეს. თამარმა მათ ჩადენილი დანაშაული აპატია, მხოლოდ თანამდებობები ჩამოართვა. იური ანდრიას ძეს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა, მაგრამ, მისი მცდელობა, ამჯერადაც, უშედეგო გამოდგა.

ფეოდალური ოპოზიციის განადგურების შემდეგ თამარის მდგომარეობა სამეფო კარზე საგრძნობლად გამყარდა. ამიერიდან, ქვეყანამ შიდა პოლიტიკური დაპირისპირებებისაგან დაისვენა. სამეფო კარის მთავარი საზრუნავი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდა გახდა. 1192 წელს გიორგი-ლაშას დაბადების აღსანიშნავად ქართველთა ჯარმა ბარდავი დალაშქრა, შემდეგ კი არზრუმის მხარე მოარბია. მცირე შესვენებების შემდეგ ქართველმა მეომრებმა ჯერ გელაქუნის მხარე დალაშქრეს, შემდეგ კი ლორედან არაქსის პირამდე მოითარეშეს.

ასეთი მარბიელი ლაშქრობები შემდეგაც არა ერთხელ მოუწყვიათ ქართველ მხედართმთავრებს მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მიმართ. ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის წყალობით საქართველომ თავის გარშემო გააერთიანა ამიერკავკასიის პატარა სამეფო-სამთავროები. ზოგი უშუალოდ შემოვიდა თამარის სკიპტრის ქვეშ, ზოგიც ყმადნაფიცობის პირობით დაემორჩილა საქართველოს სამეფო კარს. ჩვენი ქვეყნის ასეთი გააქტიურებით ერთობ შეშფოთებულან

მუსულმანი მმართველები. მათ დახმარებისთვის ბაღდადის ხალიფასათვის მიუმართავთ, რომელსაც ქართველთა წინააღმდეგ საღმრთო ომი გამოუცხადებია. ხალიფას მოწოდებას ბევრი გამოეხმაურა. 1195 წელს ათაბაგმა აბუბექრმა დიდი ლაშქარი შეჰყარა და შირვანისაკენ გამოილაშქრა. მას ამ სამხედრო კამპანიით ორი მიზნის მიღწევა სურდა, პირველი ის, რომ შირვანში იმალებოდა მისი ძმა და ათაბაგობის შემცილებელი ამირ-მირმანი, რომლის დამარცხების შემდეგ აბუბექრს ტახტის მოცილე აღარ ეყოლებოდა და მეორე ის, რომ შირვანის, როგორც საქართველოს მოკავშირის, დაპყრობა-დამორჩილება საგრძნობლად შეარყევდა ჩვენი ქვეყნის გავლენას ამიერკავკასიაში.

აბუბექრის ჯარების შირვანში შეჭრის შემდეგ, შირვანშა აღსართანი და მისი სტუმარი ამირ-მირმანი სასწრაფოდ საქართველოსკენ გამოეშურნენ სამხედრო დახმარების სათხოვნელად. თამარ მეფემ დიდძალი ლაშქარი შეჰყარა და მთავარსარდლად დავით სოსლანი უთავა. მეფემ ლოცვით შეავედრა უფალს თავისი მეომრები. ჯარს ძელი ცხოველი წარუმძღვარა და თან ანტონ მწიგნობართუხუცესჭყონდიდელი გააყოლა. თავის მხრივ, აბუბექრი საქართველოს საზღვრებისაკენ მოემართებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა შამქორთან, 1195 წლის 1-2 ივნისს, გამთენიისას. ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მტრის განადგურების შემდეგ დავით სოსლანმა გეზი განძისაკენ აიღო. როგორც კი ჯარი განძას მიუახლოვდა, იქიდან ქალაქის ყადი, დიდებულები და დიდვაჭრები გამოეგებნენ ქართველებს და ზარ-ზეიმით შეიყვანეს განძაში. გამარჯვების აღსანიშნავად დავით სოსლანმა ამირას სასახლეში დიდი წვეულება გადაიხადა.

შამქორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებამ უდიდესი საერთაშორისო გამოძახილი ჰპოვა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს იმდროინდელ მახლობელ და ცენტრალურ აზიაში. საქართველოს სამხედრო უპირატესობა უკვე თვალნათელი იყო და ამიტომაც, სამეფო კარმა ახალი ძალით ნამოიწყო ბრძოლა მეზობელი მუსულმანური საამიროების წინააღმდეგ. 1196 წელს ქართველებმა ამბერდი შეიერთეს, 1199 წელს – ანისი, ხოლო 1202-1203 წწ. – ქ. დვინი. საქართველოს ხელში აღმოჩნდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები. სამხედრო-პოლიტიკური წარმატებების

პარალელურად, ამ ქალაქების დაკავებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს მზარდი სიძლიერით შეშფოთებულმა წინა აზიის მმართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს საქართველოსთვის ჭკუა ესწავლებინათ. რუმის სულთანმა რუქნ ად-დინმა ქ. ერზინჯანში დიდი ლაშქარი შეკრიბა და არზრუმისაკენ გამოეშურა. იგი ბასიან-ტაოს პროვინციების გავლით აპირებდა შეტევის განვითარებას. რუმის სულთანმა გზიდან თამარ მეფეს მოციქული გამოუგზავნა, რომლის პირითაც მორჩილებას და ცოლობას სთხოვდა. სამეფო კარზე ელჩის ამპარტავნული სიტყვის მოსმენის შემდეგ, ზაქარია მხარგრძელმა ვერ მოითმინა და რუქნ ად-დინის დესპანს ისეთი სილა გააწნა, რომ იგი მკვდარივით დაეცა. როცა მოასულიერეს, გაკადნიერებულ ელჩს ზაქარიამ მიმართა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმედა თავისა, კადნიერად კადრებისათვის. ან არა არს სიტყუა! ესე წიგნი მიართვი ნუქრადინს და არქვი: ჩუენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად, სამართალი ღმრთისა იყავნ“.

გადამწყვეტი ბრძოლა ბასიანში გაიმართა. საქართველოს სამეფოს მხედრობას დავით სოსლანი სარდლობდა. თამარ მეფემ ვარძიამდე მიაცილა და ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა ქართველი მოლაშქრეები.

1202 წლის 27 ივლისს (სხვა მოსაზრებით 1203 ან 1204 წლებში) ქვემო ბასიანის ერცელ ველზე ქართველი მეომრები დაუპირისპირდნენ რუქნ ად-დინის 400 ათასიან (სხვა ცნობით 800 ათასიან) ლაშქარს. გამარჯვება ქართველებს დარჩათ. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკლისი განიცადა. სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ მართალია ბასიანის ბრძოლას არ მოუტანია საქართველოსათვის ახალი ტერიტორიები, მაგრამ გამარჯვებამ საშუალება მისცა სამეფო კარს განემტკიცებინა თავისი პოზიციები ჩრდილოეთ სომხეთში. ამ წარმატებამ ასევე წელში გასტეხა მცირე აზიის მუსულმანი მმართველები, რამაც მომავალში გააადვილა საქართველოს ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ბასიანის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ქარ-

თულმა ჯარმა დაიკავა და იქ ტრაპიზონის იმპერიას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც ბაგრატიონთა სამეფო სახლის ნათესავი ალექსი კომნენოსი ჩაუდგა სათავეში. უკანასკნელ ხანს ქართველოლოგიასა თუ ბიზანტიოლოგიაში თანდათან იკიდებს ფეხს ის მოსაზრება, რომ თამარის გეგმებში არ შედიოდა მხოლოდ ლაზიკისა და პონტოს ბიზანტიის იმპერიისგან ჩამოშორება. საქართველოს გაცილებით შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა, რომელიც ბოსფორის სრუტეზე გასვლასა და თვით კონსტანტინოპოლში კომნენოსების რესტავრაციას ითვალისწინებდა. ეს მოსაზრება შორს არ უნდა იყოს ჭეშმარიტებისაგან.

ლაზიკასა და პონტოში აქტიური სამხედრო მოქმედებების პარალელურად, ქართველთა ლაშქარი 1204-1205 წწ. მანასკერტამდე ლაშქრობს. 1206 წელს კი თამარის ძალაუფლებას დაემორჩილა კარის ციხე-ქალაქი.

თამარის მეფობის ბოლო პერიოდში ქართველმა მეომრებმა აიღეს არჭეში, ხოლო 1210 წლისათვის მთელი ჩრდილოეთ ირანი დალაშქრეს. ზედიზედ აიღეს ირანის ქალაქები მარანდი, თავრიზი, მიანა, ზენჯანი და ყაზვინი. ჯარმა რომ-გურსაც კი მიაღწია, მაგრამ იმდენი ნადავლი ჰქონდათ, რომ ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა.

ქართველი მეომრების ირანში შეჭრა მხოლოდ ნადავლის ხელთგდებით არ იყო გამოწვეული. საქართველოს სამეფო კარმა ეს გადაწყვეტილება ირანში მიმდინარე მოვლენების გამო მიიღო. XII საუკუნის დასაწყისიდან ხორეზმის სამეფო უკვე აქტიურად ცდილობდა ადარბადაგანში გაბატონებას. ისტორიული სპარსეთის ტერიტორიაზე საქართველო-ხორეზმის მეტოქეობას უნდა გამოეწვია ამ რეგიონში ქართველთა შეჭრა. საქართველომ შეძლო ადარბადაგანში პოზიციების შენარჩუნება და უფრო ალმოსავლეთითაც განავრცო თავისი გავლენა.

მემატიანე ირანში ძლევამოსილი ლაშქრობის აღწერას უშუალოდ მოაყოლებს „ყოვლისა სოფლისა საგლოველ" ისტორიას – თამარის გარდაცვალების ამბავს.

ზაფხულში თამარი ნაჭარმაგევს ისვენებდა. მეფე უეცრად ცუდად შეიქნა. თამარი სასწრაფოდ თბილისში წამოიყვანეს, მაგრამ არც ამან უშველა მეფეს. ამასობაში ზამთარიც დადგა, თამარი თავის სასახლეში, აგარას ციხეში აიყვანეს, სადაც 1213 წლის 27 იანვარს (სხვა მოსაზრებით, 1207, 1210, 1216 წლები) გარდაიცვალა.

თავიდან, დიდი ზამთრის გამო, თამარ მეფე მცხეთაში დაუსაფლავებიათ, ხოლო მოგვიანებით გადაუსვენებიათ გელათში.

გიორგი (იური) ანდრიას ძე – თამარ მეფის პირველი ქმარი. როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი. დაბადების თარიღი უცნობია. მის შესახებ რუსულ წყაროებში ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. ნოვგოროდელ მემატიანესთან აღნიშნულია, რომ 1172 წელს ანდრიას თავისი შვილი ნოვგოროდში გაუგზავნია მთავრად. 1174 წელს აჯანყებულმა ბოიარებმა ანდრია ბოგოლუბსკი მოჰკლეს. ამის შემდეგ გიორგი ანდრიას ძის მდგომარეობა ნოვგოროდში გართულდა. 1175 წელს კი იგი ნოვგოროდიდან გამოაძევეს. მცირე ხანს გიორგი უფლისწული როსტოვ-სუზდალის სამთავროშია, მაგრამ ბიძასთან სუზდალის მთავართან ვსევოლოდთან დაპირისპირების გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო და თავშესაფარი ყივჩაყებთან ეძია. სწორედ აქედან უნდა შეეტყოთ ქართველ დიდებულებს მისი არსებობა. 1185 წლისათვის სამეფო კარზე დაისვა თამარის გათხოვების საკითხი. დარბაზის სხდომაზე, სადაც ეს საკითხი იხილებოდა, გიორგის კანდიდატურა წარმოადგინა თბილისის ამირამ აბულასანმა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის თქმით, აბულასანს დამსწრეთათვის განუცხადებია: „მე ვიცი შვილი კელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსონია-ქმნით დევნული გარდამოხუენა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა". სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომ აბულასანმა თათბირს ორი მხარე გაუშუქა რუსი უფლისწულის კანდიდატურის დასახელების დროს: კარგი გვარიშვილობა და „ექსორია ქმნილის" ყივჩაყეთში უთვისტომოდ მყოფობა.

სამეფო კარმა გიორგი უფლისწულთან სასწრაფოდ გააგზავნა დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. საფიქრებელია, რომ ქართველ დიდებულებსა და გიორგი უფლისწულს შორის საქართველოში ჩამოსვლის თაობაზე შეთანხმება მანამდე იარსებებდა, ზანქან ზორაბაბელს მხოლოდ უფლისწულის თბილისში ჩამოყვანა ევალებოდა. თბილისელმა

დიდვაჭარმა თავი გამოიჩინა და როგორც მემატიანე ამბობს: „მსწრაფულ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა ნარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახე-კეკლუცი“.

ქართველ დიდებულთაგან ყველა როდი იყო თამარისა და გიორგი რუსის ქორწინის მოსურნე. ფეოდალთა ნაწილს სასიძოდ ბიზანტიელი უფლისწული ალექსი კომნენოსი ჰყავდათ შერჩეული. მაგრამ ეს უკანასკნელი თამარს ენათესავებოდა და ამიტომ, არჩევანი საბოლოოდ გიორგიზე შეჩერდა.

ქართველი მემატიანის თქმით: „იქმნა ქორწილი სახედაუდებელი და იგავ-მიუნდომელი; სიმრავლენი სახეობათანი, ძლუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი, მსგეფსამდე სიხარული, შუება, ძლუნობანი, გაცემანი“. გიორგი რუსმა „აფხაზთა მეფის“ ტიტული მიიღო. იგი აქტიურად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი სარდლობით ქართულმა ჯარმა კარი და კარნიფორი მოარბია, ვიდრე ბასიანამდე. მოგვიანებით გიორგის სარდლობით ქართველებმა დვინის ქვეყანა მოითარეშეს და დიდი ამალით დაბრუნდნენ სამშობლოში. იმ მცირე მონაკვეთში, როდესაც გიორგი თამარის მეუღლე იყო და ჯარის მთავარსარდალი, ქართველებმა რამდენიმე დიდი ლაშქრობა მოაწყვეს განძის, გელაქუნის მიმართულებით. საერთოდ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საკმაოდ დადებითად ახასიათებს გიორგი რუსის სამხედრო მოღვაწეობას.

ერთი შეხედვით, გიორგი რუსის მდგომარეობა საკმაოდ მყარი იყო. მას მხარს უჭერდა ფეოდალთა საკმაოდ დიდი ნაწილი. მისი სარდლობით იბრძოდა საქართველოს სამეფო ლაშქარი, რომელიც ასევე კეთილგანწყობილი იყო გიორგისადმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორი წლის თანაცხოვრების შემდეგ თამარ მეფე იძულებული გახდა გაჰყროდა მეუღლეს. თამარის ორივე ისტორიკოსი საგანგებოდ იხილავს სამეფო ოჯახში დატრიალებულ კონფლიქტს და ორთავე მემატიანე დამნაშავედ გიორგი რუსს მიიჩნევს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი დასძენს: „ამას ესევითარსა მშჳდობასა, მარჯუებასა და ზეობასა შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან; შევიდა სატანა

გულსა სუე-უბედურისა რუსისასა, სკ'ათ-რამე სახელდებულისა, და სიტყ'ათ აღიძრა წყენად თამარისა, კელმწიფეთა მზისა და მეფეთა ელვა-ცისკროვნებისა, და სიტყ'ათ აღიძრა წყენად თამარისა... ძლეული და ტაძარ-ქმნილი შ'ადთა სულთა უბოროტესთა პირველისათა სოდომურიც მოიპოვა ქცევა დაქცევითა დაქცეულმან და ნარწყმედითა ნარწყმედულმან".

ბასილი ეზოსმოძღვრს სამეფო ოჯახში მომხდარი ამბები უფრო დაწვრილებით აქვს გადმოცემული. მემატიანის თქმით: „და გამოაჩნდებოდეს რუსსა საკ'ათურნი ვითარ ნაღებთა ბუნებითნი. და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა, რომელთათ'ს ნამეტნავ არს წერად და თქუმად, რათა არა სიგრძედ მიინიოს სიტყუა". ისტორიკოსი იმასაც აღნიშნავს, რომ თამარს უცდია მეუღლის განკურნება. ამისათვის მას საეკლესიო პირთათვისაც მიუმართავს, მაგრამ ამაოდ.

წყაროებში მითითებულ გიორგი რუსის მანკიერ მხარეთაგან, ყველაზე მძიმე „სოდომური" ცოდვა გახლდათ, რომელიც ეკლესიის მიერ უდიდეს ცოდვად იყო გამოცხადებული და კანონით ისჯებოდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგი მამათმავლობის („სოდომურიცა მოიპოვა ქცევა") სენით ყოფილა შეპყრობილი. სიმთვრალის დროს კი მას პათოლოგიური გადახრები ჰქონია. თამარმა დიდხანს ითმინა მეუღლის ასეთი საქციელი. ბევრი ეცადა შეეცვალა გიორგის ხასიათი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს და ბოლოს, თამარი იძულებული შეიქნა გაჰყროდა გიორგის. რუსუდან დედოფალმა და სამეფო კარმა გიორგი რუსი ბიზანტიაში გააძევა.

გიორგი რუსს არც ამის შემდეგ დაუკარგავს საქართველოში გამეფების იმედი. 1191 წელს იგი საგანგებოდ წამოვიდა კონსტანტინოპოლიდან არზრუმში, საიდანაც დაუკავშირდა თამარის მოწინააღმდეგე დასის წევრებს. არზრუმში გიორგისთან მოსალაპარაკებლად ჩავიდა „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი". ქართულ ისტორიოგრაფიაში მართებულადაა შენიშნული, რომ ეს პიროვნება („მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი") თბილისის ამირთ-ამირა უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ ამ პიროვნების ვინაობა უცნობია, შედეგი კი ამ შეხვედრამ ის გამო-

ილო, რომ გიორგი რუსი დასავლეთ საქართველოში ჩავიდა, სადაც იგი გეგუთის სასახლეში მეფედ გამოაცხადეს.

გიორგის საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა. თამარმა და მისმა მომხრეებმა მოახერხეს განდგომილთა დამორჩილება.

ხელშეუხებლობის გარანტიის მიღების შემდეგ, ლიხთ-იმერეთის დიდებულები, გიორგი რუსის თანხლებით, პატიებისათვის თამარ მეფეს ეახლნენ. ამჯერად სამეფო კარმა დიდი სისასტიკე არ გამოიჩინა არც ქართველი ფეოდალების და არც გიორგის მიმართ. „სუე-უბედური" რუსი კვლავ ბიზანტიაში გააძევეს. მოგვიანებით, გიორგიმ (იურიმ) კიდევ ერთხელ სცადა საქართველოში შემოჭრა. ამჯერად მას ზურგს რანის ათაბაგი უმაგრებდა. მაგრამ ამ ავანტურას ქართველმა ფეოდალებმა მხარი არ აუბეს. გიორგიმ მხოლოდ საქართველოს მონაპირე პროვინციების დარბევა მოახერხა.

ამ მოვლენის შემდეგ გიორგი (იური) ანდრიას ძის შესახებ ცნობები აღარ მოიპოვება. რა ბედი ეწია მას, სად გარდაიცვალა უცნობია.

დავით სოსლანი – თამარ მეფის მეორე ქმარი. ეკუთვნოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს ოსეთის შტოს, რომელიც სათავეს იღებს გიორგი I-ის უმცროსი ვაჟის დემეტრე უფლისწულის შვილის – დავითისაგან. ეს უკანასკნელი, ბებიამ, ოსთა მეფის ასულმა აღდემ, სამშობლოში წაიყვანა და იქ გაამეფა. სწორედ დავითის პირდაპირი შთამომავალი იყო დავით სოსლანი (დავითი→ათონი→ჯადარონი→ დავით სოსლანი). პატარა უფლისწული საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდა რუსუდან დედოფლის მფარველობის ქვეშ. გიორგი რუსთან განქორწინების შემდეგ სამეფო კარზე კვლავ დაისვა თამარის გათხოვების საკითხი. დიდებულების არჩევანი დავით სოსლანზე შეჩერდა. ძმიშვილის გათხოვების საკითხში აქტიურად ჩაერთო რუსუდან დედოფალიც. თამარი დასაწყისში უარს აცხადებდა გათხოვებაზე, მაგრამ სამეფო კარმა დაარწმუნა მეფე ამის აუცილებლობაში – ჯარს მთავარსარდალი სჭირდებოდა, ქვეყანას კი მემკვიდრე. მემატიანის თქმით: „მაშინ თამარ, მინდობილმან მამის დისა მისისამან მშობლისა სახედ და მისგან დიდად წყალობიანთა ლაშქართა და სპათამან, ესრეთ თქუა

მბრძანებელმან: „მონამე არს ჩუენთა ღმერთი, არიდეს ყოფილა გული ჩემი მონადინე ქმროსნობისა, არცა პირველ არცა აწე, თუმცა არა მოსულოდა უწალმართობა ჩემი საყდარსა, რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემთაგან, აწცა ამისი ვარ მოაჯე".

თამარის დათანხმების შემდეგ, სამეფო კარმა დიდი პატივით ჩამოიყვანა დავით სოსლანი თბილისში. დიდების სასახლეში თამარმა და დავითმა სახელოვანი ქორწილი გადაიხადეს. ქართველი მემატიანე აღფრთოვანებული აღწერს ქორწილის მიმდინარეობას: „მშუებელნი იხარებდეს, გლახაკნი განმდიდრდებოდეს; იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე და სრულქმნა ამას შინა".

დავით სოსლანი ღირსეული მეფე გამოდგა. მან მალე მოიპოვა გამორჩეული ავტორიტეტი სამეფო კარზე. მემატიანის თქმით: „ესე დავით წელიწდის მოქცევამდე ესრეთ ნაეჯობინა ყოველსა მშჯლდოსანსა, ცხენოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა კელთა სიკეთითა". დავით სოსლანის სარდლობით საქართველოს სამეფო ლაშქარმა არაერთ წარმატებას მიაღწია. 1192 წელს ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად ქართველებმა ძველი ქალაქი ბარდავი დალაშქრეს. დავითმა სახელოვან მეუღლეს და პატარა უფლისწულს დიდი ალაფი მოართვა, მათი დღეგრძელობისათვის კი აუარებელი ტყვეები გაანთავისუფლა. ამ ლაშქრობიდან ერთი თვეც კი არ იყო გასული, რომ დავითის სარდლობით ქართველებმა კარნუ-ქალაქზე ილაშქრეს.

დავით სოსლანის სახელს უკავშირდება ასევე ორი დიდი ომის — შამქორისა და ბასიანის მოგება.

შამქორის ომში დავითმა საკმაოდ საინტერესო ტაქტიკური სვლა გააკეთა. მან შამქორის ციხეს გვერდი აუარა და შეეცადა ქალაქისათვის ზურგიდან დაერტყა. მართალია, ცუდი გზის გამო დავითის ლაშქარი ოდნავ დაყოვნდა, მაგრამ ამ მანევრმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ბრძოლის ბედზე. მტერი დააბნია ქართველთა ზურგიდან დარტყმამ. აბუბაქრის ლაშქარმა თავს გაქცევით უშველა. მეორე დღეს შამქორელები ქალაქის „კლიტენით" ეახლნენ დავითს და მორჩილება

გამოუცხადეს. აქედან დავით სოსლანი განძისკენ გაემართა. განძელებმა წინააღმდეგობა არ ისურვეს და საქართველოს მეფე ქალაქში დიდი პატივით შეიყვანეს.

„ისტორიანი და ზმანი შარავანდედთანის" ავტორის თქმით, ქართველებს აუარებელი ალაფი დარჩათ. „მოიღეს ნიჭი, არმაღანი და განძი აურაცხელი: კაცი თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შუდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი. დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინმცა უძლო აღრიცხვა?"

დავით სოსლანი სარდლობდა ქართულ მხედრობას ბასიანის ბრძოლაშიც.

მემატიანის მითითებით, დასაწყისში ქართველები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილან. ბრძოლაში ცხენები მოუკლეს ივანე მხარგრძელს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს „და სხუათა მრავალთა თავადთა". ამასობაში ცხენოსანი არმია და ქვეითი ჯარი ერთმანეთში აირია. ბრძოლის ველზე კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ასეთ დროს დავით სოსლანმა მიიღო სწორი და ტაქტიკურად გამართლებული გადაწყვეტილება, მან ჯარის გადაჯგუფება მოახდინა, მხედრები ფრთებზე განალაგა, ხოლო თურქების პირისპირ ქვეითი ჯარი დატოვა. ამ ცვლილებამ შედეგი გამოიღო. თურქებმა ვერ გაუძლეს ქართველი მხედრების მძლავრ იერიშს და უკუიქცნენ.

1206-1207 წწ. მიჯნაზე დავით სოსლანის სარდლობით ქართველებმა მოახერხეს ჯარის ციხის დამცველთა წინააღმდეგობის დაძლევა. ქალაქი გარკვეული პირობით დანებდა თამარს. ეს იყო დავით სოსლანის ბოლო სამხედრო კამპანია. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია და 1207 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია გელათის მონასტერში.

გიორგი-ლაშა – თამარ მეფისა და დავით სოსლანის ვაჟი. საქართველოს მეფე 1207/1210/1213-1222 წწ. მის მოღვაწეობას XIII საუკუნის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახზე საუბრისას შევეხებით.

რუსუდანი – თამარისა და დავით სოსლანის ასული. საქართველოს მეფე 1222-1245 წწ. რუსუდანზე „ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის" მომდევნო ნაწილში (XIII-XIV სს.) გვექნება საუბარი.

ლიტერატურა

1. ვ. აბაშიძე, ქართული ინტელექტუალური ფენომენი, თბ., 1992.
2. ა. აბდალაძე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ, მაცნე, ისტორიის .... სერია, № 1, თბ., 1972.
3. ალ. აბდალაძე, შამქორის ბრძოლის თარიღისათვის, მაცნე, № 1, 1973.
4. ა. აბდალაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის, მაცნე, № 2, თბ., 1974.
5. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1999.
6. ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983.
7. ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე, საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
8. შ. ბადრიძე, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში, წ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
9. შ. ბადრიძე, ქართველები და გერმანული სამყარო შოთა რუსთაველის ეპოქაში, წ.: შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, თბ., 1984.
10. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
11. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
12. გ. ბერიძე, მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფენდიარის თხზულებაში, კრ.: საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნ.: I, თბ., 1976.
13. მ. ბერძენიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
14. ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, კრ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
15. თ. დონდუა, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1997.
16. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებელი დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.
17. თამარ მეფის დროინდელი მატიანე („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა"), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო მ. ქადაგიძემ, თბ., 2001.
18. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
19. ივ. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971.
20. ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942.
21. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979.

22. რ. მეტრეველი, შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
23. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
24. რ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია, წიგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ნაწ.: I, თბ., 1998.
25. მიქაელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმნით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და სახელებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ.: 33, თბ., 1960.
26. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, თბ., 1974.
27. ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, ჟურნ.: ცისკარი, № 1, თბ., 1976.
28. გ. ოთხმეზური, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
29. ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
30. ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკ.: I (IX-XIII სს.), თბ., 1980.
31. ვ. სილოგავა, ბეთანიის წარწერები, თბ., 1994.
32. ვ. სილოგავა, ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები (XI-XIII სს.), თბ., 2003.
33. ჯ. ხტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში, თბ., 1985.
34. ჯ. ხტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999.
35. ივ. შაიშმელაშვილი, შამქორი, ბასიანი, თბ., 1981.
36. ნ. შენგელია, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი თამარის მეფობაში, წიგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
37. ქართული ისტორიული საბუთები, ტ. I, XI-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
38. დ. შველიძე, ა. შველიძე, საქართველოსა და ხორეზმის ურთიერთობა და ქართველთა ლაშქრობა ირანში (1210 წ.), კრ.: ვალერიან მაჭარაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, თბ., 2001.
39. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.
40. იასე ცინცაძე, ბასიანის ბრძოლა, თბ., 1971.
41. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ. II, ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
42. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.
43. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.
44. თ. ჯოჯუა, საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ხელნაწერის (Vcn. 4-ის) ანდერძის მიხედვით, კრ.: ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, თბ., 2001.

45. **М. П. Мургулия, В. П. Шушарин**, Половцы, Грузия, Русь и Венгрия в XII-XIII веках, М., 1998.
46. **Р. М. Шукуров**, Великие Комнины и Восток (1204-1461), Санкт-Петербург, 2001.
47. **С. П. Еремян**, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, Научные труды АГУ, XXIII, Ер., 1946.
48. **Ш. А. Месхия, Я. З. Цинцадзе**, Из истории Русско-грузинских взаимоотношений X-XVIII вв., Тб., 1958.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ბაგრატ III 5

გიორგი I 17

ბაგრატ IV 31

გიორგი II 45

დავით IV 53

დემეტრე I 73

დავით V 87

გიორგი III 97

თამარ მეფე 111

საგამომცემლო ჯგუფი

მარგო ინასარიძე
ნინო კობაური
ვიოლა ტუღუში
შორენა წიქარიშვილი
ილია ხელაია

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17 ბ. 25-05-22, 8(99) 25-05-22, 8(93) 25-05-22.
artanuji@ip.osgf.ge